სს თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგებები და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგებები 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავალი 3
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

5
1 შესავალი 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 7
3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები
4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები 16
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 18
6 ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები 18
7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
8 ბანკებიდან მისაღები თანხები 24
9 წინასწარ გადახდილი თანხები 25
10 ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები 25
11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 25
12 ქონება და მანქანა-დანადგარები 28
13 არამატერიალური აქტივები 29
14 საინვესტიციო ქონება 29
15 ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები 30
16 სხვა ფინანსური აქტივები 31
17 სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან 33
18 გამოშვებული ფასიანი ქაღალდები 34
19 კლიენტებისგან მიღებული ავანსები 34
20 სუბორდინირებული სესხები 34
21 სხვა ვალდებულებები 35
22 სააქციო კაპიტალი 35
23 სხვა შემოსავალი 35
24 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 36
25 მოგების გადასახადები 36
26 წმინდა ვალის რეკონსილაცია 37
27 ფინანსური რისკების მართვა 37
28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 44
29 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება შეფასების მიზნებისათვის 46
30 პირობითი ვალდებულებები 46
31 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 47

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს თიბისი ლიზინგის აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ვფიქრობთ, სს თიბისი ლიზინგის ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში "ანგარიშგებები"), სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ პოზიციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ხსენებული თარიღისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენს მიერ შემოწმებული სფეროები:

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი, აუდიტორების პასუხისმგებლობები აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში, აღწერილია ქვემოთ ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში "აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან მიმართებაში".
გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და რელევანტურია ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვმოქმედებთ კომპანიისგან სრულიად დამოუკიდებლად, რითაც ვიცავთ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს "პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს" (IESBA Code). გარდა ამისა, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს აღნიშნული კოდექსიდან გამომდინარე.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე, რაც გულისხმობს მენეჯმენტის ანგარიშს, რომელიც უნდა მომზადდეს საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტორის ანგარიშს ამასთან დაკავშირებით). ველით, რომ ეს ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე აუდიტორის ანგარიშის მომზადების შემდეგ.
ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის, არც მენეჯმენტის ანგარიშს.
ფინანსური ანგარიშგებების ჩვენეულ აუდიტთან მიმართებაში, ჩვენი მოვალეობაა გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მას შემდეგ რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება. ამის შემდეგ, უნდა შევაფასოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან ჩატარებული აუდიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად დასტურდება მისი არსებითი უზუსტობა. ამასთანავე, ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვხატოთ ჩვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა ცალკეულ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მენეჯმენტის ანგარიში შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რაც მოთხოვნილია საქართველოს კანონით «ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ».
ჩვენ მოვამზადებთ განახლებულ ანგარიშს, რომელშიც ჩვენ ან განვაცხადებთ, რომ არაფერი გვაქვს აღსანიშნი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ან აღვწერთ იმ უზუსტობებს, რომელთა იდენტიფიცირებაც მენეჯმენტის ანგარიშში ანგარიშმგებელი პირის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუდიტის ჩატარების პროცესში მოვახდინეთ.

მენეჯმენტის და მმართველი ფუნქციების მქონე პირების პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და ობიექტურად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, და იმ ტიპის შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ არსებითი უზუსტობებისგან დაზღვეული (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისათვის.
ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია მოქმედი საწარმოს სახით საქმიანობის უწყვეტად წარმართვის თვალსაზრისით კომპანიის უნარიანობის და უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაზე და მოქმედი საწარმოსთვის მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი არ გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტას, ან მას ამ უკანასკნელი ალტერნატივების გარდა სხვა რეალური გზა არა აქვს.
მმართველობის ფუნქციის მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტირებასთან მიმართებაში

ჩვენი ამოცანაა გონივრული მტკიცებულების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაცულია ზოგადად ფინანსური ანგარიშგებები არსებითი უზუსტობებისგან (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) და ასევე, ჩვენი მოსაზრების შემცველი აუდიტორის ანგარიშის მომზადება. გონივრული მტკიცებულება მაღალი დონის მტკიცებულებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყველა შემთხვევაში გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობის მიზეზი შეიძლება იყოს

თაღლითობა ან მექანიკური შეცდომა. უზუსტობა არსებითია, თუ გონივრული მოლოდინი არსებობს იმისა, რომ უზუსტობა, ცალკე აღებული ან უზუსტობები აგრეგირებული ფორმით, გავლენას მოახდენს ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვაკეთებთ პროფესიულ დასკვნებს და ვიხელმძღვანელებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის ჩატარების პროცესში. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებების არსებით უზუსტობებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით), ვქმნით და ვახორციელებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებისგან თავის დასაცავად, და მოვიპოვებთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და ადეკვატური იქნება ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად. რისკი იმისა, რომ ვერ შევძლებთ თაღლითობის შედეგად წარმოშობილი უზუსტობის გამოვლენას უფრო მაღალია, ვიდრე მექანიკური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის დადგენის შეუძლებლობის რისკი, იმ მიზეზის გათვალისწინებით, რომ თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მიღმა მოქმედებას.
- ვიაზრებთ აუდიტთან დაკავშირებით შიდა კონტროლის არსებულ სურათს, რათა შევიმუშავოთ კონკრეტულ გარემოებებს მორგებული აუდიტის პროცედურები და არა იმისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობასთან მიმართებაში.
- ვაფასებთ მოქმედი საბუღალტრო პოლიტიკების ადეკვატურობას და საბუღალტრო გათვლების გონივრულობას და მენეჯმენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.
- ვამზადებთ დასკვნას მენეჯმენტის მიერ მოქმედი საწარმოს საქმიანობის უწყვეტობაზე მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე ვაფასებთ იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებულ მასშტაბურობას, რამაც შესაძლოა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარიანობა საქმიანობის გაგრძელებასთან მიმართებაში. თუ დავასკვნით, რომ არსებობს სერიოზული მასშტაბის გაურკვევლობა, აუდიტორის ანგარიშში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ თვალსაზრისით ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, და თუ ეს უკანასკნელი არასაკმარისად არის წარმოდგენილი, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები, როგორც წესი, ეფუძნება აუდიტის ანგარიშის მომზადებამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალშიც შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენები, ან გარემოებები, რომელთა გამოც კომპანიას, როგორც მოქმედ საწარმოს, მოუწევს საქმიანობის შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას, ასევე იმას, თუ რამდენად ობიექტურად არის ასახული ოპერაციები და მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებებში.

იმ საკითხებში, რომელთა მიმართებაშიც კომუნიკაცია გვაქვს კომპანიის მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან, გამოვყოფთ დაგეგმილი აუდიტის მასშტაბებსა და ჩატარების

ვადებს, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებს, მათ შორის, აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მიმართულებით აღმოჩენილ ხარვეზებს.

შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერსის (რეგისტრაციის # SARAS-F-775813) სახელით

ლაშა ჯანელიძე (რეგისტრაციის # SARAS-A-562091)

2018 წლის 23 ივლისი

თბილისი, საქართველო

სს თიბისი ლიზინგი
ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	7,865,169	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	5	4,431,850	-
წინასწარ გადახდილი თანხები	Error! Reference source not found.	3,013,077	1,028,009
საგადასახადო აქტივები, ნეტო ღირებულება		2,463,305	763,842
ლიზინგის ხელშეკრულებისათვის მიღებული ავანსები	10	23,017,214	9,614,800
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11	143,776,957	94,783,939
ქონება და მანქანა-დანადგარები	12	3,128,044	492,286
არამატერიალური აქტივები	13	717,237	507,530
ს ესტიციო ქონება	14	2,299,128	1,976,128
იჯარით გაცემის მიზნით შეძენილი აქტივები		2,740,407	285,982
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები	0	3,328,098	2,573,242
სხვა ფინანსური აქტივები	16	4,046,937	4,151,269
სხვა აქტივები		1,676	91,050
მთლიანი აქტივები		**200,829,099**	**121,545,347**
ვალდებულებები			
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	17	135,781,499	68,236,223
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	19	12,907,386	7,043,926
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	7,798,098	13,260,660
სუბორდინირებული სესხი	20	15,684,639	15,833,761
სხვა ვალდებულებები	21	9,256,894	1,854,829
მთლიანი ვალდებულებები		**181,428,516**	**106,229,399**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,059,000	3,059,000
(დამატებითი)საემისიო კაპიტალი		2,149,827	2,149,827
გაუნაწილებელი მოგება		14,191,756	10,107,121
მთლიანი კაპიტალი		**19,400,583**	**15,315,948**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**200,829,099**	**121,545,347**

გენერალური დირექტორი
გაიოზ გოგუა

ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე

23 ივლისი 2018

გვერდებზე 5-47 მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი

მოგების და ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიში

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფინანსური ლიზინგის შემოსავალი		22,517,026	16,767,170
საოპერაციო ლიზინგის შემოსავალი		287,351	-
საპროცენტო ხარჯი		(9,344,863)	(7,357,366)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		**13,459,514**	**9,409,804**
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი	11	(262,677)	(651,780)
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვის შემდეგ დარჩენილი წმინდა ფინანსური შემოსავალი		**13,196,837**	**8,758,024**
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	16	(1,993,124)	(1,486,862)
სხვა შემოსავალი	23	819,979	848,706
დასაკუთრებული აქტივების თავდაპირველი აღიარების ნამეტი შემოსავალი		308,121	140,823
დასაკუთრებული აქტივების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	0	(448,810)	(516,930)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან და გათავისუფლებიდან მიღებული ზარალი	0	(111,057)	(229,747)
ნამეტი შემოსავლის შემდეგ დარჩენილი დერივაციული ინსტრუმენტებიდან მიღებული ზარალი		-	(424,195)
ვალუტის გაცვლით მიღებული ნამეტი შემოსავალი ზარალის გამოკლების შემდეგ		966,581	1,447,648
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(8,976,892)	(6,180,367)
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი	14	323,000	1,085,615
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**4,084,635**	**3,442,715**
მოგების გადასახადის ხარჯი	25	-	(166,172)
წლის მოგება		**4,084,635**	**3,276,543**
წლის სხვა სრული შემოსავალი		**4,084,635**	**3,276,543**

გვერდებზე 5-47 მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
კაპიტალში ცვლილების ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დამატებითი საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,792,000	1,301,034	6,830,578	10,923,612
წლის სრული შემოსავალი	-	-	3,276,543	3,276,543
გამოშვებული აქციები	267,000	848,793	-	1,115,793
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,059,000	2,149,827	10,107,121	15,315,948
წლის სრული შემოსავალი	-	-	4,084,635	4,084,635
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,059,000	2,149,827	14,191,756	19,400,583

გვერდებზე 5-47 მოცემული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ლიზინგის მიმღებებიდან მიღებული ფული		92,654,568	66,445,744
ლიზინგის მიმღებებიდან მიღებული ფული, როგორც საგირავნ[illegible]პოზიტი		15,404,242	9,438,154
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული		1,297,543	2,933,116
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მიღებული ფული		1,963,360	916,650
ლიზინგის მიზნით აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(145,217,348)	(73,687,885)
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული		(5,530,867)	(3,376,777)
პერსონალისათვის გადახდილი ფული		(1,935,530)	(1,218,950)
საოპერაციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული ფული		**(41,364,032)**	**1,450,052**
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(1,757,196)	(1,648,467)
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(5,411,572)	(4,535,807)
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	26	(585,408)	(540,179)
გადახდილი გადასახადები		(4,960,149)	(4,201,277)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(54,078,357)**	**(9,475,678)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		235,887	12,636
ქონების და მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		-	18,347
ქონების და მანქანა-დანადგარების შეძენა		(275,495)	(260,110)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(161,893)	(197,681)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(201,501)**	**(426,808)**
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობებიდან			
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	26	119,604,203	13,346,561
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	26	(4,877,400)	-
გამოშვებული სავალო ვალდებულებები		-	6,970,893
ანაბრებზე რიცხული თანხები (ბანკების მიერ გადასახდელი)		(4,431,850)	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი		-	1,115,793
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების დაფარვა	26	(52,834,029)	(19,652,255)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**57,460,924**	**1,780,992**
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(593,167)	2,558,665
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		**2,587,899**	**(5,562,829)**

გვერდებზე 5-47 მოცემული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	5,277,270	10,840,099
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		7,865,169	5,277,270

გვერდებზე 5-47 მოცემული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

1 შესავალი

სს თიბისი ლიზინგის (შემდგომში "კომპანია") წინამდებარე ფინანსური ანგარიშები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადდა.

კომპანია 2003 წელს დაფუძნდა და საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაცია განხორციელდა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით:205016560.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის ლიზინგით დაფინანსების უზრუნველყოფაა. კომპანია ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გასცემს სხვადასხვა ტიპის სამრეწველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებულ მანქანა-დანადგარებს. კომპანია ლიზინგის აქტივებს ყიდულობს მომწოდებლებისგან როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:

აქციონერები	*2017 წილი, %*	*2016 წილი, %*
სს თიბისი ბანკი ("მეწილე")	*99.61%*	*99.61%*
არასაკონტროლო წილის მფლობელი (მინორიტარული აქციონერი) - ფიზიკური პირი	*0.39%*	*0.39%*
ჯამი	*100%*	*100%*

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი იყო გაერთიანებულ სამეფოში დარეგისტრირებული თიბისი ბანკის ჯგუფი PLC.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#80.

ანგარიშგების ვალუტა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ქართულ ლარში ("ლარი"), თუ ეს სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ბიზნესის მეტი წილი საქართველოშო ხორციელდება. განვითარებადი ქვეყნების, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა, სწრაფად იცვლება და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობების და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე პროცესები შესაძლოა გარკვეულ რისკებს უკავშირდებოდეს, რომლებიც, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში წარმოებულ ოპერაციებთან არ ასოცირდება. ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რეფორმები სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო და კომერციული საქმიანობის სფეროებში, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საერთო საინვესტიციო გარემოზე. დღესდღეობით, საქართველოს საერთაშორისო არენაზე ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს რეპუტაცია აქვს.

მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ყოველწლიური ანგარიშის "ბიზნესის კეთება 2018" მიხედვით საქართველო აგრძელებს პროგრესს (წინა წლის მაჩვენებელს 7 საფეხურით უსწრებს) და მსოფლიოში უკვე მე-9 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

სიმარტივრთ. საქართველომ თითქმის ყველა კატეგორიაში გააუმჯობესა თავისი მაჩვენებლები, რითაც დაადასტურა რეგიონის ლიდერობა და ევროკავშირის უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკაში მიღწეულ შედეგებზე უპირატესი პოზიცია. საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და თავისი ინსტიტუციების მაღალი ხარისხის გამჭვირვალობით, რაც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა.

შიდა ეკონომიკური გარემო კვლავ სტაბილურია, საბანკო სექტორი კი - მზარდი, რასაც ხელს უწყობს მაკროეკონომიკური სტაბილურობა გლობალურ დონეზე და მიმზიდველი ბიზნეს გარემო.

გეოსტატის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ს წლიურმა ზრდამ 4.8% შეადგინა 2017 წელს, რაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მიღწეულმა შედეგებმა განაპირობა, ძირითადად ეს ეხება მშენებლობის, ვაჭრობისა და რემონტის, უძრავ ქონების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროებს.

საქართველოს თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში (ვაჭრობის სფეროში) დაფიქსირებული ეკონომიკური აღმავლობა კვლავ ხელს უწყობს ექსპორტისა და ტურიზმის განვითარებას, ფულადი გზავნილების ნაკადების ზრდას. 2017 წელს საქონლის ექსპორტმა წლიური 29.1%-იანი ზრდა განიცადა, თუმცა ცალკეულ რეგიონებში განსხვავებული მაჩვენებლები დაფიქსირდა. ექსპორტის მოცულობა გაიზარდა დსთ-ს უმრავლეს ქვეყნებში (წლიური +60.0%), ექსპორტმა ზრდა განაგრძო ევროკავშირის (წლიური +13.0%), ისევე როგორც სხვა ქვეყნების მიმართულებითაც (წლიური +12.2%). ასევე გაიზარდა საქონლის იმპორტი 9.4%-ით, რამაც 2017 წელს საქონლით ვაჭრობის წლიური ბალანსის მაჩვენებელი 1.4%-ით ოდნავ გააუარესა.

ტურიზმის შემომავალი ნაკადები წლიური 28.0% -ით გაიზარდა, ხოლო ვიზიტორების საერთო რაოდენობამ 7.5 მლნ-ს გადააჭარბა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დრამატულმა ზრდამ შესამჩნევი დადებითი გავლენა იქონია საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე.

2017 წელს ფულადი გზავნილებიდან შემოსული თანხები წლიური 19.8%-ით გაიზარდა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირიდან ჩარიცხული თანხების ზრდა წლიურ 15.1%-ს, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან ჩარიცხულის - 15.6%-ს შეადგენდა. სხვა ქვეყნებიდან მიღებული გზავნილების ზრდა წლიურ 31.3%-ს გაუტოლდა. ქვეყნების ამ უკანასკნელ კატეგორიაში ისრაელმა და თურქეთმა ზრდის მაჩვენებელში ყველაზე დიდი წილი დაიკავეს, რადგან ამ ქვეყნებიდან მიღებული გზავნილები შესაბამისად წლიური 96.1% და 25.6%-ით გაიზარდა.

გარე წყაროებიდან მიღებული ფულადი ნაკადების პოზიტიური ტრენდის გათვალისწინებით, შესამჩნევად გაუმჯობესდა საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი. 2017 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში დეფიციტი მშპ-ს წილის სახით 7.1%-ს გაუტოლდა წინა წლის იმავე პერიოდის 11.2%-იან მაჩვენებელთან შედარებით.

წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაციამ პიკურ მაჩვენებელს მიაღწია 2017 წლის ივნისში და გაუტოლდა 7.1%-ს, ხოლო 2017 წლის ბოლოს ოდნავ შემცირდა 6.7%-მდე. 2017 წლის დასაწყისში გაზრდილი სააქციზო გადასახადი, წავთობის გაზრდილი ფასი და ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურება - იმ ფაქტორებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ინფლაციის მაჩვენებელი წლის ბოლოს 7%-ს მიუახლოვა. ზემოხსენებულ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში, 2017 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.25 პპ-ით, 7%-იდან 7.25%-მდე გაზარდა. საერთო ჯამში, 2017 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.75 პპ-ით გაზარდა, რადგან ეს განაკვეთი 2017 წლის დასაწყისში 6.5%-ს უდრიდა, 2017 წლის ბოლოს კი - 7.25%-ს გაუტოლდა.

2016 წელს დაფიქსირებული 3.9%-იანი ფისკალური დეფიციტი 2017 წელს 3.8%-მდე შემცირდა, რაც შეესაბამებოდა მთავრობის სტრატეგიას საშუალოვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტის დეფიციტის

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ეტაპობრივი შემცირების მიმართულებით 3%-ზე დაბალ ნიშნულამდე. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ მოსალოდნელზე მეტად დადებითად იმოქმედა საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე, და ასევე ხელი შეუწყო უფრო ფრთხილი მიდგომის შემუშავებას მიმდინარე ხარჯვით ნაწილშიც. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი ბიუჯეტის დეფიციტის კიდევ უფრო მეტ შემცირებას ითვალისწინებს, მშპ-ს 3%-მდე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ფისკალურ პოზიციას.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებით ლიზინგის ხელშეკრულების დასრულების შედეგად მიღებული ფინანსური ინსტრუმენტების და აქტივების თავდაპირველი აღიარების შედეგად იცვლება. ქვემოთ აღწერილია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების შესადგენად იქნა გამოყენებული.
კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, მენეჯმენტს მოეთხოვება დასკვნების გაკეთება, შეფასებების და დაშვებების მომზადება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, რაც მზამზარეულად არ ჩანს სხვა წყაროებში. შეფასებები და მათთან ასოცირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა რელევანტურად მიჩნეულ ფაქტორებს.

შეფასებებისა და შესაბამისი დაშვებების განხილვა მიმდინარე რეჟიმში ხდება. საბუღალტრო კალკულაციების კორექტირების აღიარება ხდება ამა თუ იმ კალკულაციის კორექტირების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ ამ კონკრეტულ პერიოდს შეეხება ან კორექტირების და ასევე მომავალ პერიოდებში, თუ კორექტირება შეეხება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ პერიოდებს.

ლიზინგის დასაწყისი. ლიზინგის დასაწყისად ითვლება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების, ან ვალდებულების აღების თარიღი, თუ ეს უკანასკნელი უფრო ადრე მოხდა. ამ განმარტების მიზნებისათვის, ვალდებულების აღება ხდება წერილობით, ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერის საფუძველზე, და მასში კონკრეტულად არის აღწერილი ტრანზაქციის ძირითადი პირობები.

ლიზინგის ვადის ათვლა. ლიზინგის ვადის ათვლა იწყება იმ თარიღიდან, როცა ლიზინგის მიმღებს მიენიჭება ლიზინგის საფუძველზე გადაცემული აქტივით სარგებლობის უფლება. ეს არის ლიზინგის თავდაპირველი აღიარების თარიღი.

ფინანსური ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი არის ლიზინგის ტიპი, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევითი რისკის თუ სარგებლის არსებითად გადაცემა. საკუთრების უფლების გადაცემა, საბოლოო ჯამში, ან ხდება, ან არა. ლიზინგი ფინანსური იქნება თუ საოპერაციო, ეს დამოკიდებულია ტრანზაქციის არსზე და არა, კონტრაქტის ფორმაზე. ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი იმ შემთხვევაში, თუ:

- ლიზინგის ხელშეკრულებით აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ვადის დასრულებისას;
- ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ყიდვის ოფცია იმ ფასად, რაც მოსალოდნელია, რომ იქნება საკმარისად დაბალი იმ სამართლიან ღირებულებასთან შედარებით, რომელიც დაფიქსირდება ოფციის განხორციელების შესაძლებლობის თარიღზე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას, გონივრული ჩანს ოფციის განხორციელების შესაძლებლობა;
- ლიზინგის ვადა აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ძირითად ნაწილს შეეხება, იმის მიუხედავად საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელებულია თუ არა;
- ლიზინგის დაწყებისას ლიზინგის მინიმალური შენატანების მიმდინარე ღირებულება მინიმუმ ლიზინგით შესაძენი აქტივის სამართლიანი ღირებულების ტოლია; და/ან

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

- ლიზინგით შესაძენი აქტივი ისეთი სპეციფიკური ტიპის საგანია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ძირეული მოდიფიკაციის გარეშე.

ფინანსური შემოსავალი ლიზინგით გათვალისწინებული ძირი თანხისა და პროცენტის საფუძველზე იანგარიშება და მისი აღიარება სისტემატურად ხდება ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საოპერაციო ლიზინგი. ამ შემთხვევაში კომპანია არის ლიზინგის გამცემი ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად და არ ხდება კომპანიის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ფლობასთან დაკავშირებული ყველა სახის შემთხვევითი რისკისა თუ სარგებლის არსებითი ფორმით გადაცემა, ხოლო ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. ლიზინგის ვადა ის პერიოდია, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება და რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღები ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს აქტივს სხვა პირობების ამოქმედების პარალელურად, რომელთა ფარგლებშიც ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ლიზინგის წესით ფლობის გაგრძელების ოფცია, მომდევნო შენატანების პირობებში ან მათ გარეშე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას გაწივრული ჩანს ლიზინგის მიმღების მიერ ამ ოფციის განხორციელების შესაძლებლობა.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. წმინდა ინვესტიციებს ფინანსურ ლიზინგში კომპანია ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ღირებულებით ასახავს. ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებული თანხები და სხვა ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულებაა (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დისკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის სამართლიანი ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტრების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

ლიზინგის დაწყებამდე მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსი აისახება, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები, ან წინასწარ გადახდილი თანხები, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. ლიზინგის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თანამონაწილობის თანხა აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები. ეს ავანსები მოიცავს ლიზინგის ფარგლებში გადასაცემი აქტივების შესასყიდად პროცენტიან საავანსო გადახდებს. ამგვარი ავანსების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობის სახით. ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგის კონტრაქტისათვის გადახდილი ავანსები ფინანსური ლიზინგში წმინდა ინვესტიციის სახით აღირიცხება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღებ თანხებს კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხული/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობის სახით ხდება.

ლიზინგის მიმღებზე გაცემული სესხები. შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები გარკვეულ შემთხვევებში (როცა ისინი ვადაგადაცილებული ხდება) რეკლასიფიცირდება, როგორც

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ლიზინგის მიმღებებისათვის გაცემული სესხები და ყოფილ ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირი თანხის გადახდა დარიცხულ პროცენტთან ერთად უნდა მოხდეს. სესხების აღიარება საწყის ეტაპზე ხდება, როგორც მისაღები თანხების ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობისა, ხოლო შემდგომ - როგორც ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობა.

წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილ თანხებში ძირითადად შედის სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები, საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგით შესაძენი აქტივები და სხვა წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილი თანხების ასახვა გაუფასურების ზარალის ოდენობით ხდება.

თუ წინასწარ გადახდილი თანხების ამოღებადი ნაწილი ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარ გადახდილი თანხის საბალანსო ღირებულება ამოღებად ღირებულებამდე მცირდება. მიღებული სხვაობის, ანუ გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება იმ წლის მოგებასა თუ ზარალში, რომელშიც ის წარმოიშვა. წინასწარგადახდილი თანხების გაუფასურების ზარალის შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი. გაუფასურების ზარალის აღიარება ზარალსა თუ ხარჯში ერთი თუ რამდენიმე შემთხვევის („ზარალის შემთხვევა“) შედეგად ხდება ზარალის წარმოშობის მომენტში, რასაც წინ უსწრებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარება და რაც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სანდო წყაროებით შეფასებული სამომავლო ფულის ნაკადების ოდენობასა და დროზე. კომპანია ახდენს ლიზინგის მიმღებების კლასიფიცირებას მნიშვნელოვან და უმნიშვნელო კატეგორებად გაუფასურების ზარალის რეზერვის დაანგარიშების მიზნებისათვის, ხოლო გაუფასურების ზარალს აფასებს როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.

ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული ლიზინგის მიმღებების გაუფასურების ზარალის დასადასტურებლად ხდება კონკრეტული ხარისხობრივი და თვისობრივი შემთხვევების გამოკვეთა იმის უზრუნველსაყოფად, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ზარალის შემთხვევის იდენტიფიცირება.

თუ არსებობს დასტური იმისა, რომ გაუფასურების ზარალის შემთხვევას ჰქონდა ადგილი მნიშვნელოვან საკრედიტო დავალიანებასთან მიმართებაში, კომპანია ლიზინგის მიმღებებს აფასებს ინდივიდუალურ დონეზე და ზარალის ოდენობას ითვლის სხვაობის სახით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და დავალიანების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. მომავალში ამოსაღები თანხების დასათვლელად კომპანია იყენებს შეფასების სანდო წყაროებს და სცენარის ანალიზის ტექნიკას და ითვალისწინებს ანგარიშგების თარიღისათვის ხელმისაწვდომ ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის ზოგად მაკროეკონომიკურ გარემოსა და თუ მსესხებლის საქმიანობის დარგში განხორციელებულ უარყოფით ცვლილებებს.

თუ კომპანიის შეფასებით, არ არსებობს ობიექტური დასტური იმისა, რომ ინდივიდუალურ დონეზე შეფასებულმა ფინანსურმა აქტივმა განიცადა ზარალი, იმისდამიუხედავად, მნიშვნელოვანი იყო ის თუ უმნიშვნელო, ასეთი აქტივის გაუფასურებას კომპანია კოლექტიურ დონეზე ახდენს.

კოლექტიურად შეფასებული სესხების ჯგუფის გაუფასურების ზარალის რეზერვის დასათვლელად, კომპანია აფასებს შემდეგ რისკ პარამეტრებს: დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული ზარალი ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუ იცვლება შიდა და გარე გარემო და ისტორიული მონაცემები აღარ ასახავს არსებულ მდგომარეობას, კომპანია აკორექტირებს რისკ პარამეტრებს მიმდინარე დაკვირვებად მონაცემებზე დაყრდნობით იმ მიმდინარე პირობების ეფექტების გასათვალისწინებლად, რომლებსაც წარსულ პერიოდებზე გავლენა არ მოუხდენია, და პირიქით, იმ წარსული გარემოებების ეფექტების უგულვებელსაყოფად, რომლებიც უკვე აღარ არსებობს.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კომპანია მოახდენს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარებას, თუ, იდენტიფიცირებისას გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს გამოწვეულია ობიექტური შემთხვევის დადგომით. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით მოგების ან ზარალის მუხლში. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგის მიმღებების რეზერვების უკუგატარებისათვის უნდა არსებობდეს ობიექტური დასტური იმისა, რომ გამოსწორდა ლიზინგის მიმღებების ფინანსური მდგომარეობა ან გაუმჯობესდა უზრუნველყოფის პაკეტი.

სხვა მისაღები თანხები. თავდაპირველად სხვა მისაღები თანხების აღიარება სამართლიანი ღირებულებით ხდება, შემდგომ კი - ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, და აკლდება გაუფასურების ზარალის რეზერვი. მისაღები თანხების გაუფასურების ზარალის რეზერვი დგინდება მაშინ, როცა არსებობს ობიექტური დასტური იმისა, რომ კომპანიას არ შეეძლება ყველა მისაღები თანხის ამოღება ასეთი თანხებისთვის განსაზღვრული თავდაპირველი პირობებით. სავაჭრო დებიტორების გაუფასურების ნიშნებად სახელდება დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, დებიტორის გაკოტრების თუ ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, და დაუფარავი თუ ვადაგადაცილებული ვალდებულებები.

რეზერვის ოდენობა განისაზღვრება, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობა, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში. როცა სხვა მისაღები თანხები ამოუღებადია, მათი ჩამოწერა სხვა მისაღები თანხებისთვის არსებული სარეზერვო ანგარიშის გაქვითვის გზით ხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებასა და ზარალში აისახება.

ლიზინგის მიზნებისათვის შესყიდული აქტივები. ლიზინგის მიზნებისათვის შესყიდული აქტივები წარმოადგენს ისეთ მაწქანა-დანადგარებს, რომელთა გადაცემაც შემდგომ ეტაპზე ლიზინგის მიზნებისათვის, ხოლო ასახვა - ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვაობის სახით უნდა მოხდეს.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. საწყის ეტაპზე, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან მიღებული აქტივების აღიარება სამართლიანი ღირებულებით ხდება, ხოლო შემდგომ ხელახლა ფასდება ღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შედარებით მიღებული ნაკლები თანხის ტოლი ოდენობით.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში კომპანია ფინანსურ აქტივს თუ ვალდებულებას აღიარებს მაშინ, როცა იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მხარე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტანდარტული ყიდვა-გაყიდვის აღიარება ანგარიშსწორების თარიღით ხდება. ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტული ყიდვის ტრანზაქცია, რომელიც შემდგომ ეტაპზე სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ვაჭრობის თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის იმავე წესით აისახება, როგორც შეძენილი ინსტრუმენტების შემთხვევაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება საწყის ეტაპზე სამართლიანი ღირებულებით ხდება, რასაც მოგებასა თუ ზარალში გატარებული ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში (რომელთა ასახვა სამართლიანი ღირებულებით არ ხდება) ასევე ემატება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ფინანსური აქტივის თუ ფინანსური ვალდებულების შეძენას თუ გამოშვებას უკავშირდება. ამ მუხლების შემდგომი ხელახალი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

განმარტებულია წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური აქტივების აღიარების უარყოფა. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების უარყოფას, თუ (ა) ხდება აქტივების გამოსყიდვა ან აქტივებიდან მიღებულ უფლებებს ფულად ნაკადებთან მიმართებაში სხვაგვარად გაუვიდა ვადა ან (ბ)კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან მიღებული უფლებები ფულად ნაკადებთან მიმართებაში ან უფლებების გადაცემის გარიგება დადო და ამავე დროს (i) არსებითად გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი თუ სარგებელი ან (ii) არსებითად არც გადასცა და არც შეინარჩუნა მათ ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი თუ სარგებელი და არ შეინარჩუნა კონტროლი. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როცა კონტრაჰენტს არ გააჩნია აქტივის, როგორც ერთიანი მთლიანის, არადაკავშირებულ მესამე მხარეზე გაყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და ასახვა ხდება მაშინ, როცა კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და ასევე აქვს განზრახულობა, რომ ან მოახდინოს ანგარიშსწორება წეტო ღირებულებით ან გაყიდოს აქტივი და პარალელურად დაფაროს ვალდებულება.

ქონება და მანქანა-დანადგარები. ქონებისა და მანქანა-დანადგარების ასახვა ხდება შემდეგნაირად: ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის მენეჯმენტი აფასებს, ჩანს თუ არა ქონების და მანქანა-დანადგარების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს ამოღებადი თანხის ოდენობას, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: ერთმანეთს ედრება აქტივის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოყენებითი ღირებულება და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის უწყისში. წინა წლებში აქტივის აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება მაშინ, როცა იცვლება აქტივის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებული შეფასება ან აქტივის სამართლინ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების სიდიდე.

გაყიდვიდან მიღებული თანხებისა და საბალანსო ღირებულების შედარებით განსაზღვრული ნამეტისა თუ ზარალის (დანაკარგის) აღიარება მოგებასა თუ ზარალში ხდება.

ცვეთა. არ ხდება მიწის ნაკვეთის ცვეთა. ქონებისა თუ მანქანა-დანადგარების სხვა პუნტების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად იანგარიშება მათი ღირებულების განაწილებისათვის ნარჩენ ღირებულებასთან მიმართებაში სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5
მანქანები და საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში გაცემული მანქანები	5
ავეჯი და აპარატურა	5
ლიზინგის ფარგლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები	6.5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: აქტივის განკარგვის შედეგად კომპანიის მიერ მიმდინარე პერიოდში მიღებულ თანხას გამოკლებული განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და ამჟამად მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაშია. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ კომპანია აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური არსებობის ბოლომდე აპირებს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები განხილვას და კორექტირებას ექვემდებარება, ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების კაპიტალიზაცია მათ შესაძენად და გამოსაყენებლად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაციის შედეგად ხდება.

ერთეულის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებთან უშუალოდ ასოცირებული განვითარების ხარჯები აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ სტაბილურად მზარდი ეკონომიკური სარგებლის შემოსული ნაკადები ხარჯებს აღემატება. კაპიტალიზებულ ხარჯებში შედის პროგრამის შემქმნელი გუნდის თანამშრომელთა ხარჯები და შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო წილი. კომპიუტერულ პროგრამასთან ასოცირებული ყველა სხვა ხარჯის, მაგალითად, მოვლა-შენახვის, გატარება მისი გაწევისას ხდება.

არამატერიალური აქტივების ღირებულების შემცირება წრფივი მეთოდის გამოყენებით ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები:
ლიზინგის ERP პროგრამა	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება შემდეგნაირად: ერთმანეთს ედრება გამოყენებითი ღირებულება და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. ასეთ ქონებაში კომპანია ფიზიკურად არ არის განთავსებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება მისი ღირებულებით (ამაში შედის ტრანზაქციის ხარჯებიც) და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი აფასება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია მისი გაცვლა ინფორმირებულ, მსურველ მხარეებს შორის გაშლილი მკლავის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციის ფარგლებში.

აქტიურ ბაზარზე ფასების არარსებობის პირობებში, კომპანია იყენებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის:

(ა) სხვადასხვა ტიპის, მდგომარეობის თუ ლოკაციის მქონე ქონებისთვის დაწესებული ფასები აქტიურ ბაზარზე, რომლებიც სწორედ ამ განსხვავებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული;
(ბ) მსგავსი ქონებისთვის ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე დაწესებული ბოლოდროინდელი ფასები, რომლებიც ტრანზაქციის თარიღიდან მოყოლებული ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული; და
(გ) სანდო წყაროების მეშვეობით შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც დასტურდება ნებისმიერი ლიზინგის თუ სხვა არსებული კონტრაქტების პირობებით და (შესაძლებლობის ფარგლებში) გარე წყაროებით, როგორებიცაა მაგალითად იმავე ლოკაციაზე და პირობებში, მსგავსი ქონებისთვის განსაზღვრული მიმდინარე საბაზრო იჯარის ოდენობა, და რომლის ფარგლებშიც ფულადი ნაკადების ოდენობისა და დროის გამოსაანგარიშებლად გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასების ამსახველი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით განისაზღვრება. ხსენებულ შემფასებლებს გააჩნიათ აღიარებული და რელევანტური

ნაცა ჯახია

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

პროფესიული კვალიფიკაცია და წარსული გამოცდილება მსგავს ლოკაციაზე განთავსებულ და მსგავს კატეგორიას მიკუთვნებულ ქონების შეფასებასთან მიმართებაში.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებების შედეგად მიღებული ნამეტისა თუ დანაკარგის ასახვა მოგებასა თუ ზარალის წლიურ მაჩვენებელში ხდება და ცალ-ცალკე გატარდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის სახით და ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი ახასიათებს. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ფულად სახსრებსა და და მის ეკვივალენტებში შედის ბანკში თავდაპირველად სამ თვეზე ნაკლები ვადით განთავსებული თანხები.

კლიენტებისგან მიღებული ავანსები. ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დაწყებამდე მიღებულ შენატანებს, რომელთა გატარებაც ამორტიზებული ღირებულებით ხდება. ეს ავანსები ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით იქვითება კლიენტის მიერ გადასახდელი პირველი სალიზინგო შენატანის თარიღზე.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორები აისახება მაშინ, როცა კონტრაჰენტი შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა კრედიტორების ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება.

სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციებია. მათი ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება. თუ კომპანია შეისყიდის მის მიერვე გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათი ამოღება ხდება ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებისა და ანაზღაურების სხვაობა აისახება ვალის განულების შედეგად მიღებულ ნამეტ შემოსავალში.

რეზერვები. რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანიას წარსული შემთხვევებიდან გამომდინარე წარმოეშვება იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლების მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ხსენებული ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი.

საქციო კაპიტალი. საქციო კაპიტალის აღიარება მისი ღირებულებით ხდება. ნაღდი ფულის ნაცვლად კაპიტალში აქტივების სახით განხორციელებული შენატანი მისი განხორციელების თარიღისათვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით აისახება.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, თუ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ რესურსების გადინება იქნება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი. პირობითი აქტივის აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, არამედ აისახება მაშინ, როცა წარმოიშვება ეკონომიკური სარგებლების გადინების ალბათობა.

ნათია ჯახუა

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები. დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაჰენტ ბანკებთან ახორციელებს ანაბრების ჩათვლას. ამგვარი ანაბრები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, აგრეგირებულია და ერთ დერივაციულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაჰენტი ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნეს მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად - თუ უარყოფითი. ცვლილებები დერივაციული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგების გადასახადები ასახულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების დასაბეგრი /(გამოსაქვითი) გადასახადი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას და გადავადებულ გადასახადს, რომელიც აღიარებულია წლის მოგებასა თუ ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, ამ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რომლის გადახდა საგადასახადო ორგანოების წინაშე თუ მათგან გამოქვითვა მოსალოდნელი იყო მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრი მოგებისა თუ ზარალისათვის. დასაბეგრი მოგება თუ ზარალი იანგარიშება იმ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, რომლებიც შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე გამოსაქვეყნებლად იქნა ნებადართული.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდზე გადატანასთან და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებებში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებთან დაკავშირებით. თავდაპირველი აღიარების გამონაკლისების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში, რომელიც არ უკავშირდება ბიზნესების შერწყმას, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველი აღიარებისას გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები გამოითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიღებული ან არსებითად მიღებული იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ პერიოდთან მიმართებაში, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადატანა მოხდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვად დროებით სხვაობებთან და გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დროებითი სხვაობა რევერსირდება და მომავალში დასაბეგრი მოგება საკმარისი იქნება გაქვითვების განსახორციელებლად.

მოგების გადავადებული გადასახადის აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდა მაშინ, როცა მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის სამართლებრივი უფლება არსებობდა და როცა ერთი და იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ან ერთი და იმავე გადამხდელი ერთეულისთვის ან სხვადასხვა გადამხდელი ერთეულებისათვის დაკისრებულ მოგების გადასახადთან მიმართებაში გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა ნეტო ღირებულებით ხდებოდა.

3 მირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, თუ არ მოხდა ამ უკანასკნელის განაწილება ან დივიდენდის სახით განაწილების დაგეგმვა.

15 % საშემოსავლო გადასახადი ერიცხება სრულ თანხას (ე.ი. წმინდა დივიდენდს ემატება 5%-იანი წყაროსთან დაკავების გადასახადი, ასეთი არსებობის შემთხვევაში და გაიყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები საგადასახადო დაბეგვრას არ ექვემდებარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით სრულ თანხაზე, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი, რომელიც თავის მხრივ შემდეგნაირად გამოითვლება: დეკლარირებული და დასაბეგრი მოგებისთვის გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, და შემდეგ გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებისთვის დაკისრებულ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების მოგების გადასახადი ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როცა მოხდება დივიდენდების დეკლარირება, იმისდამიუხედავად, თუ რეალურად როდის ან რომელი პერიოდისთვის განხორციელდება გადახდა. ამის შედეგად, კომპანიამ მოახდინა 2016 წლის 31 დეკემბრისათვის აღიარებული ყველა გადავადებული საგადასახდო აქტივისა და ვალდებულების უარყოფა, რაც შესაბამისად აისახა 2016 წლის მოგებასა და ზარალში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ მოხდა მოგების გადასახადის იმ პირობითი ვალდებულების აღიარება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემთხვევაში უნდა წარმოშობილიყო.დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი მაინც ერიცხება ხარჯებს თუ სხვა სახის გადახდილ თანხებს, რომლებიც არაეკონომიკურ აქტივობებს უკავშირდება, იქნება ეს აქტივების თუ მომსახურებების უფასო მიწოდება თუ წარმომადგენლობითი ხარჯების გადაცემა, და თუ ეს აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ყველა სახის ავანსი და ამ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტიპის ოპერაციები, ისევე როგორც ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ეს გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც საგადასახადო კრედიტების გამოკლების შედეგად არის დაკორექტირებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან თუ მომსახურებებთან მიმართებაში, აისახება გადასახადებში გარდა მოგების გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება მენეჯმენტის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების ასახვა ხდება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რასაც მენეჯმენტი უფრო მოელოდება, ვიდრე იმას, რომ არ მოხდეს დამატებითი გადასახადების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ პოზიციების ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში. შეფასება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომელიც მიღებული ან არსებითად მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ან ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო თუ სხვა სახის გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის თუ გადასახადებისთვის, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება მენეჯმენტის მიერ სანდო წყაროების გამოყენებით პროგნოზების გაკეთების შედეგად იმ ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესრულებას ხმარდება.

ნაო ჯაია

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების კორექტირებები მოგების დასაბეგრ გადასახადში აისახება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ("დღგ"). დასაბეგრი დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება ან (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღებისას ან (ბ) მომხმარებლებისათვის საქონლის თუ მომსახურებების მიწოდებისას, შედარებით ადრე დამდგარი მოვლენის დროს. ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოყენება კი, როგორც წესი, დასაბეგრი დღგ-ს გადასაფარავად ხდება ამ უკანასკნელის შემცირების მიზნით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდას ნეტო ღირებულებით ითხოვენ. ქონების, ქარხანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით ხდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ხდება ნასესხები თანხებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიოების (თუ ასეთი თანხების ოდენობა დიდია) გადავადება (სხვა დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. საკომისიო შემოსავლების/ხარჯების აღიარებისას დარიცხვის მეთოდი გამოიყენება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი"). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სპოტკურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები იმ პრევალირებადი სავალუტო კურსის მიხედვით აისახება, რომელიც ოპერაციის თარიღზე ფიქსირდება. კურსების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი კი შევა უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ წმინდა ნამეტ შემოსავალში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის, შემდეგნაირად დაფიქსირდა 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი (2016: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი); 1 ევრო= 3.1044 ლარი (2016: 1 ევრო = 2.7940 ლარი).

პერსონალის ხარჯები და პერსონალთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აისახება იმ წელიწადში, როდესაც შესაბამისი მომსახურებების გაწევა მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები პრეზენტაციაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ციფრების კორექტირება მიმდინარე წლის მონაცემებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები

კომპანიის მენეჯმენტი აკეთებს გათვლებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაზე. მუდმივად ხდება გათვლებისა და დასკვნების შეფასება მენეჯმენტის გამოცდილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ შორის მომავალში მოსალოდნელი ისეთი ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელად მიიჩნევა. სააღრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას, გარდა გათვლებისა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს. იმ დასკვნებში, რომლებსაც ყველაზე ხელშესახები ეფექტის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ოდენობებზე შეუძლიათ, ხოლო გათვლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის

4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში მოიაზრება შემდეგი:

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ზარალი: კომპანია რეგულარულად ახდენს წმინდა ინვესტიციების გადახედვას ფინანსურ ლიზინგში გაუფასურების შესაფასებლად. იმის განსაზღვრისას, გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს თუ არა, კომპანია აკეთებს დასკვნებს, არსებობს თუ არა ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობია ის კლება, რაც საპროგნოზო ფულადმა ნაკადებმა შეიძლება განიცადოს პორტფელის თითოეული იჯარის შემთხვევაში. ასეთ მტკიცებულებად გამოდგება ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ გაუარესდა ლიზინგის მიმღების გადახდისუნარიანობა, ქვეყანაში თუ ადგილობრივ ეკონომიკაში შექმნილი ვითარება, რაც ინდივიდუალური ლიზინგის მიმღებების დონეზე დეფოლტის სტატუსს განაპირობებს. საპროგნოზო ფულადი ნაკადების შეფასებისას, მენეჯმენტი აკეთებს გათვლებს ზარალის ისტორიული მაჩვენებლის გათვალისწინებით საკრედიტო რისკის მატარებელ აქტივთან მიმართებაში, და ასევე ზარალის თვალსაზრისით იმ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, რაშიც ინდივიდუალური მოიჯარე აღმოჩნდება. რეგულარულად ხდება იმ მეთოდოლოგიისა და დაშვებების შეფასება, რომლებიც საპროგნოზო ფულადი ნაკადების როგორც ოდენობის, ასევე ვადების შეფასებისას გამოიყენება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს განსხვავება ზარალის საპროგნოზო და რეალურ მონაცემებს შორის. ზარალის რეალურ მაჩვენებელსა და საპროგნოზო მაჩვენებელს შორის 5%-იანი სხვაობა (ეს იქნება ზრდა თუ კლება) შესაბამისად განაპირობებს გაუფასურების ანარიცხების ზრდას ან შემცირებას - 72,935 ლარი (2016: 64,607 ლარი). გაუფასურების რეზერვების დათვლა დისკონტირებული საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე ხდება, რაც თავის მხრივ გადახდების და გირაოს სახით არსებული აქტივების გაყიდვების საფუძველზე დგინდება.

სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი. კომპანია რეგულარულად ახდენს თავისი სხვა ფინანსური აქტივების გადახედვას გაუფასურების შეფასების მიზნით. იმის განსაზღვრისას, გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს თუ არა, კომპანია აკეთებს დასკვნებს, არსებობს თუ არა ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობია ის კლება, რაც საპროგნოზო ფულადმა ნაკადებმა შესაძლოა განიცადოს პორტფელის თითოეული ლიზინგის შემთხვევაში, რაც მოიცავს შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღებ დებიტორებს, სხვა დებიტორებს და ლიზინგის მიმღებებზე გაცემულ სესხებს. მენეჯმენტი გათვლებს აკეთებს დებიტორების წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმეების შედეგებიდან, მათი ფინანსური მდგომარეობიდან და სხვა დამხმარე დოკუმენტაციიდან და წყაროებიდან გამომდინარე.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

არსებული ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების სიხშირე დაბალია საქართველოს საფონდო ბაზარზე. ამის მიუხედავად, მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, საკმარისია ბაზარზე განხორციელებული აქტივობები მსგავს ქონებებთან დაკავშირებით მარტივი ოპერაციების შესადარისი ფასების გასარკვევად, რაც თავის მხრივ საჭიროა კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრავად. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 14.

ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ამ აქტივების სამართლიან ღირებულებას კომპანია ადგენს ლიზინგის შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღზე გარე შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს სააწგარიშგებო თარიღისათვის, რაც შემდეგნაირად გამოითვლება: შეფასებულ გასაყიდ ფასს აკლდება გაყიდვასთან დაკავშირებით შეფასებული ყველა სახის ხარჯი. სამართლიანი ღირებულება და გასაყიდი ფასი შიდა და გარე შემფასებლების მიერ საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით განისაზღვრება. საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების კლასიფიკაცია

4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები (გაგრძელება)

ხდება ფიქსირებულ აქტივებად და მათი საწყისი ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების შესაბამისად, ხოლო ამორტიზებული ღირებულება კი იანგარიშება კომპანიის მიერ იჯარით გასაცემი აქტივის ყიდვის თარიღიდან.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიის მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკები წინა ფინანსური წლის პოლიტიკებს შეესაბამება. რაიმე ახალ ან შეცვლილ სტანდარტს ან ინტერპრეტაციას, რაც სააღრიცხვო პოლიტიკას შეცვლიდა, ადგილი არ ჰქონია.

6 ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები

მცირედი ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს-ები)

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა რამდენიმე მცირედი ცვლილება, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული ევროკავშირის ფარგლებში გამოსაყენებლად. კომპანიას ჯერ არ მიუღია 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ძალაში შესული ცვლილებები და ვარაუდობს, რომ მიღების შემდეგ ეს ცვლილებები არსებითად არ შეცვლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს.

ძირითადი ახალი ფასს-ები

2017 წლის პირველი იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისათვის გამოიცა სავალდებულოდ შესასრულებელი რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც ჯგუფს ჯერ არა აქვს დამტკიცებული.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება *(შესწორდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია დაწყებული წლიური პერიოდებისათვის ან 2018 წლის 1 იანვრიდან).* ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიას მოიცავს: (ა) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ ამორტიზაციის ხარჯით; (ბ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVOCI) და (გ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით (FVPL).
- ვალის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის მოდელზე, რომლითაც იგი განკარგავს ფინანსურ აქტივებს და ასევე იმაზე, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ხმარდება თუ არა (SPPI-მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის მიზნებისათვის). თუ ვალის ინსტრუმენტი დაგროვებით ხასიათს ატარებს, ის ცვეთადი ღირებულებით შეიძლება აისახოს, თუ იგი ამავე დროს აკმაყოფილებს ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნას. ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნების (SPPI) შესაბამისი ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც ზის იმ პორტფელში, სადაც კომპანია ახორციელებს აქტივების ფულადი ნაკადების შეკრებას და აქტივების გაყიდვას შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVOCI). ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ხმარდება, უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

მოგება-ზარალის ანგარიშის საშუალებით- FVPL (მაგ. დერივატივები). ჩაშენებული დერივატივები აღარ გამოეყოფა ფინანსურ აქტივებს, თუმცა გათვალისწინებული იქნება ძირისა და პროცენტის გადახდის პირობის შეფასებისას.

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია საბოლოოდ აირჩიოს, რომ სამართლიანი ღირებულების ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში, თუ ინსტრუმენტი ვაჭრობის მიზნებისათვის არ გამოიყენება. თუ კაპიტალის ინსტრუმენტი ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი, სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შევა მოგებასა თუ ზარალში.
- ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში თითქმის უცვლელად გადავიდა ფასს 9-ში. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ კომპანიას მოეთხოვება ცვლილებების ეფექტების წარმოდგენა ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის შეფასებისას, რომელიც სამართლიანი ღირებულებით აისახება მოგებასა თუ ზარალში სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- ფასს 9 წარმოადგენს გაუფასურების ზარალის აღიარების ახალ მოდელს - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ECL) მოდელი. ეს არის სამეტაპიანი მიდგომა, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება. პრაქტიკულად ახალი წესების მიხედვით კომპანიებმა დაუყოვნებლივ უნდა აღრიცხონ ზარალი, რომელიც უდრის 12-თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლის საკრედიტო ხარისხი (ან „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები“ სავაჭრო დებიტორებთან მიმართებაში) გაუფასურებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების და არა 12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. ეს მოდელი ასევე გულისხმობს ლიზინგისა და სავაჭრო დებიტორების მიმართულებით საოპერაციო საკითხების გამარტივებას.
- ცვლილებები შევიდა ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებში საბუღალტრო აღრიცხვისა და რისკების მართვის უფრო მაღალი ხარისხის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს სტანდარტი კომპანიებს აძლევს საღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალებას. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები ფასს 9 -ს მიხედვით ან განაგრძონ ბასს 39-ის გამოყენება ყველა ტიპის ჰეჯისათვის, რადგან ახალი სტანდარტი ჯერჯერობით არ განიხილავს მაკრო ჰეჯირების საბუღალტრო აღრიცხვას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზისა და ამ დროისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, თიბისი ლიზინგის მენეჯმენტმა 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღებიდან ფინანსურ ანგარიშგებებზე 778,348 ლარის ოდენობის ეფექტი შეაფასა. კომპანია გეგმავს შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებას, შედეგად კი მოსალოდნელია აქციონერთა კაპიტალის შემცირება.

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ერთი მხრივ, ბასს 39-ის ფარგლებში შეფასების არსებული კატეგორიების მიხედვით და მეორეს მხრივ, 2018 წლის 1 იანვარს დაწურგილი ფასს 9-ის შესაბამისად შეფასების ახალი კატეგორიების გათვალისწინებით:

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (საბოლოო ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით)	შედეგი				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (საწყისი ნაშთი 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით)
				ხელახალი შეფასება		რეკლასიფიკაცია		
ათასობით ლარში	ბასს 39	ფასს 9		ECL*	სხვა	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	FLR	AC	143,776,957	778,348	-	-	-	**142,998,609**
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში			**143,776,957**	**778,348**	**-**	**-**	**-**	**142,998,609**

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გაუფასურების მეთოდოლოგიის მიხედვით, კომპანია თავისი პორტფელის კლასიფიცირებას ახდენს სამ ეტაპად:

- ეტაპი I – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი II – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი III – საკრედიტო გაუფასურების მქონე დავალიანებები.

ეტაპზე I განთავსებული დავალიანებებისთვის კომპანია აღრიცხავს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, ხოლო ეტაპებზე II და III მოცემული დავალიანებებისთვის - არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს.

ფასს 9-ის ძირითადი ეფექტი უკავშირდება ეტაპი II-ისათვის განსაზღვრულ კლასიფიცირებას და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას რეზერვების კალკულაციაში. ეტაპისთვის I რაიმე სახის დამატება არ მომხდარა, რადგან ბასს 39-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანია ისედაც იყენებდა 12 თვის დანაკარგების იდენტიფიცირების პერიოდს (LIP).

ეტაპი II-ზე კლასიფიცირების მიზნებისათვის, კომპანია იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30 დღიანი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- დეფოლტის ალბათობის პარამეტრის გაუარესება წინასწარგანსაზღვრულ ზღვართან მიმართებაში.

ფასს 9-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანიამ ასევე შეცვალა დეფოლტის განმარტების კრიტერიუმი ამ უკანასკნელის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის შიდა სახელმძღვანელო პრინციპებთან. დეფოლტის განახლებული განმარტება შემდეგ კრიტერიუმებს მოიცავს: (i) 90 დღიანი ვადაგადაცილება (ii) პრობლემური რესტრუქტურიზაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებენ მსესხებლის უუნაროების ალბათობაზე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში.

5 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

რეზერვების დონეზე ფასს 9-ის ეფექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი საპროგნოზო ინფორმაციის დამატებაა (FLI). კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების შეფასების პროცესში. საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სამ სცენარს განიხილავს:

- საბაზისო (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე)
- ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი)
- პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი)

კომპანია ამზადებს საბაზისო მაკრო სცენარს და ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროებიდან (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები) მიღებულ პროგნოზებს ზოგადად აღიარებულ საბაზრო მოლოდინებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები მომზადებულია ბანკის მაკროეკონომიკური სამსახურის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
კომპანია ითვლის გაუფასურების ზარალის ოდენობას თითოეული სცენარის შემთხვევაში. საკრედიტო ზარალის საბოლოოდ მოსალოდნელი ციფრების მისაღებად ბანკი იყენებს ალბათობის საშუალო შეწონილი სიდიდის მიდგომას, რომლის მიხედვითაც თითოეული სცენარის ალბათობები შეწონილი სიდიდის სახით გამოიყენება.

ახალი სტანდარტით ასევე იზრდება ანგარიშგების მოთხოვნები განმარტებით ნაწილთან დაკავშირებით და ცვლილებები შედის პრეზენტაციაში. ამის შედეგად, მოსალოდნელია კომპანიის მიერ განმარტებების მომზადების ტიპისა და მასშტაბის შეცვლა ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში განსაკუთრებით ახალი სტანდარტის დანერგვის წელიწადს.

ფასს 15, შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
ახალ სტანდარტი ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს ოპერაციის ფასის სანაცვლოდ. ნებისმიერი საქონლის ან მომსახურებების განსხვავებული პაკეტი ცალკე უნდა იქნას აღიარებული და ნებისმიერი ფასდაკლება თუ ფასდათმობა ხელშეკრულების ფასთან მიმართებაში ცალკე უნდა იქნას განსაზღვრული. როცა რაიმე მიზეზით განსხვავებული მიდგომები ისახება, უნდა მოხდეს მინიმალური თანხების აღიარება, თუ არ არსებობს რევერსირების რაიმე მნიშვნელოვანი რისკი. უნდა მოხდეს იმ ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც წარმოშობილია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, და ასევე, ამ ხარჯების ცვეთა იმ პერიოდზე, როცა მოხდება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლების მოხმარება. ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად არსებითი ეფექტის მოხდენა კომპანიაზე მოსალოდნელი არ არის.

ფასს 16, იჯარა (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის პირველ იანვარს დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე). ახალი სტანდარტი შეეხება იჯარის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა ტიპის იჯარა მოიჯარეს (ლიზინგის მიმღებს) აძლევს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის ვადის დაწყებიდან და თუ სალიზინგო შენატანების გადახდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16-ის თანახმად, იჯარის კლასიფიკაცია აღარ ხდება საოპერაციო და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს ბასს 17-ით არის მოთხოვნილი. სანაცვლოდ, ახალ სტანდარტს შემოაქვს ერთი მოიჯარის ბუღალტრული აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება, რომ აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იმ იჯარასთან მიმართებაში, რომლის ვადა 12 თვეს სცდება, თუ შესაბამისი აქტივი არ არის დაბალი ღირებულების; და (ბ) იჯარის აქტივების ცვეთა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისგან დამოუკიდებლად. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-თან შედარებით. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს თავისი იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად და მათ აღრიცხვას

ნაო ყბა

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

ორი სხვადასხვა გზით. ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის დანერგვის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს) - ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევდა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის ფარგლებში ეწარმოებინა. აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის რთული აღმოჩნდა სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ერთადერთი პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტია სადაზღვევო კომპანიის მიერ მართული ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტის, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტის აღსარიცხავად. სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობის აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო (შესრულებული) ფულადი ნაკადების რისკით შეწონილი მიმდინარე ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ინფორმაცია შესრულებულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება ზოგადად ხელმისაწვდომ ინფორმაციას საბაზრო პირობებთან მიმართებაში: პლიუს ნიშნით (თუ ღირებულება ვალდებულებას აღნიშნავს) ან მინუს ნიშნით (თუ ღირებულება აქტივს აღნიშნავს); (ii) კონტრაქტების ერთობლიობაში გამოუმუშავებელი მოგების სახით წარმოდგენილი ოდენობით (საკონტრაქტო მომსახურების მარჟა). სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობიდან მისაღებ მოგებას სადაზღვევო კომპანიები აღიარებენ იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, და მას შემდეგ, რაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ერთობლიობა არის ან მომავალში გახდება ზარალიანი, კომპანია დაუყოვნებლივ მოახდენს ზარალის აღიარებას. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასს 22 უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები და ავანსის ანაზღაურება (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).

წინამდებარე ინტერპრეტაცია შეეხება ტრანზაქციის თარიღის განსაზღვრას უცხოურ ვალუტაში წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ბასს 21 სტანდარტის გამოყენებისას. აქ კონკრეტულად საუბარია პირის მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის ავანსის გადახდაზე ან მიღებაზე. ინტერპრეტაციაში დაკონკრეტებულია, რომ ტრანზაქციის თარიღი ის თარიღია, როდესაც პირი თავდაპირველად აღიარებს არამონეტარულ აქტივებს ან არა-მონეტარულ ვალდებულებებს ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. თუ ავანსის სახით რამდენჯერმე ხდება თანხის გადახდა თუ მიღება, ინტერპრეტაციის მიხედვით პირმა უნდა განსაზღვროს ავანსის გადახდის თუ მიღების ტრანზაქციის თარიღი. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

*ფასს **23** მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული გაურკვევლობები (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).*

ბასს 12 აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების აღრიცხვა, მაგრამ არა იმას, თუ როგორც უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. წინამდებარე ინტერპრეტაცია კი განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნების გამოყენება მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით გაურკვევლობების წარმოშობის შემთხვევაში. პირმა უნდა განსაზღვროს, ცალკე განიხილოს გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული თითოეული გაურკვევლობა, თუ რომელიმე ან რამდენიმე მათგანთან ერთად, იქიდან გამომდინარე, თუ რომელი მიდგომა უკეთესად უზრუნველყოფს გაურკვევლობის პროგნოზირებას. პირმა უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო გადაამოწმებს იმ თანხებს, რომელთა გადამოწმების უფლებაც აქვს და რომ გადამოწმებისას მას სრულად ექნება ყველა საჭირო ინფორმაცია. თუ პირი დაასკვნის, რომ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ საგადასახადო ორგანოსთვის მისაღები იქნება გაურკვევლობა გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებაში, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დასაბეგრი მოგების ან ზარალის, დასაბეგრი ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თუ გადასახადების განაკვეთების განსაზღვრაზე, მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელი

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

თანხისა თუ ღირებულების გამოყენებით, იქიდან გამომდინარე, თუ რომელი მეთოდით მოელოდება პირი გაურკვევლობის პროგნოზირების უკეთესად უზრუნველყოფას. სააღრიცხვო გათვლების ცვლილების სახით, პირი ასახავს ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის იმ შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილი დასკვნებისა თუ პროგნოზების გაკეთებაზე. ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის მაგალითებში, რომლებმაც შესაძლოა განაპირობოს დასკვნებისა თუ პროგნოზების ხელახალი შეფასება, შედის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საგადასახადო ორგანოს შემოწმება ან მიღებული ზომა, საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული წესების ცვლილება, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვა დაბეგვრის რეჟიმის შემოწმების თუ გადამოწმების თვალსაზრისით. დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს დასტურის ან უარყოფის არარსებობა, ცალკე აღებული, ნაკლებ მოსალოდნელია წარმოადგენდეს ფაქტებსა თუ გარემოებებში მომხდარ ისეთ ცვლილებებს თუ ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილი დასკვნებისა თუ პროგნოზების გაკეთებაზე. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ნაკლებ მოსალოდნელია ქვემოთ ჩამოთვლილმა სხვა ახალმა განაცხადებმა, მიღების შემდეგ, არსებითი გავლენა იქონიონ კომპანიაზე:

- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში - ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრული თარიღიდან (IASB).
- ფასს 15-ის შესწორებები, შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 2-ის შესწორებები, აქციებზე დაფუძნებული გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 4-ის შესწორებები, სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა – ბასს 40-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2014-2016 წლების ციკლი - ფასს 1-ის და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- წინასწარ გადახდილი თანხები უარყოფითი კომპენსაციით - ფასს 9-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში - ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2015-2017 წლების ციკლი - ფასს 3-ის, ფასს 11-ის, ბასს 12-ისა და ბასს 23-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).

თუ ეს სხვაგვარად არ არის ზემოთ განმარტებული, ნაკლებ მოსალოდნელია ახალმა სტანდარტებმა და ინტერპრეტაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	7,865,169	5,277,270
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7,865,169**	**5,277,270**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს თიბისი ბანკში კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულია 6,919,880 (2016: 4,161,582 ლარი) ლარის ოდენობის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მათ გაუფასურების ნიშნები არ ახასიათებთ.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
"BB-" "BB+" რეიტინგების მქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	7,369,930	4,613,887
"B-" to "B+" რეიტინგების მქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	185,182	459,452
რეიტინგის არმქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	310,057	203,931
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7,865,169**	**5,277,270**

ბანკში განთავსებული გარკვეული ნაშთები დაგირავდა ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად, ამ თანხების გამოყენება მხოლოდ ფინანსური იჯარის გაცემის შემთხვევაში არის შესაძლებელი და გადმოცემულია შენიშვნაში 17.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით მოცემულია შენიშვნაში 31.

8 ბანკებიდან მისაღები თანხები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ბანკებში სამ თვეზე მეტი ვადით განთავსებული თანხები	4,431,850	-
დაკლებული: გაუფასურების რეზერვი	-	-
ბანკებიდან მისაღები მთლიანი თანხები	**4,431,850**	**-**

ბანკებიდან მისაღებ თანხებში შედის თავდაპირველი სამ თვეზე მეტი ვადით ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც დაგირავდა და 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სტატუსი აქვთ.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,432 ათასი ლარი (2016: 0) იყო განთავსებული ანაბრებზე, რომელიც გირაოს სახით უზრუნველყოფდა სასესხო პროდუქტს თიბისი ბანკში (აღწერილია შენიშვნაში 17). ბანკების მიმართ მოთხოვნების საპროცენტო განაკვეთები მოცემულია შენიშვნაში 31.

9 წინასწარ გადახდილი თანხები

	2017 წლის დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	1,966,021	939,290
საოპერაციო ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	968,314	-
სხვა წინასწარ გადახდილი თანხები	78,742	88,719
მთლიანი წინასწარ გადახდილი თანხები	**3,013,077**	**1,028,009**

10 ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები

ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები წლის ბოლოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 23,017,214 ლარს (2016: 9,614,800 ლარი). ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ყველა ავანსი მიმდინარეა, და შესაბამისად კლასიფიცირდება, როგორც წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, როგორც წესი, ანგარიშგების თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

შენიშვნაში 28 მოცემულია ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსების სამართლიანი ღირებულება.

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში

წმინდა (ნეტო) და მთლიანი (ბრუტო) ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	191,706,675	121,819,711
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(46,471,022)	(25,743,641)
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**145,235,653**	**96,076,070**
გაუფასურების რეზერვი	(1,458,696)	(1,292,131)
სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	**143,776,957**	**94,783,939**

მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
1 წლის ვადაში გადასახდელი თანხები	85,818,422	65,169,734
1-დან 5 წლამდე ვადაში გადასახდელი თანხები	105,888,253	56,649,977
სულ მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	**191,706,675**	**121,819,711**

ცვლილებები წმინდა ინვესტიციების გაუფასურების რეზერვში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გაუფასურების რეზერვი წლის დასაწყისში	**1,292,131**	**799,923**
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	262,677	651,780
წლის განმავლობაში ჩამოწერილი ამოუღებადი თანხები	(96,112)	(159,572)
გაუფასურების რეზერვი წლის ბოლოს	**1,458,696**	**1,292,131**

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული		
ორ წელზე მეტხნიანი გამოცდილების მქონე კლიენტები	38,071,170	28,083,983
ახალი კლიენტები	78,408,358	45,359,279
სულ არსებული და არა გაუფასურებული	**116,479,528**	**73,443,262**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		
- ვადაგადაცილებული 30 დღემდე	16,652,682	15,336,972
-ვადაგადაცილებული 30 დღიდან 90 დღემდე	8,480,073	5,069,021
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	**25,132,755**	**20,405,993**
გაუფასურებული კონტრაქტები – მთლიანი		
- ვადაგადაცილებული 30 დღიდან 90 დღემდე	343,286	-
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან 180 დღემდე	2,223,179	1,079,403
- ვადაგადაცილებული180 დღიდან 360 დღემდე	339,210	965,768
- ვადაგადაცილებული 360 დღიდან	717,695	181,644
სულ გაუფასურებული (*)	**3,623,370**	**2,226,815**
სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში-მთლიანი თანხა	**145,235,653**	**96,076,070**
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(1,458,696)	(1,292,131)
სულ წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**143,776,957**	**94,783,939**

(*) სულ გაუფასურებული იჯარა მოიცავს როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად გაუფასურებულ იჯარებს

კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად ხდება იჯარების კლასიფიკაცია შემდეგნაირად: 'მიმდინარე და არა გაუფასურებული' ან 'წარსული მაგრამ არა გაუფასურებული' იჯარის გაუფასურების კონკრეტული ობიექტური მტკიცებულების იდენტიფიცირებამდე. კომპანიის მიერ იჯარის გაუფასურების ძირითად მიზეზებად მიიჩნევა ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, ვადაგადაცილების სტატუსი და იჯარით გაცემული აქტივის ლიკვიდურობა.

კომპანია, როგორც წესი, იმგვარად ახდენს ფინანსური ლიზინგის კონტრაქტების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღებმა სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე გადაიხადოს მანქანა-დანადგარის შესასყიდი ფასის 20%. კომპანიას ლიზინგის ქვეშ გაცემული აქტივის საკუთრების უფლება სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს სახელშეკრულებო ვადის ბოლოს გადაეცემა სალიზინგო ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში. ჩვეულებრივ, სალიზინგო ვადა ხუთ წლამდე გრძელდება.

მოთხოვნილი უზრუნველყოფის (გირაოს) ღირებულება და ტიპი დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული გირაოს ძირითადი ტიპებია:

- ლიზინგის ქვეშ გაცემული აქტივები (ძირითადი საშუალებები და მანქანა-დანადგარები)
- თანამონაწილეობა
- უძრავი ქონება

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტის წარმოდგენა გირაოს ღირებულებების ცალ-ცალკე გამოტანით ხდება ერთის მხრივ (i) იმ აქტივების შემთხვევაში, რომელთა გირაო თუ სხვა სახის საკრედიტო უზრუნველყოფა ტოლია ან აღემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას ("ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები") და მეორეს მხრივ, (ii) იმ აქტივების შემთხვევაში, რომელთა გირაო თუ სხვა სახის საკრედიტო უზრუნველყოფა ნაკლებია აქტივების საბალანსო ღირებულებაზე („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები").

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

გირაოს ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*	*აქტივების სამართლიანი ღირებულება*	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში - მთლიანი თანხა (ბრუტო)	126,186,357	194,470,806	19,049,296	14,389,566

გირაოს ეფექტი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*	*აქტივების სამართლიანი ღირებულება*	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში - მთლიანი თანხა (ბრუტო)	72,477,598	108,860,654	23,598,472	17,018,200

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიზინგის ხელშეკრულებებიდან ზოგიერთი მისაღები თანხები და გადახდილი ავანსები დაგირავდა ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა17).

31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დეპარტამენტის შიდა შემფასებლების მიერ შეფასებული გირაოს სამართლიანი ღირებულება ვადაგადაცილებულ, მაგრამ არა გაუფასურებულ საიჯარო დებიტორებთან და გაუფასურებულ საიჯარო დებიტორებთან მიმართებაში ასე გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გირაოს სამართლიანი ღირებულება - ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებეული	37,891,185	26,869,154
გირაოს სამართლიანი ღირებულება - გაუფასურებული	5,117,102	1,905,273

12 ქონება და მანქანა-დანადგარები

	მიწა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	მანქანები	საოპერაციო ლიზინგით გაცემული მანქანები	სალიზინგო ღირებულების მატება	სულ
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის	9,934	64,023	37,764	103,256	-	17,027	232,004
მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა	-	(32,684)	(29,850)	(12,791)	-	(17,027)	(92,352)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,934**	**31,339**	**7,914**	**90,465**	**-**	**-**	**139,652**
დამატებები	-	61,510	206,660	42,777	-	159,569	470,516
განკარგვა	-	(119)	(35,731)	(22,569)	-	(17,027)	(75,446)
ცვეთის დანარიცხი	-	(18,025)	(29,742)	(18,894)	-	(25,056)	(91,717)
დაგროვილი ცვეთა ელიმინირებული განკარგვისას	-	77	29,443	2,734	-	17,027	49,281
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**74,782**	**178,544**	**94,513**	**-**	**134,513**	**492,286**
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის	9,934	125,414	208,693	123,464	-	159,569	627,074
მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა	-	(50,632)	(30,149)	(28,951)	-	(25,056)	(134,788)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**74,782**	**178,544**	**94,513**	**-**	**134,513**	**492,286**
დამატებები	-	108,372	42,353	188,035	2,436,298	90,905	2,865,963
განკარგვა	-	(2,554)	-	(19,330)		-	(21,884)
ცვეთის დანარიცხი	-	(27,219)	(44,474)	(20,908)	(88,356)	(34,062)	(215,019)
დაგროვილი ცვეთა ელიმინირებული განკარგვისას	-	1,510	17	5,171	-	-	6,698
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**154,891**	**176,440**	**247,481**	**2,347,942**	**191,356**	**3,128,044**
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის	9,934	231,232	251,046	292,169	2,436,298	250,474	3,471,153
მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა	-	(76,341)	(74,606)	(44,688)	(88,356)	(59,118)	(343,109)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**154,891**	**176,440**	**247,481**	**2,347,942**	**191,356**	**3,128,044**

13 არამატერიალური აქტივები

	ლიზინგის ERP პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	60,729	32,708	93,437
დაგროვილი ცვეთა	-	(6,195)	(6,195)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**60,729**	**26,513**	**87,242**
დამატებები	425,089	3,160	428,249
საამორტიზაციო დანარიცხი	-	(7,961)	(7,961)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**485,818**	**21,712**	**507,530**
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	485,818	35,868	521,686
დაგროვილი ცვეთა	-	(14,156)	(14,156)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**485,818**	**21,712**	**507,530**
დამატებები	227,378	-	227,378
საამორტიზაციო დანარიცხი	-	(17,671)	(17,671)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**713,196**	**4,041**	**717,237**
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	713,196	35,868	749,064
დაგროვილი ცვეთა	-	(31,827)	(31,827)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**713,196**	**4,041**	**717,237**

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიზინგის ERP (საწარმოს რესურსების დაგეგმვის)კომპიუტერული პროგრამა სატესტო რეჟიმში მუშაობდა და შესაბამისად საამორტიზაციო ხარჯი არ დარიცხულა.

14 საინვესტიციო ქონება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონება შედგება მიწის ნაკვეთისგან (10,839 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისგან (2,847 კვ.მ.), რომელიც კომპანიამ საჯარო აუქციონზე 2012 წლის 25 დეკემბერს შეიძინა. შესასყიდი ფასი 890,513 ლარს შეადგენდა. თავდაპირველად ქონების აღიარება მოხდა ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების სახით ლიზინგის მიმღების (გლდანულა სს) მიერ ფინანსურ ლიზინგში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის დაუფარავი ნაშთის გასასწორებლად. თუმცა, ლიზინგის მიმღებმა უარი თქვა არსებული ვალდებულების დაფარვაზე და აუქციონის შედეგების გასაუქმებლად მიმართა სასამართლოს. 2016 წელს სასამართლომ გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა და აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის მიერ ხელახლა მოხდა ქონების ფლობის მიზანშეწონილობის შეფასება და გადაწყვიტა მისი საკუთრებაში დატოვება კაპიტალის გაზრდის მიზნებისათვის, ამრიგად, მოხდა ქონების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად. წინა ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, მენეჯმენტმა მომავალი სამართლწარმოების ნეგატიური შედეგით დასრულების რისკი შორეულ პერსპექტივაში განსახილველად მიიჩნია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დაწყებული არ ჰქონდა ქონების დეველოპმენტთან თუ მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები და

14 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

არც მისი სამომავლო გამოყენების გეგმები ჰქონდა დასახული. შეძენილი ქონება, როგორც ასეთი, მიჩნეულია, როგორც კაპიტალის გაზრდის მიზნით არის კომპანიის საკუთრებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2,299,128 ლარად შეფასდა. შეფასება განახორციელა აღიარებული და შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაციით გამორჩეულმა შემფასებლების დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასების წარსული გამოცდილება გააჩნია. შედარების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (რეგისტრირებული გაყიდვა და/ან გაყიდვის შეთავაზება), რისთვისაც კომპანიის აქტივებსა და შესადარის ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე მოახდინეს ფასების კორექტირება გარკვეულ დონეზე. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში სამართლიანი ღირებულება მესამე დონის შეფასებას მიეკუთვნება. საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული 323,000 ლარის ოდენობის ნამეტი შემოსავლის აღიარება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოხდა.

	თვითღირებილებით გადატანილი დასაკუთრებული აქტივებიდან	სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	სხვა საკვანძო ინფორმაცია	დაკვირვებას არ დაქვემდებარებული მონაცემები	დაკვირვებას არ დაქვემდებარებული მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)
საინვესტიციო ქონება	890,513	2,299,128	გაყიდვების შედარების მიდგომა	მიწა და შენობა-ნაგებობები	ფასი კვადრატულობის მიხედვით	130 - 180

15 ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	2,573,242	4,462,680
წლის განმავლობაში ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები სამართლიანი ღირებულებით	4,917,334	6,142,846
განკარგვა გაყიდვით	(1,595,532)	(2,897,455)
განკარგვა ახალი იჯარების გადაცემით	(2,118,136)	(3,727,386)
ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით	(448,810)	(516,930)
გადატანა საინვესტიციო ქონებაში	-	(890,513)
საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს	**3,328,098**	**2,573,242**

ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე - 448,810 ლარი (2016: GEL 516,930) ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ხელახალი შეფასების შედეგად ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის მოხდა, რაც სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითადი საშუალებების სახით აისახება. დასაკუთრებული აქტივების გაყიდვასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებულმა ზარალმა 111,057 ლარი და 229,747 ლარი შეადგინა შესაბამისად 2017 და 2016 წლებში.

ნაღა ქახა

16 სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივების ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	**138,689**
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები მთლიანი თანხები	4,741,987	4,248,362
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი	(3,402,591)	(3,058,797)
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები წმინდა თანხები	**1,339,396**	**1,189,565**
მთლიანი სხვა მისაღები თანხები	3,379,787	1,916,083
სხვა მისაღები თანხების რეზერვი	(1,721,786)	(1,296,849)
სხვა მისაღები თანხები ნეტო ღირებულებით	**1,658,001**	**619,234**
ლიზინგის მიღებებზე გაცემული მთლიანი სესხები	3,881,082	3,810,930
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხების რეზერვი	(2,831,542)	(1,607,149)
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები ნეტო ღირებულებით	**1,049,540**	**2,203,781**
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები	**4,046,937**	**4,151,269**

სხვა მისაღები თანხები წარმოადგენენ ლიზინგით გასაცემი აქტივების მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად წარმოშობილ ფინანსურ აქტივებს, რომელთათვისაც კომპანიამ წინასწარ მოახდინა ანგარიშსწორება.

	ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები	სხვა მისაღები თანხები	ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები	სულ
გაუფასურების რეზერვი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,833,600**	**1,035,384**	**606,949**	**4,475,933**
გაუფასურების რეზერვის ხარჯი 2016 წლის განმავლობაში	225,197	261,465	1,000,200	1,486,862
გაუფასურების რეზერვი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,058,797**	**1,296,849**	**1,607,149**	**5,962,795**
გაუფასურების რეზერვის ხარჯი 2017 წლის განმავლობაში	343,794	424,937	1,224,393	1,993,124
გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,402,591**	**1,721,786**	**2,831,542**	**7,955,919**

16 სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული		
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	138,689
სულ არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	**-**	**138,689**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		
სხვა მისაღები თანხები	1,240,226	554,565
- ვადაგადაცილებული 30 დღემდე	1,240,226	554,565
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული (მთლიანი თანხა)	**1,240,226**	**554,565**
მისაღები თანხები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურ დონეზე უნდა მოხდეს ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად		
მისაღები თანხები	4,741,987	4,248,362
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	4,741,987	4,248,362
სხვა მისაღები თანხები	2,139,561	1,361,518
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	2,139,561	1,361,518
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები	3,881,082	3,810,930
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	3,881,082	3,810,930
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული (მთლიანი თანხა)	**10,762,630**	**9,420,810**
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	**(7,955,919)**	**(5,962,795)**
სულ სხვა ფინანსური აქტივები	**4,046,937**	**4,151,269**

17 სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან

	საბოლოო დაფარვის თარიღი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
თიბისი ბანკის სესხები	04.12.2020	21,541,810	2,197,898
თიბისი ბანკი - აკრედიტივი	30.08.2017	-	711,318
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სესხები	01.02.2021	4,236,706	4,314,223
BSTDB-ის სესხები	08.05.2018	-	4,364,703
ResponsAbility-ის სესხები	16.05.2018	25,721,432	26,930,897
მიკროვესტის სესხები	15.12.2017	-	5,009,935
სიმბიოტიკის სესხები	31.12.2018	30,409,593	10,058,037
ტრიპლ ჯამპის სესხები	15.12.2020	22,103,771	14,649,212
პაშა ბანკის სესხები	31.05.2018	3,896,753	-
ბლუორჩარდის სესხები	04.12.2020	12,983,884	-
ვითიბი ბანკის სესხები	31.12.2018	3,198,737	-
თიბისი კრედიტის სესხები	10.08.2018	5,197,792	-
ფონდი მწვანე ზრდისთვის სესხები	15.09.2020	6,491,021	-
სულ სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან		**135,781,499**	**68,236,223**

ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია გარკვეული ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, გარკვეული იჯარებიდან მისაღები თანხებითა და ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი ავანსებით, რაც დეტალურად აღწერილია შენიშვნებში 7 და 11. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს 35,598 ლარს (2016: 2,640,857 ლარი); ბანკებიდან მისაღები უზრუნველყოფის სახით დაგირავებული თანხები შეადგენს 4,431,850 ლარს (2016: 0 ლარი), უზრუნველყიფის სახით დაგირავებული მთლიანი ინვესტიციის თანხა შეადგენს 145,248,843 ლარს (2016: 78,772,872 ლარი), ხოლო უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხა - 6,284,418 ლარს; 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი არ მომხდარა ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხის დაგირავება უზრუნველყოფის სახით.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შესრულება. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია ხსენებულ პირობებს ასრულებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დარიცხული პროცენტები, რომლებიც ასახულია ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებში, შეადგენს 936,485 ლარს (2016: 789,266 ლარი).

ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება მოცემულია შენიშვნაში 28. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში 31.

18 გამოშვებული ფასიანი ქაღალდები

	ვალუტა	საბოლოო დაფარვის თარიღი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციები	USD	22.07.2019	7,798,098	13,260,660
სულ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები			**7,798,098**	**13,260,660**

შენიშვნაში 28 მოცემულია გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების განმარტება.

19 კლიენტებისგან მიღებული ავანსები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლის ბოლოს კლიენტებისგან მისაღები ავანსები 12,907,386 ლარს შეადგენს (2016: 7,043,926 ლარი). კომპანია კლიენტებისგან ითხოვს ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულების მინიმუმ 20%-ის ავანსად გადახდას. ამ თანხებს კომპანიის კლიენტები ლიზინგის ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე წინასწარ იხდიან და განათავსებენ კომპანიის ანგარიშზე, საგირავნო დეპოზიტის სახით კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ლიზინგით გაცემული აქტივების კლიენტისათვის გადაცემამდე. ლიზინგით გაცემული აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდგომ, კლიენტებისგან ავანსის სახით მიღებული თანხები იქვითება იმავე კლიენტების მიერ საიჯარო დებიტორების სახით განხორციელებულ წმინდა ინვესტიციებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,293,519 ლარი (2016: 6,008,992 ლარი) არის კლიენტებისგან წინასწარ მიღებული საგირავნო დეპოზიტი, ხოლო ნაშთის დარჩენილი ნაწილი წინასწარ გადახდილი სალიზინგო შენატანები და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ავანსებია.

20 სუბორდინირებული სესხები

	საბოლოო დაფარვის თარიღები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
თიბისი ბანკის სუბორდინირებული სესხები	05.12.2018	13,072,128	15,833,761
ოფორთიუნითის სუბორდინირებული სესხები	05.12.2018	2,612,511	-
სულ სუბორდინირებული სესხები		**15,684,639**	**15,833,761**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხებში ასახული გადასახდელი დარიცხული პროცენტები შეადგენს 108,039 ლარს (2016: 93,361ლარი).

სუბორდინირებული სესხების სამართლიანი ღირებულების შეფასება მოცემულია შენიშვნაში 28. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით განმარტებულია შენიშვნაში 31.

ნათია ჭახია

21 სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე	8,180,733	1,271,115
დარიცხული ხარჯები	171,579	107,204
ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების წინაშე	418,769	36,504
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,771,081**	**1,414,823**
გადასახდელი ბონუსები	485,813	440,006
სხვა ვალდებულებები	**9,256,894**	**1,854,829**

ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე წარმოადგენს ლიზინგის მიზნებისათვის მიღებული აქტივების სანაცვლოდ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების ნაშთს.

22 სააქციო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი 3,059,000 ლარს შეადგენს (2016: 3,059,000 ლარი). 2016 წელს კომპანიამ გამოუშვა ახალი 267 ჩვეულებრივი აქცია 1000 ლარის ოდენობის ნომინალური ღირებულებით, თითოეული 4,179 ლარად. 2016 წელს კომპანიის აქციონერებმა დაუშვეს დამატებით 267 აქციის გამოშვება იმავე პირობებით, თუმცა მათი გამოშვება არ მოხდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნებადართული, გამოშვებული, და განაღდებული აქციების საერთო რაოდენობა 3,059 ჩვეულებრივი აქციაა და თითოეულის ნომინალური ღირებულება 1000 ლარს შეადგენს. თითოეულ აქციას ერთი ხმის უფლება შეესაბამება. 2017 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება არ განხორციელებულა.

23 სხვა შემოსავალი

	2017	2016
სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული ანაზღაურება და ბონუსის სახით მიღებული შემოსავალი	624,490	240,410
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	165,604	-
შემოსავალი ჯარიმებიდან	20,133	182,667
ლიზინგის ფარგლებში გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გადახდებიდან მიღებული შემოსავალი	-	355,853
სხვა შემოსავალი	9,752	69,776
სულ სხვა შემოსავალი	**819,979**	**848,706**

24 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
პერსონალის ხარჯები	2,640,878	1,662,619
დაზღვევის ხარჯები	1,874,781	1,614,944
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	1,410,362	945,718
პროფესიული მომსახურებები	665,683	359,496
ლიზინგით გაცემული აქტივების რეგისტრაციის საკომისიო	318,850	98,517
სარეკლამო ხარჯები	304,576	104,983
განთავსება და იჯარა	286,217	266,325
ქონების და მანქანა-დანადგარების ცვეთა	232,690	99,678
ბანკის საკომისიოები	127,232	78,706
აქტივების მოვლა-შენახვის ხარჯები	109,044	137,104
არარეზიდენტების საშემოსავლო (წყაროსთან დაკავების) გადასახადი	63,106	269,306
მიწისა და შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა	20,048	20,137
სხვა ხარჯები	923,425	522,834
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**8,976,892**	**6,180,367**

პროფესიული მომსახურების საკომისიო შეადგენს 101,912 ლარს (2016: 132,314 ლარი) - აუდიტორისა და აუდიტის კომპანიის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის გადახდილი საკომისიოები საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

25 მოგების გადასახადები

	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	-	594,046
გადავადებული გადასახადის ხელახალი შეფასება საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო	-	(427,874)
წლის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**166,172**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე, როგორც ეს შენიშვნაში 3 არის განმარტებული, სხვაობებმა კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ერთი მხრივ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში და მეორე მხრივ, საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებულ ოდენობებს შორის, და ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო კრედიტების გადატანამ მომავალ პერიოდზე განაპირობა დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ განხორციელებული ხელახალი შეფასების შედეგები დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ:

	2017 წლის 31 დეკემბერი	გადავადებული გადასახადის ხელახალი შეფასება საგადასახადო კანონში შეტანილი ცვლილებების გამო	2016 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	-	392,045	(392,045)

ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	-	86,938	(86,938)
სხვა ფინანსური აქტივები	-	(5,795)	5,795
ქონება და მანქანა-დანადგარები	-	4,436	(4,436)
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	(71,606)	71,606
სხვა ვალდებულებები, მათ შორის დაწარიცხები	-	(136,242)	136,242
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები	-	158,098	(158,098)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	**427,874**	**(427,874)**

26 წმინდა ვალის რეკონსილაცია

	დაფინანსების ოპერაციებიდან წარმოშობილი ვალდებულებები			
	სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული სესხი	ჯამი
წმინდა ვალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**68,236,223**	**13,260,660**	**15,833,761**	**97,330,644**
ფულადი ნაკადები	61,358,602	(5,462,808)	(1,757,196)	54,138,598
უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციების კორექტირებები	(347,819)	(868,209)	(168,240)	(1,384,268)
სხვა არაფულადი ცვლილებები	6,534,493	868,455	1,776,314	9,179,262
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**135,781,499**	**7,798,098**	**15,684,639**	**159,264,236**

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალისა და წარმოდგენილ თითოეულ პერიოდში ვალთან მიმართებაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი. ვალის მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში არის ასახული.

27 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ფინანსურ (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (მათ შორის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკები)), გეოგრაფიულ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანი რისკების ლიმიტების განსაზღვრა და იმის უზრუნველყოფაა, რომ რისკის დონე ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკების და პროცედურების ადეკვატურ ფუნქციონირებას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნებისათვის.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს იმას, ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზარალი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი დგება კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების და კონტრაჰენტებთან სხვა ტრანზაქციების წარმოების შედეგად, რაც ფინანსურ აქტივებს

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

წარმოშობს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.
რისკების მართვა და მონიტორინგი დედა კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდება. დედა კომპანიის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს იმ ოჯარების გაცემაზე, რომელთა ღირებულება 300,000 დოლარს აღემატება. საკრედიტო კომიტეტზე თუ კომპანიის მმართველ საბჭოზე განაცხადის წარდგენამდე, ყველა რეკომენდაციას ლიზინგის პროცესებთან დაკავშირებით (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ცვლილებები ლიზინგის ხელშეკრულებებში, და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს საკრედიტო დეპარტამენტის რისკების მართვის მენეჯერი.

კომპანია, როგორც წესი, ისე ახდენს თავისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღები მანქანა-დანადგარის ღირებულების 20%-ს სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე იხდის. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება.

როგორც წესი, ხდება ლიზინგით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ისეთი რისკების დაზღვევა, როგორებიცაა: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას არსებული ვალების მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების ანალიზის გზით. ოჯარის გაუფასურების ძირითად ფაქტორებში კომპანია მოიაზრებს ვადაგადაცილების სტატუსს, ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას, ლიკვიდურობას და ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულებას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისათვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურად ფარავს ანგარიშგების თარიღისათვის ლიზინგის პორტფელში არსებულ პოტენციურ დანაკარგებს.

მენეჯმენტი კვარტალურად ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას დებიტორების ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სასამართლო საქმეების შედეგები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისათვის ადეკვატური რეზერვია შექმნილი ანგარიშგების თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანია ასევე იღებს საბაზრო რისკებს. ეს რისკები ღია სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების პოზიციების შედეგად წარმოიშვება, რაც ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. რისკის ფასთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს დასაშვებ ლიმიტებს, რომლებიც კვარტალურად მოწმდება. ამის მიუხედავად, უფრო სერიოზული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს დანაკარგების პრევენციას დაწესებული ლიმიტების მიღმა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებამ განაპირობოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეცვლა. კომპანია დგას დომინანტი ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის შედეგების ასახვის საფრთხის წინაშე თავის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე.

დირექტორთა საბჭო სავალუტო რისკებს ღია სავალუტო პოზიციის მართვის გზით აკონტროლებს ქართული ლარის გაუფასურების პროგნოზებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გათვალისწინებით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს შეამციროს დანაკარგები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსების მნიშვნელოვანი რხევებიდან გამომდინარე.

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან მიმართებაში კომპანიის რისკები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,712,350	5,103,740	14,867	34,212	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	34,854,220	108,354,092	568,645	-	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	3,729,772	19,287,442	-	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	492,562	3,554,375	-	-	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**46,220,754**	**136,299,649**	**583,512**	**34,212**	**183,138,127**
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	30,721,737	105,059,762	-	-	135,781,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,798,098	-	-	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	6,752,807	6,154,579	-	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	7,857,946	7,826,693	-	-	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,538,886	6,718,008	-	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**47,871,376**	**133,557,140**	**-**	**-**	**181,428,516**
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	**(1,650,622)**	**2,742,509**	**583,512**	**34,212**	**1,709,611**

კომპანიის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებთან მიმართებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვაქნა სტერლინგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,246,160	2,985,705	11,581	33,824	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	9,334,964	85,448,975	-	-	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	765,228	8,849,572	-	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	830,985	3,181,595	138,689	-	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**13,177,337**	**100,465,847**	**150,270**	**33,824**	**113,827,278**
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	4,827,052	63,408,740	431	-	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	13,260,660	-	-	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,441,941	5,601,985	-	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	7,847,641	7,986,120	-	-	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	583,714	1,271,115	-	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,700,348**	**91,528,620**	**431**	**-**	**106,229,399**
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	**(1,523,011)**	**8,937,227**	**149,839**	**33,824**	**7,597,879**

სავალუტო რისკების მართვის მიზნით, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად განიხილავს მოკლე და გრძელ სავალუტო პოზიციებს ამ ლიმიტების ფარგლებში.

ვალუტის სენსიტიურობის ანალიზი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სენსიტიურობა ლართან მიმართებაში აშშ დოლარის კურსის 10%-იანი (2016: 10%) ზრდისა და კლების თვალსაზრისით. 10% არის სენსიტიურობის ის განაკვეთი, რომელსაც მაღალი დონის მენეჯმენტის წინაშე უცხოური ვალუტის რისკის შესახებ ანგარიშგების მიზნებისათვის შიდა დონეზე იყენებენ და რომელიც,

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ამავე დროს, არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებების შეფასების საშუალება მენეჯმენტის მხრიდან. სენსიტიურობის ანალიზი მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დაუფარავ ფულად მუხლებს მოიცავს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების განაკვეთებში 10%-იანი ცვლილების გათვალისწინებით.

	2017 წლის 31 დეკემბერი		2016 წლის 31 დეკემბერი	
	ეფექტი მოგებასა თუ ზარალზე გადასახადების გამოკლებამდე	ეფექტი კაპიტალზე	ეფექტი მოგებასა თუ ზარალზე გადასახადების გამოკლებამდე	ეფექტი კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით (2016: 10%)	274,251	274,251	893,723	759,664
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით (2016: 10%)	(274,251)	(274,251)	(893,723)	(759,664)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს მიღებული ფინანსური შემოსავლისა და გადახდილი საპროცენტო ხარჯების შეფარდების მარჟები, ან მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან წარმოშვას ზარალი.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, ვინაიდან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი წარმოშობილია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ნასესხები ერთი ვალით, ყველა სხვა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა მიბმული ან საერთოდ არ ერიცხება პროცენტი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თარიღი დადგა უფრო ადრე).

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,169	-	-	-	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,431,850	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485,225	9,007,623	38,968,159	82,315,950	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	4,603,443	8,056,025	10,357,746	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	607,041	809,387	1,011,734	1,618,775	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**26,560,878**	**17,873,035**	**54,769,489**	**83,934,725**	**183,138,127**

ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217,272	1,713,870	48,766,840	84,083,517	135,781,499
გამოშვებული ... სავალო ფასიანი ქაღალდები	50,540	-	-	7,747,558	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581,477	4,517,585	5,808,324	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	117,413	-	14,867,226	700,000	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452,312	2,693,756	1,110,826	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,419,014**	**8,925,211**	**70,553,216**	**92,531,075**	**181,428,516**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	**17,141,864**	**8,947,824**	**(15,783,727)**	**(8,596,350)**	**1,709,611**

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თარიღი დადგა უფრო ადრე).

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	-	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11,460,463	7,203,368	30,549,004	45,571,104	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	1,922,960	3,365,180	4,326,660	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	740,576	802,516	1,003,145	1,605,032	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**19,401,269**	**11,371,064**	**35,878,809**	**47,176,136**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	611,733	861,296	24,507,499	42,255,695	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	85,943	-	-	13,174,717	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,408,785	2,465,374	3,169,767	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	118,530	-	-	15,715,231	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,092,494	539,756	222,579	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,317,485**	**3,866,426**	**27,899,845**	**71,145,643**	**106,229,399**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	**16,083,784**	**7,504,638**	**7,978,964**	**(23,969,507)**	**7,597,879**

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. დირექტორთა საბჭო (შიდა საბჭო, რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი) აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს საბოლოო დაფარვის თარიღების ანალიზის, მომდევნო ფინანსურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის გზით. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	2,075,349	2,819,372	62,534,628	82,853,491	150,282,840
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	248,904	-	422,972	8,199,572	8,871,448
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,635,258	4,646,659	6,227,814	-	13,509,731
სუბორდინირებული სესხი	280,828	281,193	16,163,808	707,134	17,432,963
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,724,841	2,828,402	1,166,351	-	9,719,594
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	**10,965,180**	**10,575,626**	**86,515,573**	**91,760,197**	**199,816,576**

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	1,192,515	4,675,215	38,020,736	29,898,286	73,786,752
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	298,079	61,712	5,816,279	8,783,649	14,959,719
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,438,135	2,535,813	3,398,694	-	7,372,642
სუბორდინირებული სესხი	265,338	279,650	1,303,455	17,477,574	19,326,017
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,186,584	2,687,868	1,782,928	-	8,657,380
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	**7,380,651**	**10,240,258**	**50,322,092**	**56,159,509**	**124,102,510**

ლიკვიდობის სამართავად კომპანია არ იყენებს ზემოთ მოცემულ არადისკონტირებულ ანალიზს დაფარვის საბოლოო თარიღებთან მიმართებაში. ნაცვლად ამისა, კომპანია ახორციელებს ლიკვიდობის დეფიციტის მონიტორინგს დისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საპროგნოზო დაფარვის თარიღებთან მიმართებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება საპროგნოზო ლიკვიდობის დეფიციტი:

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,169	-	-	-	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,431,850	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485,224	9,007,623	38,968,159	82,315,951	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	4,603,443	8,056,025	10,357,746	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	607,041	809,387	1,011,734	1,618,775	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**26,560,877**	**17,873,035**	**54,769,489**	**83,934,726**	**183,138,127**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217,272	1,713,870	48,766,840	84,083,517	135,781,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	50,540	-	-	7,747,558	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581,477	4,517,585	5,808,324	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	117,413	-	14,867,226	700,000	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452,311	2,693,756	1,110,827	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,419,013**	**8,925,211**	**70,553,217**	**92,531,075**	**181,428,516**
ლიკვიდობის დეფიციტი	**17,141,864**	**8,947,824**	**(15,783,728)**	**(8,596,349)**	**1,709,611**
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	**17,141,864**	**26,089,688**	**10,305,960**	**1,709,611**	

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის საპროგნოზო დეფიციტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	-	5,277,270
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11,460,463	7,203,368	30,549,004	45,571,104	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	1,922,960	3,365,180	4,326,660	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	740,576	802,516	1,003,145	1,605,032	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**19,401,269**	**11,371,064**	**35,878,809**	**47,176,136**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	611,733	861,296	24,507,499	42,255,695	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	85,943	-	-	13,174,717	13,260,660

კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,408,785	2,465,374	3,169,767	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	118,530	-	-	15,715,231	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,092,494	539,756	222,579	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,317,485**	**3,866,426**	**27,899,845**	**71,145,643**	**106,229,399**
ლიკვიდობის დეფიციტი	**16,083,784**	**7,504,638**	**7,978,964**	**(23,969,507)**	**7,597,879**
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	**16,083,784**	**23,588,422**	**31,567,386**	**7,597,879**	

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია ზოგადად სტაბილურია, რადგან კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ფუნქციონირებს.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების რისკი. კომპანია დგას დაკავშირებული მხარეების მხრიდან დაფინანსების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის რისკის წინაშე. კომპანია არის დიდი საბანკო ჯგუფის წევრი. მოქმედი საწარმოს რისკი შემცირებულია კომპანიის მესაკუთრეების მხრიდან პასუხიმგებლობის აღებით კომპანიის სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უწარიანობის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და აქციონერებს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალური ხარჯების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისათვის, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების თანხის კორექტირება, აქციონერებისათვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან ვალის შესამცირებლად აქტივების გაყიდვა. კომპანია კაპიტალს დედა კომპანიიდან მიღებული სესხების ჩათვლით განიხილავს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალმა 35,085,222 ლარი შეადგინა (2016: 31,575,754).

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება ბაზრის მოთამაშეებს შორის ანგარიშგების თარიღისათვის წარმოებული მარტივი ტრანზაქციის ფარგლებში აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ მიღებული ან გადახდილი თანხაა ვალდებულების გადასაცემად. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მისთვის ხელმისაწვდომი იმ ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე, რომელზეც ის ოპერირებს, და ასევე, შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია დასკვნების გაკეთება ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად, რაც თავის მხრივ საპროგნოზო სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრავად არის საჭირო. საქართველოსთვის კვლავ დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი ნიშანი, ეკონომიკური გარემო კი ისევ აფერხებს ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული აქტივობების მასშტაბებს. მენეჯმენტმა გამოიყენა საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი ყველა სახის ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აისახება, რაც მიმდინარე სამართლიანი ღირებულების ტოლია. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები და სხვა ფინანსური აქტივები გაუფასურების რეზერვების გამოკლებით აღირიცხება. ამ ფინანსური აქტივების შეფასებული სამართლიანი ღირებულება არის მისაღები საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირებული თანხა. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე საბაზრო განაკვეთების შესაბამისად ხდება.

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელთა დაფარვის საბოლოო ვადა ცნობილია, და რომელთა შესახებ ხელმისაწვდომი არ არის კოტირებული საბაზრო ფასი, იმ საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე შეფასდა, რომელთა დისკონტირებაც იგივე საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დაწესებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მოხდა. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. მოთხოვნისას ან მოთხოვნის შემდეგ („მოთხოვნადი ვალდებულებები") დასაფარი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც მოთხოვნისას გადასახდელი თანხა, დისკონტირებული თანხის გადახდის მოთხოვნის პირველივე შესაძლო თარიღიდან. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები შეესაბამება კომპანიის საკრედიტო რისკს და ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტის ვალუტას და ვადიანობას (საბოლოო დაფარვის თარიღს).

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება სამართლიანი ღირებულებით არ მომხდარა, ასე გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,170	-	-	7,865,170
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	4,431,850
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	22,342,534	23,017,213
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	145,791,824	143,776,957
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,136,372	4,046,937
მთლიანი აქტივები	**12,297,020**	**-**	**171,270,730**	**183,138,127**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	134,845,113	-	135,781,498
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,776,600	-	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	10,293,519	-	10,293,519
სუბორდინირებული სესხი	-	15,576,600	-	15,684,639
სხვა ვალდებულებები	-	9,256,894	-	9,256,894
სულ ვალდებულებები	**-**	**177,748,726**	**-**	**178,814,648**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება სამართლიანი ღირებულებით არ მომხდარა, ასე გამოიყურება:

	2016 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	9,332,971	9,614,800

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	95,887,507	94,783,939
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,838,187	4,151,269
სულ აქტივები	**5,277,270**	**-**	**109,058,665**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	71,308,489	-	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	14,035,640	-	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	6,008,992	-	6,008,992
სუბორდინირებული სესხი	-	17,808,563	-	15,833,761
სხვა ვალდებულებები	-	(1,854,829)	-	(1,854,829)
სულ ვალდებულებები	**-**	**107,306,855**	**-**	**101,484,807**

29 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება შეფასების მიზნებისათვის

შეფასების მიზნებისათვის, ბასს 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) შესაბამისად, კომპანია ახდენს ყველა თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხების და მისაღები თანხების კატეგორიებად.
2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით არის ასახული.

30 პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება. დროდადრო და ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ რეჟიმში, კომპანიის წინააღმდეგ სამართლოში შესაძლოა შეტანილ იქნას სარჩელი. როგორც საკუთარი, ისე შიდა და გარე საკონსულტაციო წყაროებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მენეჯმენტი თვლის, რომ სარჩელებიდან გამომდინარე არსებითი ზარალის მიღება მოსალოდნელი არ არის და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში არ მომხდარა ამ მხრივ რეზერვების ასახვა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა ხშირი ხასიათი ჰქონდეს. კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა ორგანოებმა. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება. აქედან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისათვის რეზერვები არ შექმნილა.

2013 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღო ინსტრუქცია საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების შესახებ. ინსტრუქციაში მოცემულია სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესებისა და პრინციპების შესრულების სახელმძღვანელო (ერთიანად მოხსენიებულია, როგორც "ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობა"), რომელიც შესულია 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შესულ ახალ საგადასახადო კოდექსში.

ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობა ტექნიკურად კომპლექსურია და შესაბამისობაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მიერ მიღებულ საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან. კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კორექტირებები და განსაზღვრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებად ოპერაციებთან მიმართებაში (ოპერაციები ზოგიერთ დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ოპერაციის ფასი გაშლილი მკლავის პრინციპით არ არის განსაზღვრული.

...0 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მან გაატარა შიდა კონტროლის ღონისძიებები ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების შესრულების მდიდარი პრაქტიკა, კომპანიის სატრანსფერო ფასების შეფასებაში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ არსებობს; ამის მიუხედავად, ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და/ან ზოგადად, მის ოპერაციებზე.

შეთანხმების შესრულება. კომპანიას უწევს გარკვეული შეთანხმების შესრულება ძირითადად ბანკებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებთან დაკავშირებით. ამგვარი შეთანხმების პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ნასესხები თანხების ხარჯის და არსებული პროდუქტების დაფარვის ვადის ზრდა. მენეჯმენტს სჯერა, რომ 2017 წლის 31 დეკემბრისა დ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წლების განმავლობაში კომპანიამ შეასრულა იმ დროისათვის მოქმედი შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

31 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად დაკავშირებულად ითლებიან მხარეები, თუ ისინი საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარის გაკონტროლების უნარი ან შეუძლია მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ, უბრალოდ სამართლებრივ ფორმას.

ასეთი ოპერაციები შედის „სხვა დაკავშირებულ პირებში“ და შეეხება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებს და დედა კომპანიის ძირითად აქციონერებს. მენეჯმენტის წამყვანი პერსონალი კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრებისაგან შედგება.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი დაუფარავი ნაშთები დაფიქსირდა:

	2017		2016	
	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,919,880	-	4,161,582	-
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 15.0%-40.0%)	-	721,120	-	819,055
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 7.5%-13.5%)	21,541,810	5,197,792	2,197,898	-
სუბორდინირებული სესხები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 12.0%-14.0%)	13,072,128	-	15,833,761	-
სხვა ვალდებულებები	-	-	4,093	-

...ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

...კავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები 2017 წლის 31დეკემბრისა და 2016 ...ლის მდგომარეობით:

	2017		2016	
	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	165,604	-	63,116	-
ფინანსური შემოსავალი	-	206,076	-	254,174
საპროცენტო ხარჯი	2,601,191	72,163	1,940,982	-
საბანკო და სხვა მომსახურების საკომისიოები	138,436	-	90,307	-

მენეჯმენტის წამყვანი პერსონალის ხელფასები მოცემულია ქვემოთ:

	2017		2016	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებლები	1,133,337	305,950	789,275	197,340

31 დეკემბრით დასრულებული 2017 და 2016 წლების განმავლობაში, მენეჯმენტის წამყვანი პერსონალის ანაზღაურება, რომლებიც ამავე დროს არიან დირექტორთა საბჭოს წევრები, შედგება ხელფასების, ბონუსების, დაზღვევის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯებისაგან.

ქალაქთასთვრამეტი წლის ოცდარვა სექტემბერს მე, მედეა გვაზავას, ნოტარიუსს, ქალაქის სანოტარო ბიურო მდებარეს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №5/ დ.უზნაძის ქ.№16-18, II სართული, მომმართა ნათიამ ჯახიამ, რომელმაც წარმოადგინა წინამდებარე დოკუმენტი, მისი თარგმანი და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნათიამ ჯახიამ (დაბ. 06.08.1976 ხობში, მცხ. თბილისი, მ.ბროსეს ქ.№4. პ/ნ №01017012047, პ/მ №B1211374, გაც. მთაწმინდა-კრწანისის სრსს მიერ 17.09.2008) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: მაგისტრის დიპლომი M №00029, გაცემული 1998 წელს ქ.თბილისის, თსუ მიერ, სარეგ.№01/04.შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ.

ეგზემპლარები: 2 (ორი)

რეგისტრირებულია რეესტრში: № 181204989

გადახდილია საზღაური: 220.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დად-ებული საფასურის ოდენობების, მათი გადახდ-ების წესისა და მომსახურების ვადების დამ-ტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 39.60 ლარი, სულ გადახდილია 259.60 ლარი.

რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

On September 28, 2018, I **Medea Gvazava**, Notary with the Notary Office located at: 5, Mardjanishvili ave /16-18,D.Uznadze str., floor II. Tbilisi, was addressed by **Natia Jakhia**, who presented this document and its translated version and asked to certify the authenticity of her signature according to notary rule. I verified her personality by the identification document presented by her and was convinced that I was really addressed by **Natia Jakhia** (born on 06.08.1976, in Tbilisi, residing in Tbilisi, at #4 Brosset str., personal #01017012047, ID #B1211374, issued 17.09.2008 by Mtatsminda-Krtsanisi Service of the Public Service Development Agency). I checked her legal capacity and was convinced that had no grounds to doubt it. The translator presented the document confirming her knowledge of the language: MA Diploma M #00029, issued in 1998 by Ivane Javakhishvili Tbilisi State University; registration # 01/04. Then I ascertained the authenticity of her expression of will and explained her the juridical results of the signature. I warned the translator about the responsibility caused by an incorrect translation. The translator confirmed that the translation is correct and signed it in my presence, which I certify.

Copye: 2(two)

Registered in the register: # 181204989

Fee paid: 220.00 GEL (according to Article 31 of the Resolution #507 of the Government of Georgia about "Tax for completing the Notary acts and, the method and amount of payment and approval of service terms established for the Notary Chamber of Georgia") and VAT: 39.60 (according toof the Article 169 of the Tax Code of Georgia). Total amount paid: 259.60 GEL. Registration fee: 2.00 GEL including VAT

Notary: Medea Gvazava

საქართველო. ნოტარიუსი მედეა გვაზავა. НОТАРИУС МЕДЕА ГВАЗАВА. GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA. 01008018186

108

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181204989
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მედეა გვაზავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #5/დ.უზნაძის ქ.#16-18,II სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593373834
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	10920350516418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს თიბისი ლიზინგი

მენეჯმენტის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

წითა ჭახა

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

თიბისი ლიზინგი

სს თიბისი ლიზინგი თიბისი ბანკის მიერ 2003 წელს დაფუძნდა და ამ დროიდან მოყოლებული ცდილობს გახდეს წამყვანი მოთამაშე ლიზინგის ბაზარზე, რისთვისაც აწესებს კლიენტთა მომსახურების მაღალ სტანდარტებს. თიბისი ლიზინგი კორპორატიულ და საცალო კლიენტებს გაყიდვების სხვადასხვა არხების საშუალებით ემსახურება და მუდმივად ქმნის ინოვაციურ და ახალ პროდუქტებს საქართველოს სალიზინგო ბაზარზე.

სარჩევი

ფინანსური ინდიკატორები 2

საოპერაციო ინდიკატორები 3

კომპანიის მიმოხილვა 4

სამომავლო განვითარების გეგმები და უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევისა და განვითარების კომპონენტი (R&D) 5

სალიზინგო ბაზრის მიმოხილვა 5

2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა 6

მომგებიანობის ზრდა 7

წმინდა სალიზინგო შემოსავალი 7

გაუფასურების რეზერვი 7

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 8

რისკ ფაქტორები და გაურკვევლობები 9

მაკროეკონომიკა, პოლიტიკები და ბაზრის პირობები 9

დაფინანსება 9

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 10

კონკურენცია 10

რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები 10

სავალუტო რყევები 12

პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში 12

ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში 13

რისკების მართვა 14

ფინანსური რისკების მართვა 15

კორპორატიული მმართველობა 16

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 17

დირექტორთა საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 19

ნათია ჯახა

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ფინანსური ინდიკატორები

წმინდა შემოსავალი (ლარი)

სხვაობა	+24.7%
2017	4,084,635
2016	3,276,543

უკუგება საშუალო კაპიტალზე

სხვაობა	-1.5 pp
2017	23.5%
2016	25.0%

უკუგება საშუალო აქტივებზე

სხვაობა	-0.4 pp
2017	2.5%
2016	2.9%

ხარჯების შემოსავალთან ფარდობა

სხვაობა	2.0 pp
2017	44.1%
2016	42.1%

რისკის მართვის ხარჯი

სხვაობა	-1.5 pp
2017	2.1%
2016	3.6%

მთლიანი აქტივები (ლარი)

სხვაობა	+65.2%
2017	200,829,099
2016	121,545,347

უმოქმედო სესხები

სხვაობა	-0.2 pp
2017	3.0%
2016	3.2%

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საოპერაციო ინდიკატორები

თანამშრომელთა რაოდენობა

2017	79
2016	46

ფილიალების რაოდენობა

2017	4
2016	1

არსებული კლიენტების რაოდენობა

2017	2,144
2016	598

მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა

2017	3,440
2016	1,513

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

კომპანიის მიმოხილვა

კომპანიის მთავარ ბიზნეს ამოცანას საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების აქტივების დაფინანსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, ისევე როგორც საცალო კლიენტებისათვის (ფიზიკური პირებისათვის) სალიზინგო მომსახურების გაწევა - 2017 წლის ივნისიდან კომპანია აქტიურად არის წარმოდგენილი საცალო ბაზარზე. 2018 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი სალიზინგო პორტფელის 12%-ს სწორედ საცალო კლიენტები შეადგენენ. კომპანია კლიენტებს შემდეგი ტიპის სალიზინგო პროდუქტებს სთავაზობს:

- ფინანსური ლიზინგი – ლიზინგის მიმღები ლიზინგის წესით მიღებულ აქტივს ჩვეულებრივ სალიზინგო ვადის დასრულებისას ყიდულობს;
- საოპერაციო ლიზინგი – ლიზინგის მიმღები ლიზინგის წესით მიღებულ აქტივს კომპანიას სალიზინგო ვადის დასრულებისას უბრუნებს.

ფინანსური ლიზინგი ყველაზე პოპულარული პროდუქტია და კომპანიის პორტფელშიც ყველაზე დიდ (დაახლოებით 95%) წილს იკავებს. მეორე ადგილზეა საოპერაციო ლიზინგი.

ლიზინგის თითოეული ხელშეკრულება პოტენციური კლიენტის მიერ სათანადოდ წარდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის, განაცხადის) საფუძველზე ფორმდება. პროდუქტის გაცემამდე კომპანია ითხოვს ლიზინგის წესით გასაცემი აქტივის ობიექტურ შეფასებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიზინგის წესით გასაცემი აქტივები პროდუქტების გირაოს წარმოადგენენ, კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით აუცილებელია მათი დაზღვევა კლიენტების ან თვითონ კომპანიის მიერ. მხოლოდ უმაღლესი რეიტინგის მქონე სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ გახდნენ ამ მომსახურების მომწოდებლები.

ლიზინგის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, კომპანია რეგულარულად ახორციელებს მის წლიურ მონიტორინგს ფინანსური დოკუმენტაციის ან აქტივის მონიტორინგის/ხელახალი შეფასების გზით.

კომპანიის დიდად დივერსიფიცირებული ვალდებულების სტრუქტურას უზრუნველყოფს ხანგრძლივი გამოცდილების მქონე კრედიტორები, მათ შორის: სიმბიოტიკა, რისფონსებილითი, თრიფლ ჯამფი, ბლუორჩარდი, ფონდი მწვანე ზრდისთვის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და ასევე, ადგილობრივი ბანკები. 2014 წელს თიბისი ბანკმა წარმატებით მოიზიდა 2 მლნ აშშ დოლარი ადგილობრივ ბაზარზე ობლიგაციების პირველი საინაუგურაციო კერძო განთავსების გზით და 2016 წელს დამატებით განათავსა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ობლიგაციები.

ამჟამად კომპანია სათავო ოფისის და 5 საცალო ფილიალის სახით ოპერირებს, რომელთაგან ორი თბილისს გარეთ მდებარეობს. საცალო ფილიალები ფიზიკურ პირებს ემსახურებიან, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 700-2000 ლარის ფარგლებში მერყეობს და მათ მეორადი და იმპორტირებული მანქანების ფინანსური ლიზინგის მომსახურებას სთავაზობენ. ფილიალების გარდა, კომპანიას გაყიდვის პუქტები გახსნილი აქვს ასევე ავტომანქანების სამ ოფიციალურ დილერთან. კორპორატიული კლიენტებს კი კომპანიის სათავო ოფისი ემსახურება.

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

სამომავლო განვითარების გეგმები და უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევისა და განვითარების კომპონენტი (R&D)

მომავალში კომპანია ციფრულ მომსახურებებზე ფოკუსირებას გეგმავს, რაც საწყის ეტაპზე კლიენტებისათვის ონლაინ პლატფორმის გაშვებასაც გულისხმობს მათი წვდომის უზრუნველსაყოფად კომპანიაში არსებულ ანგარიშებთან მიმართებაში, და ასევე, მათ მიერ ახალი ანგარიშების გასახსნელად. კომპანია ასევე გეგმავს საქართველოს მასშტაბით გაფართოვებას და ახალი ფილიალების გახსნას ქვეყნის რამდენიმე მთავარ ქალაქში.
კომპანიამ ახლო წარსულში დიდი ინვესტიცია განახორციელა ახალი საოპერაციო და საბუღალტრო პროგრამის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს მომავალში კომპანიის ზრდას.

სალიზინგო ბაზრის მიმოხილვა

ბაზრის მთავარი მოთამაშეები არიან: თიბისი ლიზინგი, საქართველოს სალიზინგო კომპანია ("**GLC**") და ალიანს ჯგუფი ლიზინგი ("**AGL**"). საქართველოს სალიზინგო ბაზარზე მოქმედი სხვა ორგანიზაციებია: სახალხო ბანკი, მიკრო საფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი, შპს მოგო და სხვა მიკროსაფინანსო და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები. საქართველოს სალიზინგო ინდუსტრიაში სამი ძირითადი დომინანტი მოთამაშე შეიძლება გამოვყოთ: კომპანია, საქართველოს სალიზინგო კომპანია და ალიანს ჯგუფი ლიზინგი; თუმცა, ხსენებული კომპანიები ორიენტირებულნი არიან დიდ/მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, და საცალო სალიზინგო ბაზარი სრულიად აუთვისებელია. ლიზინგის ხელშეკრულებების უმეტესობა (დაახლოებით 95%) ფინანსური ლიზინგის ტიპს განეკუთვნება.

ბაზრის წილის მიხედვით, 2017 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარობით თიბისი ლიზინგმა ბაზრის 74.3% დაიკავა, რითაც შეინარჩუნა წლების განმავლობაში დამსახურებული წამყვანი პოზიცია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები სამი ძირითადი მოთამაშის ბაზრის წილების მიხედვით:



სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების შესაბამისად. ეს არის დამოუკიდებელი მთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომელიც განთავსებულია რომში და რომლის მიზანია კერძო და სავაჭრო სამართლის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა (მიახლოვება) სახელმწიფოების დონეზე. ახალი კანონის მიღების შედეგად, ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში. ახალი კანონმდებლობით ლიზინგის ხელშეკრულებების დასადებად კომპანიებს უფრო ძლიერი მოტივაცია უჩნდებათ, რადგან ეს მათ მეტი მოქნილობის საშუალებას აძლევს საგადასახადო თვალსაზრისით, ისევე როგორც ლიზინგის მიმღებებს სთავაზობს გამარტივებულ საგადასახადო პროცედურებს და ამცირებს ეფექტურ საგადასახადო განაკვეთებს როგორც ლიზინგის გამცემების, ისე მიმღებებისათვის ლიზინგის დაბეგვრის რეჟიმებში მომხდარი ცვლილებების წყალობით.

2011 წლიდან 2017 წლის დასაწყისამდე (მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელის“ შემოღებამდე) სალიზინგო კომპანიებს უფლება ჰქონდათ სრულად ჩამოეწერათ 1000 ლარის ღირებულების ფიქსირებული აქტივი. ჩამოწერა საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლების შესაბამისად დაანგარიშებული ცვეთის ხარჯების პროპორციულად ხდებოდა. ამჟამად რეგულარული სალიზინგო შენატანები (როგორც პროცენტი, ისე ძირითადი თანხა) საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისათვის აისახება, როგორც ხარჯი, რაც კომპანიებს მოგებაზე საგადასახადო ტვირთის შემცირების საშუალებას აძლევს. კოდექსი ასევე იძლევა ლიზინგის გამცემების მიერ ლიზინგის წესით გაცემული აქტივებისთვის ქონების ეფექტური გადასახადის დაანგარიშების საშუალებას. სალიზინგო კომპანიისათვის განისაზღვრება ლიზინგის წესით გაცემული დასაბეგრი ქონების ყოველწლიური საგადასახადო განაკვეთი ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, მაქსიმუმ დასაბეგრი ქონების თავდაპირველი გადაცემის მომენტში დაფიქსირებული საბალანსო ღირებულების 0.6%-ის ოდენობით. დღგ-ს გადახდა სალიზინგო შენატანების პროპორციულად ხდება.

2017 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, სალიზინგო კომპანიებს შეუძლიათ მიღებული შემოსავლებისთვის არ გადაიხადონ მოგების გადასახადი, თუ მოგების განაწილება აქციონერებზე დივიდენდების სახით არ მოხდება.

2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

თიბისი ლიზინგის ფინანსური უწყისები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური ინდიკატორები:

	2017	2016	Change
უკუგება საშუალო კაპიტალზე	23.53%	24.97%	-1.44, pp
უკუგება საშუალო აქტივებზე	2.53%	2.88%	-0.35, pp
ხარჯების შემოსავალთან ფარდობა	44.09%	42.14%	1.95, pp
რისკის მართვის ხარჯი	2.08%	3.60%	-1.52, pp
უმოქმედო სესხები	2.97%	3.18%	-0.21, pp

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

მომგებიანობის ზრდა

კომპანიის წმინდა შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება და არც 2017 წელი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. გასული წლის წმინდა შემოსავალმა 4,084,635 ლარი შეადგინა, რაც 25%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. მომგებიანობის ზრდა ძირითადად განაპირობა სალიზინგო პორტფელის მნიშვნელოვანმა ზრდამ და აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტიანმა მართვამ.

კომპანიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტი საშუალო კაპიტალზე უკუგებაა (ROAE), რამაც გასულ წელს 23.53% შეადგინა. ეს კოეფიციენტის უმნიშვნელო გაუარესებას ნიშნავს 2016 წლის მონაცემთან შედარებით, თუმცა უფრო დეტალური ანალიზი და ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა განგრძობითი ოპერაციებიდან საშუალო კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი:

	2017	2016	Change
წმინდა შემოსავალი	4,084,635	3,276,543	25%
წმინდა შემოსავალი განგრძობითი ოპერაციებიდან	3,761,635	2,190,928	72%
უკუგება საშუალო კაპიტალზე	23.53%	24.97%	-1.44, pp
უკუგება საშუალო კაპიტალზე (განგრძობითი ოპერაციებიდან)	21.67%	16.70%	4.97, pp

წმინდა სალიზინგო შემოსავალი

მოცემული პერიოდის წმინდა სალიზინგო შემოსავალმა 9,524,364 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 41%-ით აღემატება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სალიზინგო პორტფელში, რაც გახდა მომგებიანობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე საკითხი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ კომპანიამ ძალისხმევა არ დაიშურა ნასესხები თანხების ხარჯის შესამცირებლად და თუ ქვემოთ მოცემულ ცხრილს შევხედავთ, დავინახავთ, რომ 2016 წლის მაჩვენებლთან შედარებით, სალიზინგო შემოსავალი 31%-ით გაიზარდა, ხოლო საპროცენტო ხარჯი - მხოლოდ 22%-ით იმავე პერიოდში:

	2017	2016	Change
სალიზინგო შემოსავალი	18,918,922	14,430,394	31%
საპროცენტო ხარჯი	9,394,558	7,684,065	22%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	9,524,364	6,746,328	41%
წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა	50.34%	46.75%	3.59, pp

გაუფასურების რეზერვი

კომპანიის რისკის მართვის ხარჯი ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი და არასაოპერაციო ხარჯები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვისა და სხვა არასაოპერაციო ხარჯების ჯამს.

ნათია ჭახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

წინა წელთან შედარებით რეზერვის მთლიანი ხარჯი 14%-ით შემცირდა, რაც ძირითადად ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები თანხების რეზერვის დაბალი დონით არის განპირობებული. არასაოპერაციო ხარჯები თითქმის არ შეცვლილა; ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის და მნიშვნელოვნად გაზრდილი სალიზინგო პორტფელის გათვალისწინებით, რისკის მართვის ხარჯი მოცემულ პერიოდში 1.52%-ით შემცირდა და 2017 წლის საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით, 2.1%-ს გაუტოლდა.

	2017	2016	Change
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები თანხების რეზერვი	262,677	651,780	-60%
არასაოპერაციო ხარჯები	2,387,900	2,437,930	-2%
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	1,993,125	1,486,862	34%
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	394,775	951,068	-58%
მთლიანი რეზერვი	2,650,577	3,089,710	-14%
რისკის მართვის ხარჯი	2.1%	3.6%	-1.52, pp

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაიზარდა და 4,199,519 ლარი შეადგინა, რაც 48%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ამგვარი ზრდის ძირითადი განსაზღვრელი ფაქტორი თანამშრომელთა ხელფასებია, რომლებიც სალიზინგო პორტფელის პარალელურად გაიზარდა. გაზრდილი ხარჯების მიუხედავად, ხარჯებისა და შემოსავლების შეფარდების კოეფიციენტი უმნიშვნელოდ გაუარესდა და 2017 წლის ბოლოს 44.1% შეადგინა.

	2017	2016	Change
თანამშრომელთა ხელფასები	2,640,878	1,662,619	59%
ცვეთა და ამორტიზაცია	144,585	99,678	45%
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	1,414,055	1,080,652	31%
მთლიანი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4,199,519	2,842,949	48%
ხარჯების შემოსავალთან ფარდობა	44.1%	42.1%	1.95, pp

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

რისკ ფაქტორები და გაურკვევლობები

მაკროეკონომიკა, პოლიტიკები და ბაზრის პირობები

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც კომპანიების ბიზნესი, მისი ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგები დიდად არის დამოკიდებული მაკროეკონომიკურ და ბაზრის პირობებზე. შემოსავლების დიდ წილს კომპანია სალიზინგო მომსახურებებიდან იღებს, შემოსავლების ზრდა კი ქართულ ბაზარზე სალიზინგო მომსახურებებზე არსებულ მოთხოვნას უკავშირდება. საქართველოს ეკონომიკის რეგრესმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სალიზინგო მომსახურებებზე არსებულ საერთო მოთხოვნაზე, რამაც, თავის მხრივ, კომპანიის ბიზნესი და ზრდის პერსპექტივები შეიძლება დააზარალოს.

კომპანიის ბიზნესი, ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგები ასევე დამოკიდებულია საქართველოში შექმნილ მაკროეკონომიკურ პირობებზე და ადგილობრივ პოლიტიკებზე, მათ შორის ინფლაციასა თუ დეფლაციაზე, სავალუტო რყევებზე, დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობასა და საპროცენტო განაკვეთების დონეებზე. მაკროეკონომიკური პირობების და ადგილობრივი პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიასა და მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუ კომპანია მოკლე ვადაში ვერ მოახერხებს თავისი ბიზნეს სტრუქტურის მოწესრიგებას და რისკების შემსუბუქების პრევენციას პოლიტიკის ამგვარი ცვლილებების საპასუხოდ, შესაძლოა დაზარალდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციები და პერსპექტივები.

დაფინანსება

კომპანიის ბიზნესი მის კაპიტალზეა დამოკიდებული რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია მნიშვნელოვან ფულად რესურსებს საჭიროებს ლიზინგის წესით გაცემული აქტივების პორტფელის გასაზრდელად, ოპერაციების დასაფინანსებლად და ვალების გადასახდელად. კომპანიამ მნიშვნელოვანი შენატანები უნდა განახორციელოს არსებული დავალიანების ძირი თანხისა და პროცენტის გადასახდელად. მართალია კომპანია ზოგადად მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს სალიზინგო ოპერაციებიდან, გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნეს საჭიროებების დასაფინანსებლად საჭირო ფულადი სახსრების მოძიება ლიკვიდურობის მაღალი დონის და დაფინანსების წყაროებზე სტაბილური ხელმისაწვდომობის პირობებში არის შესაძლებელი. ოპერაციების და მასშტაბების გაფართოვების დაფინანსებას კომპანია ძირითადად ბანკისა და სხვა პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხებით, ობლიგაციების გამოშვებით და კაპიტალის სტრუქტურაში ინექციების საშუალებით ახორციელებს, გარდა იმ ფულადი სახსრებისა, რომლებსაც კომპანია თავისი ბიზნეს ოპერაციების შედეგად აგენერირებს. თუ კომპანია ვერ ახერხებს დაფინანსების არსებული და სამომავლო ოპერაციების შენარჩუნებას კომერციულად მისაღებ პირობებში, მან შესაძლოა ვერ განაგრძოს არსებული წყაროებიდან საკმარისი დაფინანსების მიღება. კომპანიის დაფინანსების ამჟამინდელი წყაროები საკმარისია მისი საპროგნოზო ზრდის ხელშესაწყობად, თუმცა გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა ეს წყაროები საკმარისი არ იყოს მომავალში კომპანიის ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მან ვერ მოახერხოს ბიზნესის დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება.

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენს როგორც კომპანიის სალიზინგო შემოსავალზე, ისე იმ ვალდებულებების პროცენტზე, რომელსაც ის იხდის, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის დაფინანსების ხარჯებთან, სალიზინგო შემოსავალთან, წმინდა საპროცენტო მარჟასთან და კომპანიის მოგების მარჟასა და ფინანსურ მდგომარეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ძალისხმევას არ იშურებს საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკის შემსუბუქებისათვის ცვალებადი და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მიახლოების გზით ერთის მხრივ, დაფინანსების წყაროებზე და მეორეს მხრივ, გაცემულ ლიზინგებზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა კომპანიის კონტროლს მიღმა კიდევ სხვა ფაქტორებს უკავშირდება, როგორებიცაა მაგალითად, საქართველოს საბანკო და ფინანსური სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

კონკურენცია

სალიზინგო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და სულ უფრო და უფრო კონკურენტუნარიანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კომპანია ბაზრის წილების 70%-ზე მეტს იკავებს და საქართველოს სალიზინგო ინდუსტრიას ჯერ კიდევ აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნებას მზარდად მძაფრი კონკურენციის ფონზე. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს შესაძლოა მასზე უფრო დიდი ფინანსური და მართვის რესურსები აღმოაჩნდეს. მათ შესაძლოა ჰქონდეთ უფრო დიდი საოპერაციო და ფინანსური რესურსები, ისევე როგორც მომხმარებელთა ქსელები და ურთიერთობები, დაფინანსების დაბალი ხარჯები და რისკის ტოლერანტობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ან რისკების შეფასების სხვადასხვა მეთოდები, ისე რომ მათ შეეძლოთ განიხილონ ან ხელი მიუწვდებოდეთ ინვესტიციების უფრო დიდ დიაპაზონზე, დაამყარონ მეტი ურთიერთობები და, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ აუქციონის წესით აქტივების შეძენის პროცესებში. ამასთანავე, კომპანიასთან შედარებით მის ზოგიერთ კონკურენტს ლიზინგის პოტენციური მიმღებებისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლია.

კომპანიას კონკურენციას უწევს ასევე მთავარი კომერციული ბანკები და ფინანსური მომსახურებების სხვა პროვაიდერები საქართველოში და მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თავის კლიენტებს გარკვეულ სარგებლებს სთავაზობს, ისეთ სარგებლებს, რომლებიც მხოლოდ ლიზინგისათვის არის რელევანტური ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტრუქტურიდან და სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, კონკურენტებმა კომპანიის არსებული და პოტენციური კლიენტებისათვის შესაძლოა დაფინანსება უფრო ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყონ. უფრო მეტიც, ლიზინგის წესით გასაცემი გარკვეული ტიპის აქტივების დილერებმაც/დისტრიბუტორებმაც კი შეიძლება შესთავაზონ მომხმარებლებს დაფინანსების შედარებით ხელსაყრელი პირობები.

რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები

ბოლო წლებში, კომპანიის ბიზნესის რამდენიმე მიმართულებით განვითარების პარალელურად, კომპანიის ბიზნეს მოდელი უფრო გართულდა და რისკის დონე გაიზარდა. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს რისკების მართვის სისტემას, მათ შორის, რისკების დირექტორის დაქვემდებარებაში ქმნის ცალკეულ სტრატეგიულ ერთეულებს კომპანიის საკრედიტო, აქტივების და სამართლებრივი რისკების მიმართულებით. ამას გარდა, კომპანია მესამე მხარეს, დამოუკიდებელი აუდიტორების

ნათია ჯახია

სახით, ყოველწლიურად უკვეთავს ფინანსურ და საგადასახადო აუდიტს, დედა კომპანია კი შიდა აუდიტის ფუნქციას ასრულებს კონტროლის მექანიზმების თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად. ხსენებული შემოწმების შედეგები ეცნობება კომპანიის აქციონერებს. კომპანიის ბიზნესისა და საოპერაციო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, აქ არსებული რისკების მართვის მექანიზმები შესაძლოა არ იყოს საკმარისი ბიზნესისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი რისკის იდენტიფიცირებისა და შემსუბუქებისათვის. ამრიგად, როდესაც კომპანია ახალ სფეროში იწყებს მოღვაწეობას, ახალ კლიენტებთან უწევს ურთიერთობა ან ქმნის ახალ პროდუქტებს თუ მომსახურებებს, შესაძლოა მან ვერ შეძლოს ყველა სამომავლო რისკის დონის იდენტიფიცირება და შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის რისკის მართვისა და კონტროლის მეთოდები ისტორიულ ბიზნეს გამოცდილებას, ბაზარზე ქცევის წესებს და წარსულ ფაქტებს ემყარება, და ზემოთ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული რისკის დონეები კი შესაძლოა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს კომპანიის მიერ დაშვებულ საპროგნოზო მაჩვენებლებს ისტორიული მონაცემებიდან გამომდინარე.

კომპანიის სხვა რისკის მართვის მეთოდები დამოკიდებულია ინფორმაციის შეფასებაზე ბაზრებთან, მომხმარებლებთან თუ სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად ინტერპრეტირებული აღმოჩნდეს.

ამასთანავე, კომპანიის ბიზნესის განვითარების პარალელურად, კომპანიის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყონ ყველა ტიპის, მათ შორის, არაპროგნოზირებადი, მოულოდნელი და ისეთი რისკების ეფექტიანად შემცირება და შემსუბუქება, რომელთა შესახებაც კომპანია არ ფლობს ინფორმაციას, და რომლებმაც შესაძლოა გაზარდონ უმოქმედო აქტივების კოეფიციენტი. ამას გარდა, საოპერაციო, სამართლებრივი თუ ფინანსური რისკებისგან თავის დასაცავად კომპანიას უწევს პოლიტიკების და პროცედურების რამდენიმე პაკეტის დანერგვა, რათა შეძლოს ზუსტად ასახოს და განასხვავოს ოპერაციებისა და ფაქტების დიდი სიმრავლე. ხსენებული პოლიტიკები და პროცედურები შესაძლოა საკმარისად ეფექტიანი არ იყოს. კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სწორად განხორციელების თუ შესაბამისი რისკების იდენტიფიცირების ნებისმიერმა წარუმატებელმა მცდელობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ზარალი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელზე ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდება კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის შემსუბუქებისა და საკრედიტო ზარალის პრევენციისათვის გამოყენებული რისკის მართვის პოლიტიკები, პროცედურები და შეფასების მეთოდები. რისკის მართვის მიზნებისათვის კომპანია იყენებს ხარისხობრივ მექანიზმებსა და ინდიკატორების სისტემას, რომლებიც წარსულ საბაზრო ქცევას ემყარება. ამ მექანიზმებმა და ინდიკატორების სისტემამ შესაძლოა ვერ მოახდინონ სამომავლო რისკის დონის პროგნოზირება, განსაკუთრებით გაზრდილი ცვალებადობის თუ შეფასების შედეგად შემცირებული ღირებულებების ფონზე ან იმ შემთხვევაში, როცა სწრაფად იზრდება კომპანიის სალიზინგო პორტფელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია რეგულარულად სთხოვს თავის კორპორატიულ კლიენტებს ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენას, მათი ფინანსური ანგარიშგებები შესაძლოა ყოველთვის, თითოეული მათგანის შემთხვევაში, არ იძლეოდნენ მათი ფინანსური მდგომარეობის ამსახველ სრულ და ობიექტურ სურათს. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთ კორპორატიულ კლიენტს შესაძლოა არ ჰქონდეს დიდი და გარე წყაროებით გადამოწმებული საკრედიტო ისტორია, და მათი ანგარიშები შესაძლოა არ იყოს აუდიტირებული კარგი რეპუტაციის მქონე გარე აუდიტორის მიერ. ამრიგად, საკრედიტო რისკის შეფასების მიუხედავად, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს თითოეული პოტენციური კორპორატიული კლიენტის ფინანსური

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

მდგომარეობის ობიექტური შეფასება და ამ უკანასკნელის უნარიანობის ზუსტად განსაზღვრა ვადამოსული სალიზინგო დავალიანების დაფარვასთან მიმართებაში.

სავალუტო რისკები

კომპანიის მთლიანი აქტივების მნიშვნელოვანი წილი, განსაკუთრებით მისი სალიზინგო პორტფელი დენომინირებულია უცხოურ ვალუტებში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ლიზინგის მქონე კლიენტების უმრავლესობა ლარში იღებს შემოსავალს. ეს კლიენტები, როგორც წესი, არ არიან დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობისგან ლიზინგის ვალუტასთან მიმართებაში. შესაბამისად, ლარის კურსის ნებისმიერი ოდენობით გაუფასურებამ ლიზინგის ვალუტასთან მიმართებაში შესაძლოა გაართულოს სალიზინგო შენატანების განხორციელება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია კომპანიის სალიზინგო პორტფელის ხარისხის დაქვეითება და კომპანიის კლიენტებისათვის გაცემული იჯარების გაუფასურების რეზერვების ზრდა გამოიწვიოს. ამ ყველაფერმა კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი ღია სავალუტო პოზიციები უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში კომპანიის სავალუტო პოზიციების ლიმიტების დადგენის გზით და ეტაპობრივად ზრდის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული სალიზინგო პორტფელის წილს, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ მექანიზმების გამოყენებით მოხდება სავალუტო რისკების დაზღვევა. ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ დოლართან მიმართებაში შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ზარალი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკიური ტრანსფორმაცია განიცადა - ფედერალური სოციალური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკა დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიად ჩამოყალიბდა. ქვეყნის პოლიტიკური კლიმატი მკვეთრი ცვალებადობით ხასითადებოდა 90-იან წლებში და ამ საუკუნის ადრეულ წლებში.

2012 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა კოალიცია ქართულმა ოცნებამ დაიკავა. ამ დროისათვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ აღიარა დამარცხება, რითაც საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. ძალიან მალე საქართველოს პარლამენტმა ბატონი ივანიშვილი აირჩია პრემიერ მინისტრად; თუმცა, 2013 წლის ნოემბერში ის გადადგა, რის შემდეგაც ის აღარ არის არჩეული ხელისუფალი. 2018 წელს ბატონი ივანიშვილი კვლავ ჩაერთო პოლიტიკურ აქტივობებში კოალიცია ქართული ოცნების თავმჯდომარის რანგში.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზეა აგებული, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების დაცვას, თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ქმედითი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში. კოალიცია ქართული ოცნება ზოგადად აღიქმება, როგორც ბიზნესსა და ინვესტიციებზე ორიენტირებული ჯგუფი და დღემდე ემსახურება ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ისეთი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციას და განვითარებას. პრემიერ მინისტრმა დადო პირობა, რომ გაატარებს დამატებით რეფორმებს, მათ შორის საგადასახადო სისტემის რეფორმას ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების ხელშეწყობის მიზნით.

ნათია ჭეშია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ნებისმიერი სახის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და განვითარების პერსპექტივებზე, ისევე როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში

ადრეულ 90-იანი წლებში საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ და ეკონომიკამ სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა და ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის პლურალისტულ დემოკრატიად ჩამოყალიბდა. ამ ტრანსფორმაციას დროდადრო ახლდა მკვეთრი არასტაბილურობა, რაც სხვადასხვა დროს გამოწვეული იყო მშპ-ს შემცირებით, ჰიპერინფლაციით, ცვალებადი ვალუტით, სახელმწიფოს ჭარბვალიანობით მშპ-სთან მიმართებაში, „შავი“ და „ნაცრისფერი“ საბაზრო ეკონომიკის არსებობით, უმუშევრობის მაღალი დონით, ნაწილობრივი დასაქმების შესაძლებლობებით და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის სიღარიბით.

2008-2009 წლების რეცესიის შემდგომ, რაც 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტისა და გლობალური ფინანსური კრიზისის კომპლექსურ შედეგებს მოჰყვა (რამაც 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე რეფორმის შედეგად დაწყებული ეკონომიკური ზრდა შეაჩერა), საქართველოს ეკონომიკამ კვლად დაიწყო განვითარება. გეოსტატის მონაცემების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 2014 წელს 1,818 მლნ-ს გაუტოლდა, 2015 წელს - 1,652.5 მლნ-ს, 2016 წელს - 1,602.9 მლნ-ს, ხოლო 2017 წელს - 1,861.9 მლნ-ს. ამასთანავე, რეალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელმა 2014 წელს 4.6%-ს მიაღწია, 2015 წელს - 2.9%-ს, 2016 წელს - 2.8%-ს, 2017 წელს კი - 5.0%-ს. ზრდის ტემპის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ფინანსური შუამავლობის, უძრავი ქონების, სასტუმროებისა და რესტორნების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროებში დაფიქსირებული რეალური ზრდით. გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ძირითადად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადების მოცულობით ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, ჩინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. გეოსტატის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 12.3%-ს გაუტოლდა (11.1% დაფიქსირდა 2016 წელს).

საქართველოს ეროვნული ბანკისა და გეოსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპს-ს წილის სახით 2015 წელს 12.6% შეადგინა, 2016 წელს - 13.2%, 2017 წელს კი - 8.9%. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საქონლის ექსპორტისა და ტურისტული მომსახურებების ზრდის ხარჯზე გაუმჯობესდა. ბალანსის ზრდის მიუხედავად, უარყოფითი ბალანსი კვლავ სერიოზულ რისკად რჩება. თუ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადების მოცულობის ზრდა არ გაგრძელდა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ბალანსის დეფიციტის შესავსებად აღებული სესხების ოდენობის ზრდა, ლარის გაუფასურება ან იმპორტის შემცირება, ნებისმიერმა მათგანმა კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე.

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დოლარიზებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დოლარიზაციის განაკვეთი კომერციულ ბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებაში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 60.2%-ს გაუტოლდა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 69.5%-ს , 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.4%-ს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 5.6%-ს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გარკვეული ღონისძიებები გაატარა საქართველოს შიდა ფულადი ბაზრების განვითარების ხელშესაწყობად, დოლარიზაციის განაკვეთმა შესაძლოა

უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და სავალუტო პოლიტიკების ეფექტიანად გატარებაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა იქონია ასევე რამდენიმე გარე შოკმა, მათ შორის რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, გამწვავებულმა რეცესიამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამ შოკების შედეგად გაუარესდა საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებლები 2014-2016 წლებში, რამაც უცხოეთიდან შემომავალი შემოსავლების ნაკადები შეამცირა; ამას დაერთო აშშ დოლარის კურსის გამყარება მსოფლიო მასშტაბით. შედეგად ამისა, 2015 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 29.0%-ზე მეტი ოდენობით გაუფასურდა. გაუფასურება, ერთი მხრივ, დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარი გარე შოკების დარეგულირებაში, მეორე მხრივ კი გაზარდა აშშ დოლარში დენომინირებული სესხების მქონე მსესხებლების ვალის ტვირთი, და შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე. გარდა ამისა, გეოსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, წლიური ინფლაცია, რომელიც პერიოდის ბოლოს მდგომარეობით სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით დაანგარიშდა, 2014 წელს 2.0%-ს გაუტოლდა, 2015 წელს - 4.9%-ს, 2016 წელს - 1.8%-ს და 2017 წელს - 6.7%-ს. 2017 წელს გაზრდილი ინფლაცია ძირითადად განპირობებულია ისეთი შემთხვევითი ფაქტორებით, როგორებიცაა სააქციზო გადასახადის ზრდა თამბაქოზე, ალკოჰოლსა და ნავთობის პროდუქტებზე. მაღალმა და სტაბილურმა ინფლაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მსყიდველუნარიანობისა და სამომხმარებლო ნდობის შემცირება. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს იმ მიმდინარე გარე შოკებთან გამკლავებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ეკონომიკაზე.

ნებისმიერი ცვლილება მონეტარულ პოლიტიკაში, ლარის არსებითი გაუფასურება აშშ დოლართან თუ ევროსთან მიმართებაში, ინფლაციის უწყვეტი ზრდა თუ სხვა ნეგატიური, მათ შორის, გარე ფაქტორები, შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე. ამას, თავის მხრივ, ნეგატიური ეფექტის მოხდენა შეუძლია კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და განვითარების პერსპექტივებზე, ისევე როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

რისკების მართვა

თიბისი ლიზინგის ხელშეკრულებები ლიზინგის მიმღებს ავალდებულებს წინასწარ გადაიხადოს მანქანა-დანადგარის ფასის 20% ლიზინგის დაწყებისას. ლიზინგის წესით გაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლებას კომპანია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ინარჩუნებს და ლიზინგის მიმღებს მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას გადასცემს. თიბისი ბანკის საკრედიტო კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ლიზინგის წესით 300 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მქონე აქტივის გაცემის შესახებ. ლიზინგთან დაკავშირებული ყველა სახის რეკომენდაციას (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ლიზინგის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის საკრედიტო კომიტეტი.

კომპანია აქტიურად მართავს ლიკვიდურობის რისკს, რითაც უზრუნველყოფს ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. დირექტორთა საბჭო (რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი და ფინანსური დირექტორი) აკონტროლებს ლიკვიდურობის რისკს საბოლოო დაფარვის თარიღების და ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზის გზით. კომპანია აქტიურად ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ფინანსურ (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (მათ შორის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკები)), გეოგრაფიულ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანი რისკების ლიმიტების განსაზღვრა და იმის უზრუნველყოფაა, რომ რისკის დონე ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკების და პროცედურების ადეკვატურ ფუნქციონირებას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნებისათვის.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს იმას, ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზარალი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი დგება კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების და კონტრაჰენტებთან სხვა ტრანზაქციების წარმოების შედეგად, რაც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.

რისკების მართვა და მონიტორინგი დედა კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდება. დედა კომპანიის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს იმ იჯარების გაცემაზე, რომელთა ღირებულება 300,000 დოლარს აღემატება. საკრედიტო კომიტეტზე თუ კომპანიის მმართველ საბჭოზე განაცხადის წარდგენამდე, ყველა რეკომენდაციას ლიზინგის პროცესებთან დაკავშირებით (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ცვლილებები ლიზინგის ხელშეკრულებებში, და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს საკრედიტო დეპარტამენტის რისკების მართვის მენეჯერი.

კომპანია, როგორც წესი, ისე ახდენს თავისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღები მანქანა-დანადგარის ღირებულების 20%-ს სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე იხდის. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება.

როგორც წესი, ხდება ლიზინგით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ისეთი რისკების დაზღვევა, როგორებიცაა: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას არსებული ვალების მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების ანალიზის გზით. იჯარის გაუფასურების ძირითად ფაქტორებში კომპანია მოიაზრებს ვადაგადაცილების სტატუსს, ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას, ლიკვიდურობას და ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულებას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისათვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურად ფარავს ანგარიშგების თარიღისათვის ლიზინგის პორტფელში არსებულ პოტენციურ დანაკარგებს.

მენეჯმენტი კვარტალურად ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას დებიტორების

ნათია ჯახია

ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სასამართლო საქმეების შედეგები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისათვის ადეკვატური რეზერვია შექმნილი ანგარიშგების თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანია ასევე იღებს საბაზრო რისკებს. ეს რისკები ღია სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების პოზიციების შედეგად წარმოიშვება, რაც ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. რისკის ფასთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს დასაშვებ ლიმიტებს, რომლებიც კვარტალურად მოწმდება. ამის მიუხედავად, უფრო სერიოზული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს დანაკარგების პრევენციას დაწესებული ლიმიტების მიღმა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებამ განაპირობოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეცვლა. კომპანია დგას დომინანტი ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის შედეგების ასახვის საფრთხის წინაშე თავის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე.

დირექტორთა საბჭო სავალუტო რისკებს ღია სავალუტო პოზიციის მართვის გზით აკონტროლებს ქართული ლარის გაუფასურების პროგნოზებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გათვალისწინებით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს შეამციროს დანაკარგები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსების მნიშვნელოვანი რხევებიდან გამომდინარე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს მიღებული ფინანსური შემოსავლისა და გადახდილი საპროცენტო ხარჯების შეფარდების მარჟები, ან მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან წარმოშვას ზარალი.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, ვინაიდან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი წარმოშობილია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ნასესხები ერთი ვალით, ყველა სხვა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა მიბმული ან საერთოდ არ ერიცხება პროცენტი.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. დირექტორთა საბჭო (შიდა საბჭო, რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი) აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს საბოლოო დაფარვის თარიღების ანალიზის, მომდევნო ფინანსურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის გზით. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

კორპორატიული მმართველობა

თიბისი ლიზინგის კორპორატიული ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება (**"საერთო კრება"**), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო, და თითოეულ მათგანს აქვს თავისი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

წესდებიდან გამომდინარე. საერთო კრება ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კომპანიის გენერალურ დირექტორს, რომელიც თავის მხრივ ნიშნავს კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებს. ეს უკანასკნელი არის კომპანიის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

ვახტანგ ბუცხრიკიძე, თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძე თიბისი ბანკს 1993 წელს შეუერთდა საკრედიტო დეპარტამენტის სამყვანი მენეჯერის რანგში, ხოლო 1994 წელს იგი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1996 წელს ის გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან ის არის თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი და ხელმძღვანელობს თიბისი ბანკის რამდენიმე კომიტეტს.

2016 წლის მაისში ვახტანგ ბუცხრიკიძე დაინიშნა კომპანიის გენერალურ დირექტორად, 2016 წლის სექტემბერში კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ვახტანგ ბუცხრიკიძე ასევე არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც. 2011 წლიდან ვახტანგ ბუცხრიკიძე არის საქართველოში საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წელს ვახტანგ ბუცხრიკიძე შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

2001 წელს მან მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი მართვის ევროპულ სკოლაში (European School of Management). თბილისში, 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ვახტანგ ბუცხრიკიძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მიღებული აქვს სხვადასხვა სახის კვალიფიკაცია.

ბადრი ჯაფარიძე, წევრი

ბადრი ჯაფარიძე 1992 წელს დაინიშნა თიბისი ბანკის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელად, ხოლო 1993 წელს გახდა ბანკის ვიცე პრეზიდენტი. 1996-2014 წლებში ის იყო თიბისი თივის საბჭოს თავმჯდომარე. 1995-2003 წლებში ბადრი ჯაფარიძე მუშაობდა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში ვიცე პრეზიდენტად; იგი ამავე დროს იყო ამ კომპანიის თანადამფუძნებელი. კომპანიას მოგვიანებით გადაერქვა სახელი და ეწოდა IDS ბორჯომი. ბადრი ჯაფარიძე ამ კომპანიის საბჭოს წევრი იყო 2004-2010 წლებში.

1995 წელს ბადრი ჯაფარიძე არჩეულ იქნა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და 1996 წლიდან არის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს ის ასევე არჩეულ იქნა საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატისა და საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად. ის ასევე არის ამ უკანასკნელის თანადამფუძნებელი.

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

2006 წელს ბადრი ჯაფარიძე აირჩიეს ევროკავშირის საქართველოს ბიზნეს საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და ის პარალელურად გახდა ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2008 წელს ის აირჩიეს გეოპლანტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დღემდე ინარჩუნებს ამ პოზიციას. ბადრი ჯაფარიძე ასევე არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2016 წლის მაისში ბადრი ჯაფარიძე დაინიშნა თიბისი ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ბადრი ჯაფარიძემ 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის მიმართულებით. მას მიღებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი ასევე ფსიქოლოგიაში. გარდა ამისა, 2001 წელს მან გაიარა კურსი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში. 1990-1992 წლებში ბადრი ჯაფარიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნიკოლოზ ქურდიანი, წევრი

ნიკოლოზ ქურდიანის მუშაობის გამოცდილება საბანკო ინდუსტრიაში ათ წელზე მეტს ითვლის, აქედან ის ხუთი წელი მუშაობდა უნიკრედიტჯგუფში ავსტრიაში, თურქეთსა და ყაზახეთში. თიბისი ბანკში მუშაობის დაწყებამდე, 2014 წელს ნიკოლოზ ქურდიანი იყო კასპი ბანკის – ყაზახეთის წამყვანი საცალო ბანკის – მმართველი დირექტორი.

2007 წელს, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხის მიღებამდე, ის იყო საცალო საბანკო მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი ბანკ რესპუბლიკაში საქართველოში – ჯგუფ სოსიეტე ჟენერალში. 2003-2006 წლებში ნიკოლოზ ქურდიანს ეკავა სხვადასხვა თანამდებობები საქართველოს ბანკში, აქვს გამოცდილება აკვიზიციის შემდგომ ინტეგრაციასა და რესტრუქტურიზაციაში, ასევე საცალო სეგმენტისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საბანკო მომსახურების სფეროში. 2008-2010 წლებში ნიკოლოზ ქურდიანი იყო გაყიდვების მხარდაჭერის უფროსი ექსპერტი უნიკრედიტ ჯგუფში, ავსტრიის ბანკის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო მომსახურების განყოფილებაში, სადაც მისი კურატორობის სფეროში შედიოდა თურქეთი, ყაზახეთი, უკრაინა და სერბეთი. 2010-2013 წლებში ნიკოლოზ ქურდიანი იყო საცალო განყოფილების ხელმძღვანელი ყაზახეთში, უნიკრედიტ ჯგუფში, ATF ბანკში.

2007 წელს მან მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) IE ბიზნეს სკოლაში. ნიკოლოზ ქურდიანს აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მიიღო გერმანიაში, Ruhr-University Bochum-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

ნათია ჯახია

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

დირექტორთა საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

გაიოზ გოგუა, გენერალური დირექტორი (დირექტორი)

გაიოზ (გაგა) გოგუა თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს 2017 წლის ნოემბრიდან. მანამდე ის მუშაობდა თიბისი ბანკში, რომელსაც 2001 წელს შეუერთდა საკრედიტო მენეჯერის რანგში. თიბისი ბანკში მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობები, მათ შორის, რეგიონალური დირექტორის, ფილიალის უფროსის და საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის. გაიოზ გოგუას მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები ფიზიკის სპეციალობით და თბილისის ბიზნესის სკოლა ESM-ის მაგისტრის ხარისხი.

ნატო ტორონჯაძე, კომერციული დირექტორი (დირექტორის მოადგილე)

ნატო ტორონჯაძე 2009 წელს შეუერთდა თიბისი ლიზინგს და წლების განმავლობაში იყო საკრედიტო რისკების მენეჯერი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. 2017 წლის აპრილში ის გახდა კომპანიის კომერციული დირექტორი. ნატო ტორონჯაძეს მიღებული აქვს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები რაოდენობრივ ანალიზში.

ნუგზარ ლოლაძე, ფინანსური დირექტორი

ნუგზარ ლოლაძე 2014 წლიდან მუშაობს თიბისი ლიზინგში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. მანამდე ის მუშაობდა ერნსტ ენდ იანგში წამყვანი აუდიტორის თანამდებობაზე, მოგვიანებით კი გახდა ტრანზაქციების საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელი. ნუგზარ ლოლაძემ დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა (CSB).

სალომე ღუდუშაური, საოპერაციო დირექტორი

სალომე ღუდუშაური 2017 წლის აპრილში დაინიშნა თიბისი ლიზინგის საოპერაციო დირექტორის თანამდებობაზე. იგი თიბისი ლიზინგს 2010 წელს შეუერთდა და ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა ლიზინგის პროექტის წამყვან მენეჯერად, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და სტრატეგიული პროექტების მენეჯერად. მას მიღებული აქვს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები რაოდენობრივ ანალიზში.

ლევან აბაშიძე, ავტომოტივის დეპარტამენტის უფროსი

ლევან აბაშიძე თიბისი ლიზინგს 2016 წელს ავტომოტივის დეპარტამენტის უფროსის რანგში შეუერთდა. 2008 წლიდან ის მუშაობდა ARVAL BNP Paribas-ში ჯერ საკრედიტო რისკების და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის უფროსის, შემდეგ კი - რემარკეტინგის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე ლევან აბაშიძე იყო მცირე და საშუალო ბიზნეს დაკრედიტების სამსახურის უფროსი ქართუ ბანკში. მანამდე ის მუშაობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) საკრედიტო მრჩევლად მცირე

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საწარმოების დაკრედიტების მიმართულებით; იყო საქართველოს საზღვაო ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და პროკრედიტ ბანკის კრედიტ ოფიცერი. ლევან აბაშიძეს მიღებული აქვს კლიმენტ ოჰრიდსკის სახელობის სოფიას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი და კავკასიის ბიზნეს სკოლისა და ბიზნესისა და ეკონომიკის ამერიკული ინსტიტუტის (AIBEc) მაგისტრის ხარისხები.

ნანა შონია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ნანა შონია თიბისი ლიზინგს 2007 წელს შეუერთდა და 2013 წლის იანვრიდან არის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. მანამდე ნანა შონია მუშაობდა იურისტ კონსულისა და წამყვანი იურისტის თანამდებობებზე. კომპანიაში მუშაობის დაწყებამდე, 2005-2007 წლებში ის მუშაობდა პროკრედიტ ბანკში იურისტის თანამდებობაზე. ნანა შონიას მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები იურისპრუდენციაში.

დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრის ბიზნეს მისამართი კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართს ემთხვევა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი #80.

ორიათასთვრამეტი წლის ოცდარვა სექტემბერს მე, მედეა გვაზავას, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №5/ დ.უზნაძის ქ.№16-18, II სართული, მომმართა ნათიამ ჯახიამ, რომელმაც წარმოადგინა წინამდებარე დოკუმენტი, მისი თარგმანი და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნათიამ ჯახიამ (დაბ. 06.08.1976 ხობში, მცხ. თბილისი, მ.ბროსეს ქ.№4, პ/ნ №01017012047, პ/მ №B1211374, გაც. მთაწმინდა-კრწანისის სრსს მიერ 17.09.2008) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: მაგისტრის დიპლომი M №00029, გაცემული 1998 წელს ქ.თბილისის, თსუ მიერ, სარეგ.№01/04.შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა ნემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ნემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ.

ეგზემპლარები: 2 (ორი)

რეგისტრირებულია რეესტრში: № 181204734

გადახდილია ს.ზღაური: **84.00** ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ს.ზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 15.12 ლარი, სულ გადახდილია 99.12 ლარი.

რეგისტრაციის საფასური: **2.00** ლარი დღგ-ს ჩათვლით

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

On September 28, 2018, I **Medea Gvazava**, Notary with the Notary Office located at: 5, Mardjanishvili ave /16-18,D.Uznadze str., floor II. Tbilisi, was addressed by **Natia Jakhia**, who presented this document and its translated version and asked to certify the authenticity of her signature according to notary rule. I verified her personality by the identification document presented by her and was convinced that I was really addressed by **Natia Jakhia** (born on 06.08.1976, in Tbilisi, residing in Tbilisi, at #4 Brosset str., personal #01017012047, ID #B1211374, issued 17.09.2008 by Mtatsminda-Krtsanisi Service of the Public Service Development Agency). I checked her legal capacity and was convinced that had no grounds to doubt it. The translator presented the document confirming her knowledge of the language: MA Diploma M #00029, issued in 1998 by Ivane Javakhishvili Tbilisi State University; registration # 01/04. Then I ascertained the authenticity of her expression of will and explained her the juridical results of the signature. I warned the translator about the responsibility caused by an incorrect translation. The translator confirmed that the translation is correct and signed it in my presence, which I certify.

Copye: 2(two)

Registered in the register: # 181204734

Fee paid: **84.00** GEL (according to Article 31 of the Resolution #507 of the Government of Georgia about "Tax for completing the Notary acts and, the method and amount of payment and approval of service terms established for the Notary Chamber of Georgia") and VAT: **15.12** (according toof the Article 169 of the Tax Code of Georgia). Total amount paid: 99.12 GEL. Registration fee: **2.00** GEL including VAT

Notary: Medea Gvazava

საქართველო. ნოტარიუსი მედეა გვაზავა. GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA. 01008018186

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181204734
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მედეა გვაზავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #5/დ.უზნაძის ქ.#16-18,II სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593373834
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	35751182889018

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგებები და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგებები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავალი 2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1 *შესავალი* 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები 7
4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები 16
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 18
6 ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები 18
7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
8 ბანკებიდან მისაღები თანხები 24
9 წინასწარ გადახდილი თანხები 25
10 ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები 25
11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 25
12 ქონება და მანქანა-დანადგარები 28
13 არამატერიალური აქტივები 29
14 საინვესტიციო ქონება 29
15 ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები 30
16 სხვა ფინანსური აქტივები 31
17 სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან 33
18 გამოშვებული ფასიანი ქაღალდები 34
19 კლიენტებისგან მიღებული ავანსები 34
20 სუბორდინირებული სესხები 34
21 სხვა ვალდებულებები 35
22 სააქციო კაპიტალი 35
23 სხვა შემოსავალი 35
24 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 36
25 მოგების გადასახადები 36
26 წმინდა ვალის რეკონსილაცია 37
27 ფინანსური რისკების მართვა 37
28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 44
29 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება შეფასების მიზნებისათვის 46
30 პირობითი ვალდებულებები 46
31 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 47

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს თიბისი ლიზინგის აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ვფიქრობთ, სს თიბისი ლიზინგის ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში "ანგარიშგებები"), სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის (შემდგომში "კომპანია") ფინანსური პოზიციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ხსენებული თარიღისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენს მიერ შემოწმებული სფეროები:

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი, აუდიტორების პასუხისმგებლობები აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში, აღწერილია ქვემოთ ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში "აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან მიმართებაში".
გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და რელევანტურია ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვმოქმედებთ კომპანიისგან სრულიად დამოუკიდებლად, რითაც ვიცავთ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს "პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს" (IESBA Code). გარდა ამისა, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს აღნიშნული კოდექსიდან გამომდინარე.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე, რაც გულისხმობს მენეჯმენტის ანგარიშს, რომელიც უნდა მომზადდეს საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტორის ანგარიშს ამასთან დაკავშირებით). ველით, რომ ეს ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე აუდიტორის ანგარიშის მომზადების შემდეგ.
ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის, არც მენეჯმენტის ანგარიშს.
ფინანსური ანგარიშგებების ჩვენეულ აუდიტთან მიმართებაში, ჩვენი მოვალეობაა გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მას შემდეგ რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება. ამის შემდეგ, უნდა შევაფასოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან ჩატარებული აუდიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად დასტურდება მისი უზუსტობა. ამასთანავე, ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვხატოთ ჩვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მენეჯმენტის ანგარიში შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რაც მოთხოვნილია საქართველოს კანონით «ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ».
ჩვენ მოვამზადებთ განახლებულ ანგარიშს, რომელშიც ჩვენ ან განვაცხადებთ, რომ არაფერი გვაქვს აღსანიშნი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ან აღვწერთ იმ უზუსტობებს, რომელთა იდენტიფიცირებაც მენეჯმენტის ანგარიშში ანგარიშმგებელი პირის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუდიტის ჩატარების პროცესში მოვახდინეთ.

მენეჯმენტის და მმართველი ფუნქციების მქონე პირების პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და ობიქტურად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, და იმ ტიპის შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ არსებითი უზუსტობებისგან დაზღვეული (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისათვის.
ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია მოქმედი საწარმოს სახით საქმიანობის უწყვეტად წარმართვის თვალსაზრისით კომპანიის უნარიანობის და უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაზე და მოქმედი საწარმოსთვის მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი არ გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტას, ან მას ამ უკანასკნელი ალტერნატივების გარდა სხვა რეალური გზა არა აქვს.
მმართველობის ფუნქციის მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტირებასთან მიმართებაში

ჩვენი ამოცანაა გონივრული მტკიცებულების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაცულია ზოგადად ფინანსური ანგარიშგებები არსებითი უზუსტობებისგან (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) და ასევე, ჩვენი მოსაზრების შემცველი აუდიტორის ანგარიშის მომზადება. გონივრული მტკიცებულება მაღალი დონის მტკიცებულებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყველა შემთხვევაში გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობის მიზეზი შეიძლება იყოს

თაღლითობა ან მექანიკური შეცდომა. უზუსტობა არსებითია, თუ გონივრული მოლოდინი არსებობს იმისა, რომ უზუსტობა, ცალკე აღებული ან უზუსტობები აგრეგირებული ფორმით, გავლენას მოახდენს ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვაკეთებთ პროფესიულ დასკვნებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის ჩატარების პროცესში. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებების არსებით უზუსტობებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით), ვქმნით და ვახორციელებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებისგან თავის დასაცავად, და მოვიპოვებთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და ადეკვატური იქნება ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად. რისკი იმისა, რომ ვერ შევძლებთ თაღლითობის შედეგად წარმოშობილი უზუსტობის გამოვლენას უფრო მაღალია, ვიდრე მექანიკური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის დადგენის შეუძლებლობის რისკი, იმ მიზეზის გათვალისწინებით, რომ თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მიღმა მოქმედებას.
- ვიაზრებთ აუდიტთან დაკავშირებით შიდა კონტროლის არსებულ სურათს, რათა შევიმუშავოთ კონკრეტულ გარემოებებს მორგებული აუდიტის პროცედურები და არა იმისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობასთან მიმართებაში.
- ვაფასებთ მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკების ადეკვატურობას და საბუღალტრო გათვლების გონივრულობას და მენეჯმენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.
- ვამზადებთ დასკვნას მენეჯმენტის მიერ მოქმედი საწარმოს საქმიანობის უწყვეტობაზე მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე ვაფასებთ იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებულ მასშტაბურობას, რამაც შესაძლოა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარიანობა საქმიანობის გაგრძელებასთან მიმართებაში. თუ დავასკვნით, რომ არსებობს სერიოზული მასშტაბის გაურკვევლობა, აუდიტორის ანგარიშში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ თვალსაზრისით ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, და თუ ეს უკანასკნელი არასაკმარისად არის წარმოდგენილი, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები, როგორც წესი, ეფუძნება აუდიტის ანგარიშის მომზადებამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალშიც შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენები, ან გარემოებები, რომელთა გამოც კომპანიას, როგორც მოქმედ საწარმოს, მოუწევს საქმიანობის შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას, ასევე იმას, თუ რამდენად ობიექტურად არის ასახული ოპერაციები და მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებებში.

იმ საკითხებში, რომელთა მიმართებაშიც კომუნიკაცია გვაქვს კომპანიის მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან, გამოვყოფთ დაგეგმილი აუდიტის მასშტაბებსა და ჩატარების

ვადებს, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებს, მათ შორის, აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მიმართულებით აღმოჩენილ ხარვეზებს.

შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერსის (რეგისტრაციის # SARAS-F-775813) სახელით

ლაშა ჯანელიძე (რეგისტრაციის # SARAS-A-562091)

2018 წლის 23 ივლისი

თბილისი, საქართველო

სს თიბისი ლიზინგი
ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	7,865,169	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	5	4,431,850	-
წინასწარ გადახდილი თანხები	**Error! Reference source not found.**	3,013,077	1,028,009
საგადასახადო აქტივები, ნეტო ღირებულება		2,463,305	763,842
ლიზინგის ხელშეკრულებისათვის მიღებული ავანსები	10	23,017,214	9,614,800
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11	143,776,957	94,783,939
ქონება და მანქანა-დანადგარები	12	3,128,044	492,286
არამატერიალური აქტივები	13	717,237	507,530
საინვესტიციო ქონება	14	2,299,128	1,976,128
იჯარით გაცემის მიზნით შეძენილი აქტივები		2,740,407	285,982
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები	0	3,328,098	2,573,242
სხვა ფინანსური აქტივები	16	4,046,937	4,151,269
სხვა აქტივები		1,676	91,050
მთლიანი აქტივები		**200,829,099**	**121,545,347**
ვალდებულებები			
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	17	135,781,499	68,236,223
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	19	12,907,386	7,043,926
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	7,798,098	13,260,660
სუბორდინირებული სესხი	20	15,684,639	15,833,761
სხვა ვალდებულებები	21	9,256,894	1,854,829
მთლიანი ვალდებულებები		**181,428,516**	**106,229,399**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,059,000	3,059,000
(დამატებითი)საემისიო კაპიტალი		2,149,827	2,149,827
გაუნაწილებელი მოგება		14,191,756	10,107,121
მთლიანი კაპიტალი		**19,400,583**	**15,315,948**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**200,829,099**	**121,545,347**

გენერალური დირექტორი
გაიოზ გოგუა

ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე

23 ივლისი 2018

გვერდებზე 5-47 მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
მოგებისა და ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფინანსური ლიზინგის შემოსავალი		22,517,026	16,767,170
საოპერაციო ლიზინგის შემოსავალი		287,351	-
საპროცენტო ხარჯი		(9,344,863)	(7,357,366)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		**13,459,514**	**9,409,804**
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი	11	(262,677)	(651,780)
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვის შემდეგ დარჩენილი წმინდა ფინანსური შემოსავალი		**13,196,837**	**8,758,024**
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	16	(1,993,124)	(1,486,862)
სხვა შემოსავალი	23	819,979	848,706
დასაკუთრებული აქტივების თავდაპირველი აღიარების ნამეტი შემოსავალი		308,121	140,823
დასაკუთრებული აქტივების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	0	(448,810)	(516,930)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან და გათავისუფლებიდან მიღებული ზარალი	0	(111,057)	(229,747)
ნამეტი შემოსავლის შემდეგ დარჩენილი დერივაციული ინსტრუმენტებიდან მიღებული ზარალი		-	(424,195)
ვალუტის გაცვლით მიღებული ნამეტი შემოსავალი ზარალის გამოკლების შემდეგ		966,581	1,447,648
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(8,976,892)	(6,180,367)
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი	14	323,000	1,085,615
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**4,084,635**	**3,442,715**
მოგების გადასახადის ხარჯი	25	-	(166,172)
წლის მოგება		**4,084,635**	**3,276,543**
წლის სხვა სრული შემოსავალი		**4,084,635**	**3,276,543**

გვერდებზე 5-47 მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
კაპიტალში ცვლილების ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დამატებითი საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,792,000**	**1,301,034**	**6,830,578**	**10,923,612**
წლის სრული შემოსავალი	-	-	3,276,543	**3,276,543**
გამოშვებული აქციები	267,000	848,793	-	**1,115,793**
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,059,000**	**2,149,827**	**10,107,121**	**15,315,948**
წლის სრული შემოსავალი	-	-	4,084,635	**4,084,635**
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,059,000**	**2,149,827**	**14,191,756**	**19,400,583**

გვერდებზე 5-47 მოცემული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ლიზინგის მიმღებებიდან მიღებული ფული		92,654,568	66,445,744
ლიზინგის მიმღებებიდან მიღებული ფული, როგორც საგირავნო დეპოზიტი		15,404,242	9,438,154
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული		1,297,543	2,933,116
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მიღებული ფული		1,963,360	916,650
ლიზინგის მიზნით აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(145,217,348)	(73,687,885)
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული		(5,530,867)	(3,376,777)
პერსონალისათვის გადახდილი ფული		(1,935,530)	(1,218,950)
საოპერაციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული ფული		**(41,364,032)**	**1,450,052**
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(1,757,196)	(1,648,467)
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(5,411,572)	(4,535,807)
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	26	(585,408)	(540,179)
გადახდილი გადასახადები		(4,960,149)	(4,201,277)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(54,078,357)**	**(9,475,678)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		235,887	12,636
ქონების და მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		-	18,347
ქონების და მანქანა-დანადგარების შეძენა		(275,495)	(260,110)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(161,893)	(197,681)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(201,501)**	**(426,808)**
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობებიდან			
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	26	119,604,203	13,346,561
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	26	(4,877,400)	-
გამოშვებული სავალო ვალდებულებები		-	6,970,893
ანაბრებზე რიცხული თანხები (ბანკების მიერ გადასახდელი)		(4,431,850)	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი		-	1,115,793
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების დაფარვა	26	(52,834,029)	(19,652,255)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**57,460,924**	**1,780,992**
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(593,167)	2,558,665
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		**2,587,899**	**(5,562,829)**

გვერდებზე 5-47 მოცემულ კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს თიბისი ლიზინგი
ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	5,277,270	10,840,099
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**7,865,169**	**5,277,270**

გვერდებზე 5-47 მოცემულ კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

1 *შესავალი*

სს თიბისი ლიზინგის (შემდგომში "კომპანია") წინამდებარე ფინანსური ანგარიშები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადდა.

კომპანია 2003 წელს დაფუძნდა და საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაცია განხორციელდა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით:205016560.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის ლიზინგით დაფინანსების უზრუნველყოფაა. კომპანია ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გასცემს სხვადასხვა ტიპის სამრეწველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებულ მანქანა-დანადგარებს. კომპანია ლიზინგის აქტივებს ყიდულობს მომწოდებლებისგან როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:

აქციონერები	*2017 წილი, %*	*2016 წილი, %*
სს თიბისი ბანკი ("მეწილე")	*99.61%*	*99.61%*
არასაკონტროლო წილის მფლობელი (მინორიტარული აქციონერი) - ფიზიკური პირი	*0.39%*	*0.39%*
ჯამი	*100%*	*100%*

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი იყო გაერთიანებულ სამეფოში დარეგისტრირებული თიბისი ბანკის ჯგუფი PLC.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#80.

ანგარიშგების ვალუტა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ქართულ ლარში ("ლარი"), თუ ეს სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ბიზნესის მეტი წილი საქართველოშო ხორციელდება. განვითარებადი ქვეყნების, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა, სწრაფად იცვლება და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობების და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე პროცესები შესაძლოა გარკვეულ რისკებს უკავშირდებოდეს, რომლებიც, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში წარმოებულ ოპერაციებთან არ ასოცირდება. ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რეფორმები სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო და კომერციული საქმიანობის სფეროებში, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საერთო საინვესტიციო გარემოზე. დღესდღეობით, საქართველოს საერთაშორისო არენაზე ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს რეპუტაცია აქვს.
მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ყოველწლიური ანგარიშის "ბიზნესის კეთება 2018" მიხედვით საქართველო აგრძელებს პროგრესს (წინა წლის მაჩვენებელს 7 საფეხურით უსწრებს) და მსოფლიოში უკვე მე-9 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

სიმარტივით. საქართველომ თითქმის ყველა კატეგორიაში გააუმჯობესა თავისი მაჩვენებლები, რითაც დაადასტურა რეგიონის ლიდეროზა და ევროკავშირის უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკაში მიღწეულ შედეგებზე უპირატესი პოზიცია. საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და თავისი ინსტიტუციების მაღალი ხარისხის გამჭვირვალობით, რაც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა.

შიდა ეკონომიკური გარემო კვლავ სტაბილურია, საბანკო სექტორი კი - მზარდი, რასაც ხელს უწყობს მაკროეკონომიკური სტაბილურობა გლობალურ დონეზე და მიმზიდველი ბიზნეს გარემო.

გეოსტატის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ს წლიურმა ზრდამ 4.8% შეადგინა 2017 წელს, რაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მიღწეულმა შედეგებმა განაპირობა, ძირითადად ეს ეხება მშენებლობის, ვაჭრობისა და რემონტის, უძრავ ქონების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროებს.

საქართველოს თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში (ვაჭრობის სფეროში) დაფიქსირებული ეკონომიკური აღმავლობა კვლავ ხელს უწყობს ექსპორტისა და ტურიზმის განვითარებას, ფულადი გზავნილების ნაკადების ზრდას. 2017 წელს საქონლის ექსპორტმა წლიური 29.1%-იანი ზრდა განიცადა, თუმცა ცალკეულ რეგიონებში განსხვავებული მაჩვენებლები დაფიქსირდა. ექსპორტის მოცულობა გაიზარდა დსთ-ს უმრავლეს ქვეყნებში (წლიური +60.0%), ექსპორტმა ზრდა განაგრძო ევროკავშირის (წლიური +13.0%), ისევე როგორც სხვა ქვეყნების მიმართულებითაც (წლიური +12.2%). ასევე გაიზარდა საქონლის იმპორტი 9.4%-ით, რამაც 2017 წელს საქონლით ვაჭრობის წლიური ბალანსის მაჩვენებელი 1.4%-ით ოდნავ გააუარესა.

ტურიზმის შემომავალი ნაკადები წლიური 28.0% -ით გაიზარდა, ხოლო ვიზიტორების საერთო რაოდენობამ 7.5 მლნ-ს გადააჭარბა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დრამატულმა ზრდამ შესამჩნევი დადებითი გავლენა იქონია საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე.

2017 წელს ფულადი გზავნილებიდან შემოსული თანხები წლიური 19.8%-ით გაიზარდა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირიდან ჩარიცხული თანხების ზრდა წლიურ 15.1%-ს, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან ჩარიცხულის - 15.6%-ს შეადგენდა. სხვა ქვეყნებიდან მიღებული გზავნილების ზრდა წლიურ 31.3%-ს გაუტოლდა. ქვეყნების ამ უკანასკნელ კატეგორიაში ისრაელმა და თურქეთმა ზრდის მაჩვენებელში ყველაზე დიდი წილი დაიკავეს, რადგან ამ ქვეყნებიდან მიღებული გზავნილები შესაბამისად წლიური 96.1% და 25.6%-ით გაიზარდა.

გარე წყაროებიდან მიღებული ფულადი ნაკადების პოზიტიური ტრენდის გათვალისწინებით, შესამჩნევად გაუმჯობესდა საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი. 2017 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში დეფიციტი მშპ-ს წილის სახით 7.1%-ს გაუტოლდა წინა წლის იმავე პერიოდის 11.2%-იან მაჩვენებელთან შედარებით.

წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაციამ პიკურ მაჩვენებელს მიაღწია 2017 წლის ივნისში და გაუტოლდა 7.1%-ს, ხოლო 2017 წლის ბოლოს ოდნავ შემცირდა 6.7%-მდე. 2017 წლის დასაწყისში გაზრდილი სააქციზო გადასახადი, ნავთობის გაზრდილი ფასი და ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურება - იმ ფაქტორებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ინფლაციის მაჩვენებელი წლის ბოლოს 7%-ს მიუახლოვა. ზემოხსენებულ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში, 2017 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.25 პპ-ით, 7%-იდან 7.25%-მდე გაზარდა. საერთო ჯამში, 2017 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.75 პპ-ით გაზარდა, რადგან ეს განაკვეთი 2017 წლის დასაწყისში 6.5%-ს უდრიდა, 2017 წლის ბოლოს კი - 7.25%-ს გაუტოლდა.

2016 წელს დაფიქსირებული 3.9%-იანი ფისკალური დეფიციტი 2017 წელს 3.8%-მდე შემცირდა, რაც შეესაბამებოდა მთავრობის სტრატეგიას საშუალოვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირების მიმართულებით 3%-ზე დაბალ ნიშნულამდე. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

მოსალოდნელზე მეტად დადებითი გავლენა იქონია საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე, და ასევე ხელი შეუწყო უფრო ფრთხილი მიდგომის შემუშავებას მიმდინარე ხარჯვით ნაწილშიც. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი ბიუჯეტის დეფიციტის კიდევ უფრო მეტ შემცირებას ითვალისწინებს, მშპ-ს 3%-მდე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ფისკალურ პოზიციას.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებით ლიზინგის ხელშეკრულების დასრულების შედეგად მიღებული ფინანსური ინსტრუმენტების და აქტივების თავდაპირველი აღიარების შედეგად იცვლება. ქვემოთ აღწერილია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების შესადგენად იქნა გამოყენებული.
კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, მენეჯმენტს მოეთხოვება დასკვნების გაკეთება, შეფასებების და დაშვებების მომზადება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, რაც მზამზარეულად არ ჩანს სხვა წყაროებში. შეფასებები და მათთან ასოცირებული დაშვებები ეფუძნება ისტირიულ გამოცდილებას და სხვა რელევანტურად მიჩნეულ ფაქტორებს.

შეფასებებისა და შესაბამისი დაშვებების განხილვა მიმდინარე რეჟიმში ხდება. საბუღალტრო კალკულაციების კორექტირების აღიარება ხდება ამა თუ იმ კალკულაციის კორექტირების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ ამ კონკრეტულ პერიოდს შეეხება ან კორექტირების და ასევე მომავალ პერიოდებში, თუ კორექტირება შეეხება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ პერიოდებს.

ლიზინგის დასაწყისი. ლიზინგის დასაწყისად ითვლება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების, ან ვალდებულების აღების თარიღი, თუ ეს უკანასკნელი უფრო ადრე მოხდა. ამ განმარტების მიზნებისათვის, ვალდებულების აღება ხდება წერილობით, ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერის საფუძველზე, და მასში კონკრეტულად არის აღწერილი ტრანზაქციის ძირითადი პირობები.

ლიზინგის ვადის ათვლა. ლიზინგის ვადის ათვლა იწყება იმ თარიღიდან, როცა ლიზინგის მიმღებს მიენიჭება ლიზინგის საფუძველზე გადაცემული აქტივით სარგებლობის უფლება. ეს არის ლიზინგის თავდაპირველი აღიარების თარიღი.

ფინანსური ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი არის ლიზინგის ტიპი, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევითი რისკის თუ სარგებლის არსებითად გადაცემა. საკუთრების უფლების გადაცემა, საბოლოო ჯამში, ან ხდება, ან არა. ლიზინგი ფინანსური იქნება თუ საოპერაციო, ეს დამოკიდებულია ტრანზაქციის არსზე და არა, კონტრაქტის ფორმაზე. ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი იმ შემთხვევაში, თუ:

- ლიზინგის ხელშეკრულებით აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ვადის დასრულებისას;
- ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ყიდვის ოფცია იმ ფასად, რაც მოსალოდნელია, რომ იქნება საკმარისად დაბალი იმ სამართლიან ღირებულებასთან შედარებით, რომელიც დაფიქსირდება ოფციის განხორციელების შესაძლებლობის თარიღზე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას, გონივრული ჩანს ოფციის განხორციელების შესაძლებლობა;
- ლიზინგის ვადა აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ძირითად ნაწილს შეეხება, იმის მიუხედავად საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელებულია თუ არა;
- ლიზინგის დაწყებისას ლიზინგის მინიმალური შენატანების მიმდინარე ღირებულება მინიმუმ ლიზინგით შესაძენი აქტივის სამართლიანი ღირებულების ტოლია; და/ან

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

- ლიზინგით შესაძენი აქტივი ისეთი სპეციფიკური ტიპის საგანია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ძირეული მოდიფიკაციის გარეშე.

ფინანსური შემოსავალი ლიზინგით გათვალისწინებული ძირი თანხისა და პროცენტის საფუძველზე იანგარიშება და მისი აღიარება სისტემატურად ხდება ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საოპერაციო ლიზინგი. ამ შემთხვევაში კომპანია არის ლიზინგის გამცემი ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად და არ ხდება კომპანიის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ფლობასთან დაკავშირებული ყველა სახის შემთხვევითი რისკისა თუ სარგებლის არსებითი ფორმით გადაცემა, ხოლო ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. ლიზინგის ვადა ის პერიოდია, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება და რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღები ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს აქტივს სხვა პირობების ამოქმედების პარალელურად, რომელთა ფარგლებშიც ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ლიზინგის წესით ფლობის გაგრძელების ოფცია, მომდევნო შენატანების პირობებში ან მათ გარეშე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას განივრული ჩანს ლიზინგის მიმღების მიერ ამ ოფციის განხორციელების შესაძლებლობა.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. წმინდა ინვესტიციებს ფინანსურ ლიზინგში კომპანია ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ღირებულებით ასახავს. ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებული თანხები და სხვა ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულებაა (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დოსკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის სამართლიანი ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტრების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

ლიზინგის დაწყებამდე მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსი აისახება, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები, ან წინასწარ გადახდილი თანხები, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. ლიზინგის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თანამონაწილობის თანხა აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები. ეს ავანსები მოიცავს ლიზინგის ფარგლებში გადასაცემი აქტივების შესასყიდად პროცენტიან საავანსო გადახდებს. ამგვარი ავანსების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობის სახით. ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგის კონტრაქტისათვის გადახდილი ავანსები ფინანსური ლიზინგში წმინდა ინვესტიციის სახით აღირიცხება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღებ თანხებს კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხული/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობის სახით ხდება.

ლიზინგის მიმღებზე გაცემული სესხები. შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები გარკვეულ შემთხვევებში (როცა ისინი ვადაგადაცილებული ხდება) რეკლასიფიცირდება, როგორც

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ლიზინგის მიმღებებისათვის გაცემული სესხები და ყოფილ ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირი თანხის გადახდა დარიცხულ პროცენტთან ერთად უნდა მოხდეს. სესხების აღიარება საწყის ეტაპზე ხდება, როგორც მისაღები თანხების ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობისა, ხოლო შემდგომ - როგორც ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობა.

წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილ თანხებში ძირითადად შედის სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები, საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგით შესაძენი აქტივები და სხვა წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილი თანხების ასახვა გაუფასურების ზარალის ოდენობით ხდება.

თუ წინასწარ გადახდილი თანხების ამოღებადი ნაწილი ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარ გადახდილი თანხის საბალანსო ღირებულება ამოღებად ღირებულებამდე მცირდება. მიღებული სხვაობის, ანუ გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება იმ წლის მოგებასა თუ ზარალში, რომელშიც ის წარმოიშვა. წინასწარგადახდილი თანხების გაუფასურების ზარალის შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი. გაუფასურების ზარალის აღიარება ზარალსა თუ ხარჯში ერთი თუ რამდენიმე შემთხვევის („ზარალის შემთხვევა“) შედეგად ხდება ზარალის წარმოშობის მომენტში, რასაც წინ უსწრებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარება და რაც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სანდო წყაროებით შეფასებული სამომავლო ფულის ნაკადების ოდენობასა და დროზე. კომპანია ახდენს ლიზინგის მიმღებების კლასიფიცირებას მნიშვნელოვან და უმნიშვნელო კატეგორებად გაუფასურების ზარალის რეზერვის დაანგარიშების მიზნებისათვის, ხოლო გაუფასურების ზარალს აფასებს როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.

ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული ლიზინგის მიმღებების გაუფასურების ზარალის დასადასტურებლად ხდება კონკრეტული ხარისხობრივი და თვისობრივი შემთხვევების გამოკვეთა იმის უზრუნველსაყოფად, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ზარალის შემთხვევის იდენტიფიცირება.

თუ არსებობს დასტური იმისა, რომ გაუფასურების ზარალის შემთხვევას ჰქონდა ადგილი მნიშვნელოვან საკრედიტო დავალიანებასთან მიმართებაში, კომპანია ლიზინგის მიმღებებს აფასებს ინდივიდუალურ დონეზე და ზარალის ოდენობას ითვლის სხვაობის სახით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და დავალიანების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. მომავალში ამოსაღები თანხების დასათვლელად კომპანია იყენებს შეფასების სანდო წყაროებს და სცენარის ანალიზის ტექნიკას და ითვალისწინებს ანგარიშგების თარიღისათვის ხელმისაწვდომ ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის ზოგად მაკროეკონომიკურ გარემოსა და თუ მსესხებლის საქმიანობის დარგში განხორციელებულ უარყოფით ცვლილებებს.

თუ კომპანიის შეფასებით, არ არსებობს ობიექტური დასტური იმისა, რომ ინდივიდუალურ დონეზე შეფასებულმა ფინანსურმა აქტივმა განიცადა ზარალი, იმისდამიუხედავად, მნიშვნელოვანი იყო ის თუ უმნიშვნელო, ასეთი აქტივის გაუფასურებას კომპანია კოლექტიურ დონეზე ახდენს.

კოლექტიურად შეფასებული სესხების ჯგუფის გაუფასურების ზარალის რეზერვის დასათვლელად, კომპანია აფასებს შემდეგ რისკ პარამეტრებს: დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული ზარალი ისტორიულ მონაცემენზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუ იცვლება შიდა და გარე გარემო და ისტორიული მონაცემები აღარ ასახავს არსებულ მდგომარეობას, კომპანია აკორექტირებს რისკ პარამეტრებს მიმდინარე დაკვირვებად მონაცემებზე დაყრდნობით იმ მიმდინარე პირობების ეფექტების გასათვალისწინებლად, რომლებსაც წარსულ პერიოდებზე გავლენა არ მოუხდენია, და პირიქით, იმ წარსული გარემოებების ეფექტების უგულვებელსაყოფად, რომლებიც უკვე აღარ არსებობს.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კომპანია მოახდენს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარებას, თუ, იდენტიფიცირებისას გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს გამოწვეულია ობიექტური შემთხვევის დადგომით. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით მოგების ან ზარალის მუხლში. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგის მიმღებების რეზერვების უკუგატარებისათვის უნდა არსებობდეს ობიექტური დასტური იმისა, რომ გამოსწორდა ლიზინგის მიმღებების ფინანსური მდგომარეობა ან გაუმჯობესდა უზრუნველყოფის პაკეტი.

სხვა მისაღები თანხები. თავდაპირველად სხვა მისაღები თანხების აღიარება სამართლიანი ღირებულებით ხდება, შემდგომ კი - ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, და აკლდება გაუფასურების ზარალის რეზერვი. მისაღები თანხების გაუფასურების ზარალის რეზერვი დგინდება მაშინ, როცა არსებობს ობიექტური დასტური იმისა, რომ კომპანიას არ შეეძლება ყველა მისაღები თანხის ამოღება ასეთი თანხებისთვის განსაზღვრული თავდაპირველი პირობებით. სავაჭრო დებიტორების გაუფასურების ნიშნებად სახელდება დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, დებიტორის გაკოტრების თუ ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, და დაუფარავი თუ ვადაგადაცილებული ვალდებულებები.

რეზერვის ოდენობა განისაზღვრება, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობა, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში. როცა სხვა მისაღები თანხები ამოუღებადია, მათი ჩამოწერა სხვა მისაღები თანხებისთვის არსებული სარეზერვო ანგარიშის გაქვითვის გზით ხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებასა და ზარალში აისახება.

ლიზინგის მიზნებისათვის შესყიდული აქტივები. ლიზინგის მიზნებისათვის შესყიდული აქტივები წარმოადგენს ისეთ მანქანა-დანადგარებს, რომელთა გადაცემაც შემდგომ ეტაპზე ლიზინგის მიზნებისათვის, ხოლო ასახვა - ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვაობის სახით უნდა მოხდეს.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. საწყის ეტაპზე, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან მიღებული აქტივების აღიარება სამართლიანი ღირებულებით ხდება, ხოლო შემდგომ ხელახლა ფასდება ღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შედარებით მიღებული ნაკლები თანხის ტოლი ოდენობით.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში კომპანია ფინანსურ აქტივს თუ ვალდებულებას აღიარებს მაშინ, როცა იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მხარე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტანდარტული ყიდვა-გაყიდვის აღიარება ანგარიშსწორების თარიღით ხდება. ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტული ყიდვის ტრანზაქცია, რომელიც შემდგომ ეტაპზე სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ვაჭრობის თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის იმავე წესით აისახება, როგორც შეძენილი ინსტრუმენტების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება საწყის ეტაპზე სამართლიანი ღირებულებით ხდება, რასაც მოგებასა თუ ზარალში გატარებული ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში (რომელთა ასახვა სამართლიანი ღირებულებით არ ხდება) ასევე ემატება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ფინანსური აქტივის თუ ფინანსური ვალდებულების შეძენას თუ გამოშვებას უკავშირდება. ამ მუხლების შემდგომი ხელახალი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

განმარტებულია წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური აქტივების აღიარების უარყოფა. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების უარყოფას, თუ (ა) ხდება აქტივების გამოსყიდვა ან აქტივებიდან მიღებულ უფლებებს ფულად ნაკადებთან მიმართებაში სხვაგვარად გაუვიდა ვადა ან (ბ)კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან მიღებული უფლებები ფულად ნაკადებთან მიმართებაში ან უფლებების გადაცემის გარიგება დადო და ამავე დროს (i) არსებითად გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი თუ სარგებელი ან (ii) არსებითად არც გადასცა და არც შეინარჩუნა მათ ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი თუ სარგებელი და არ შეინარჩუნა კონტროლი. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როცა კონტრაჰენტს არ გააჩნია აქტივის, როგორც ერთიანი მთლიანის, არადაკავშირებულ მესამე მხარეზე გაყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და ასახვა ხდება მაშინ, როცა კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და ასევე აქვს განზრახულობა, რომ ან მოახდინოს ანგარიშსწორება ნეტო ღირებულებით ან გაყიდოს აქტივი და პარალელურად დაფაროს ვალდებულება.

ქონება და მანქანა-დანადგარები. ქონებისა და მანქანა-დანადგარების ასახვა ხდება შემდეგნაირად: ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის მენეჯმენტი აფასებს, ჩანს თუ არა ქონების და მანქანა-დანადგარების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს ამოღებადი თანხის ოდენობას, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: ერთმანეთს ედრება აქტივის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოყენებითი ღირებულება და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის უწყისში. წინა წლებში აქტივის აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება მაშინ, როცა იცვლება აქტივის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებული შეფასება ან აქტივის სამართლინ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების სიდიდე.

გაყიდვიდან მიღებული თანხებისა და საბალანსო ღირებულების შედარებით განსაზღვრული ნამეტისა თუ ზარალის (დანაკარგის) აღიარება მოგებასა თუ ზარალში ხდება.

ცვეთა. არ ხდება მიწის ნაკვეთის ცვეთა. ქონებისა თუ მანქანა-დანადგარების სხვა პუნტების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად იანგარიშება მათი ღირებულების განაწილებისათვის ნარჩენ ღირებულებასთან მიმართებაში სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5
მანქანები და საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში გაცემული მანქანები	5
ავეჯი და აპარატურა	5
ლიზინგის ფარგლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები	6.5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: აქტივის განკარგვის შედეგად კომპანიის მიერ მიმდინარე პერიოდში მიღებულ თანხას გამოკლებული განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და ამჟამად მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაშია. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ კომპანია აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური არსებობის ბოლომდე აპირებს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები განხილვას და კორექტირებას ექვემდებარება, ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების კაპიტალიზაცია მათ შესაძენად და გამოსაყენებლად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაციის შედეგად ხდება.

ერთეულის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცრებად და უნიკალურ პროგრამებთან უშუალოდ ასოცირებული განვითარების ხარჯები აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ სტაბილურად მზარდი ეკონომიკური სარგებლის შემოსული ნაკადები ხარჯებს აღემატება. კაპიტალიზებულ ხარჯებში შედის პროგრამის შემქმნელი გუნდის თანამშრომელთა ხარჯები და შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო წილი. კომპიუტერულ პროგრამასთან ასოცირებული ყველა სხვა ხარჯის, მაგალითად, მოვლა-შენახვის, გატარება მისი გაწევისას ხდება.

არამატერიალური აქტივების ღირებულების შემცირება წრფივი მეთოდის გამოყენებით ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები:
ლიზინგის ERP პროგრამა	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება შემდეგნაირად: ერთმანეთს ედრება გამოყენებითი ღირებულება და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. ასეთ ქონებაში კომპანია ფიზიკურად არ არის განთავსებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება მისი ღირებულებით (ამაში შედის ტრანზაქციის ხარჯებიც) და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი აფასება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია მისი გაცვლა ინფორმირებულ, მსურველ მხარეებს შორის გაშლილი მკლავის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციის ფარგლებში.

აქტიურ ბაზარზე ფასების არარსებობის პირობებში, კომპანია იყენებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის:

(ა) სხვადასხვა ტიპის, მდგომარეობის თუ ლოკაციის მქონე ქონებისთვის დაწესებული ფასები აქტიურ ბაზარზე, რომლებიც სწორედ ამ განსხვავებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული;
(ბ) მსგავსი ქონებისთვის ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე დაწესებული ბოლოდროინდელი ფასები, რომლებიც ტრანზაქციის თარიღიდან მოყოლებული ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული; და
(გ) სანდო წყაროების მეშვეობით შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც დასტურდება ნებისმიერი ლიზინგის თუ სხვა არსებული კონტრაქტების პირობებით და (შესაძლებლობის ფარგლებში) გარე წყაროებით, როგორებიცაა მაგალითად იმავე ლოკაციაზე და პირობებში, მსგავსი ქონებისთვის განსაზღვრული მიმდინარე საბაზრო იჯარის ოდენობა, და რომლის ფარგლებშიც ფულადი ნაკადების ოდენობისა და დროის გამოსაანგარიშებლად გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასების ამსახველი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით განისაზღვრება. ხსენებულ შემფასებლებს გააჩნიათ აღიარებული და რელევანტური პროფესიული კვალიფიკაცია და წარსული გამოცდილება მსგავს ლოკაციაზე განთავსებულ და მსგავს კატეგორიას მიკუთვნებულ ქონების შეფასებასთან მიმართებაში.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებების შედეგად მიღებული ნამეტისა თუ დანაკარგის ასახვა მოგებასა თუ ზარალის წლიურ მაჩვენებელში ხდება და ცალ-ცალკე გატარდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის სახით და ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი ახასიათებს. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ფულად სახსრებსა და და მის ეკვივალენტებში შედის ბანკში თავდაპირველად სამ თვეზე ნაკლები ვადით განთავსებული თანხები.

კლიენტებისგან მიღებული ავანსები. ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დაწყებამდე მიღებულ შენატანებს, რომელთა გატარებაც ამორტიზებული ღირებულებით ხდება. ეს ავანსები ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით იქვითება კლიენტის მიერ გადასახდელი პირველი სალიზინგო შენატანის თარიღზე.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორები აისახება მაშინ, როცა კონტრაჰენტი შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა კრედიტორების ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება.

სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციებია. მათი ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება. თუ კომპანია შეისყიდის მის მიერვე გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათი ამოღება ხდება ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებისა და ანაზღაურების სხვაობა აისახება ვალის განულების შედეგად მიღებულ ნამეტ შემოსავალში.

რეზერვები. რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანიას წარსული შემთხვევებიდან გამომდინარე წარმოეშვება იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლების მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ხსენებული ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი.

სააქციო კაპიტალი. სააქციო კაპიტალის აღიარება მისი ღირებულებით ხდება. ნაღდი ფულის ნაცვლად კაპიტალში აქტივების სახით განხორციელებული შენატანი მისი განხორციელების თარიღისათვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით აისახება.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, თუ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ რესურსების გადინება იქნება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი. პირობითი აქტივის აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, არამედ აისახება მაშინ, როცა წარმოიშვება ეკონომიკური სარგებლების გადინების ალბათობა.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები. დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაჰენტ ბანკებთან ახორციელებს ანაბრების ჩათვლას. ამგვარი ანაბრები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, აგრეგირებულია და ერთ დერივაციულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაჰენტი ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნეს მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად - თუ უარყოფითი. ცვლილებები დერივაციული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგების გადასახადები ასახულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების დასაბეგრი /(გამოსაქვითი) გადასახადი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას და გადავადებულ გადასახადს, რომელიც აღიარებულია წლის მოგებასა თუ ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, ამ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რომლის გადახდა საგადასახადო ორგანოების წინაშე თუ მათგან გამოქვითვა მოსალოდნელი იყო მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრი მოგებისა თუ ზარალისათვის. დასაბეგრი მოგება თუ ზარალი იანგარიშება იმ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, რომლებიც შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე გამოსაქვეყნებლად იქნა ნებადართული.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდზე გადატანასთან და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებებში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებთან დაკავშირებით. თავდაპირველი აღიარების გამონაკლისების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში, რომელიც არ უკავშირდება ბიზნესების შერწყმას, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველი აღიარებისას გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები გამოითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიღებული ან არსებითად მიღებული იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ პერიოდთან მიმართებაში, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადატანა მოხდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვად დროებით სხვაობებთან და გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დროებითი სხვაობა რევერსირდება და მომავალში დასაბეგრი მოგება საკმარისი იქნება გაქვითვების განსახორციელებლად.

მოგების გადავადებული გადასახადის აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდა მაშინ, როცა მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის სამართლებრივი უფლება არსებობდა და როცა ერთი და იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ან ერთი და იმავე გადამხდელი ერთეულისთვის ან სხვადასხვა გადამხდელი ერთეულებისათვის დაკისრებულ მოგების გადასახადთან მიმართებაში გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა ნეტო ღირებულებით ხდებოდა.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, თუ არ მოხდა ამ უკანასკნელის განაწილება ან დივიდენდის სახით განაწილების დაგეგმვა.

15 % საშემოსავლო გადასახადი ერიცხება სრულ თანხას (ე.ი. წმინდა დივიდენდს ემატება 5%-იანი წყაროსთან დაკავების გადასახადი, ასეთი არსებობის შემთხვევაში და გაიყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები საგადასახადო დაბეგვრას არ ექვემდებარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით სრულ თანხაზე, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი, რომელიც თავის მხრივ შემდეგნაირად გამოითვლება: დეკლარირებული და დასაბეგრი მოგებისთვის გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, და შემდეგ გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებისთვის დაკისრებულ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების მოგების გადასახადი ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როცა მოხდება დივიდენდების დეკლარირება, იმისდამიუხედავად, თუ რეალურად როდის ან რომელი პერიოდისთვის განხორციელდება გადახდა. ამის შედეგად, კომპანიამ მოახდინა 2016 წლის 31 დეკემბრისათვის აღიარებული ყველა გადავადებული საგადასახდო აქტივისა და ვალდებულების უარყოფა, რაც შესაბამისად აისახა 2016 წლის მოგებასა და ზარალში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ მოხდა მოგების გადასახადის იმ პირობითი ვალდებულების აღიარება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემთხვევაში უნდა წარმოშობილიყო.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი მაინც ერიცხება ხარჯებს თუ სხვა სახის გადახდილ თანხებს, რომლებიც არაეკონომიკურ აქტივობებს უკავშირდება, იქნება ეს აქტივების თუ მომსახურებების უფასო მიწოდება თუ წარმომადგენლობითი ხარჯების გადაცემა, და თუ ეს აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ყველა სახის ავანსი და ამ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტიპის ოპერაციები, ისევე როგორც ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ეს გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც საგადასახადო კრედიტების გამოკლების შედეგად არის დაკორექტირებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან თუ მომსახურებებთან მიმართებაში, აისახება გადასახადებში გარდა მოგების გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება მენეჯმენტის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების ასახვა ხდება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რასაც მენეჯმენტი უფრო მოელოდება, ვიდრე იმას, რომ არ მოხდეს დამატებითი გადასახადების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ პოზიციების ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში. შეფასება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომელიც მიღებული ან არსებითად მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ან ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო თუ სხვა სახის გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის თუ გადასახადებისთვის, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება მენეჯმენტის მიერ სანდო წყაროების გამოყენებით პროგნოზების გაკეთების შედეგად იმ ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესრულებას ხმარდება.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების კორექტირებები მოგების დასაბეგრ გადასახადში აისახება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ("დღგ"). დასაბეგრი დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება ან (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღებისას ან (ბ) მომხმარებლებისათვის საქონლის თუ მომსახურებების მიწოდებისას, შედარებით ადრე დამდგარი მოვლენის დროს. ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოყენება კი, როგორც წესი, დასაბეგრი დღგ-ს გადასაფარავად ხდება ამ უკანასკნელის შემცირების მიზნით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდას ნეტო ღირებულებით ითხოვენ. ქონების, ქარხანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება. Iშემოსავლებისა და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით ხდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ხდება ნასესხები თანხებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიოების (თუ ასეთი თანხების ოდენობა დიდია) გადავადება (სხვა დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. საკომისიო შემოსავლების/ხარჯების აღიარებისას დარიცხვის მეთოდი გამოიყენება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი"). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სპოტკურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები იმ პრევალირებადი სავალუტო კურსის მიხედვით აისახება, რომელიც ოპერაციის თარიღზე ფიქსირდება. კურსების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი კი შევა უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ წმინდა ნამეტ შემოსავალში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის, შემდეგნაირად დაფიქსირდა 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი (2016: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი); 1 ევრო= 3.1044 ლარი (2016: 1 ევრო = 2.7940 ლარი).

პერსონალის ხარჯები და პერსონალთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აისახება იმ წელიწადში, როდესაც შესაბამისი მომსახურებების გაწევა მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები პრეზენტაციაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ციფრების კორექტირება მიმდინარე წლის მონაცემებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები

კომპანიის მენეჯმენტი აკეთებს გათვლებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაზე. მუდმივად ხდება გათვლებისა და დასკვნების შეფასება მენეჯმენტის გამოცდილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ შორის მომავალში მოსალოდნელი ისეთი ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელად მიიჩნევა. სააღრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას, გარდა გათვლებისა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს. იმ დასკვნებში, რომლებსაც ყველაზე ხელშესახები ეფექტის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ოდენობებზე შეუძლიათ, ხოლო გათვლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში მოიაზრება შემდეგი:

4 სააღრიცხვო პოლიტიკების გატარების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები (გაგრძელება)

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ზარალი: კომპანია რეგულარულად ახდენს წმინდა ინვესტიციების გადახედვას ფინანსურ ლიზინგში გაუფასურების შესაფასებლად. იმის განსაზღვრისას, გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს თუ არა, კომპანია აკეთებს დასკვნებს, არსებობს თუ არა ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობია ის კლება, რაც საპროგნოზო ფულადმა ნაკადებმა შეიძლება განიცადოს პორტფელის თითოეული იჯარის შემთხვევაში. ასეთ მტკიცებულებად გამოდგება ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ გაუარესდა ლიზინგის მიმღების გადახდისუნარიანობა, ქვეყანაში თუ ადგილობრივ ეკონომიკაში შექმნილი ვითარება, რაც ინდივიდუალური ლიზინგის მიმღებების დონეზე დეფოლტის სტატუსს განაპირობებს. საპროგნოზო ფულადი ნაკადების შეფასებისას, მენეჯმენტი აკეთებს გათვლებს ზარალის ისტორიული მაჩვენებლის გათვალისწინებით საკრედიტო რისკის მატარებელ აქტივთან მიმართებაში, და ასევე ზარალის თვალსაზრისით იმ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, რაშიც ინდივიდუალური მოიჯარე აღმოჩნდება. რეგულარულად ხდება იმ მეთოდოლოგიისა და დაშვებების შეფასება, რომლებიც საპროგნოზო ფულადი ნაკადების როგორც ოდენობის, ასევე ვადების შეფასებისას გამოიყენება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს განსხვავება ზარალის საპროგნოზო და რეალურ მონაცემებს შორის. ზარალის რეალურ მაჩვენებელსა და საპროგნოზო მაჩვენებელს შორის 5%-იანი სხვაობა (ეს იქნება ზრდა თუ კლება) შესაბამისად განაპირობებს გაუფასურების ანარიცხების ზრდას ან შემცირებას - 72,935 ლარი (2016: 64,607 ლარი). გაუფასურების რეზერვების დათვლა დისკონტირებული საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე ხდება, რაც თავის მხრივ გადახდების და გირაოს სახით არსებული აქტივების გაყიდვების საფუძველზე დგინდება.

სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი. კომპანია რეგულარულად ახდენს თავისი სხვა ფინანსური აქტივების გადახედვას გაუფასურების შეფასების მიზნით. იმის განსაზღვრისას, გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს თუ არა, კომპანია აკეთებს დასკვნებს, არსებობს თუ არა ხელშესახები მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობია ის კლება, რაც საპროგნოზო ფულადმა ნაკადებმა შესაძლოა განიცადოს პორტფელის თითოეული ლიზინგის შემთხვევაში, რაც მოიცავს შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღებ დებიტორებს, სხვა დებიტორებს და ლიზინგის მიმღებებზე გაცემულ სესხებს. მენეჯმენტი გათვლებს აკეთებს დებიტორების წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმეების შედეგებიდან, მათი ფინანსური მდგომარეობიდან და სხვა დამხმარე დოკუმენტაციიდან და წყაროებიდან გამომდინარე.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

არსებული ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების სიხშირე დაბალია საქართველოს საფონდო ბაზარზე. ამის მიუხედავად, მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, საკმარისია ბაზარზე განხორციელებული აქტივობები მსგავს ქონებებთან დაკავშირებით მარტივი ოპერაციების შესადარისი ფასების გასარკვევად, რაც თავის მხრივ საჭიროა კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრავად. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 14.

ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ამ აქტივების სამართლიან ღირებულებას კომპანია ადგენს ლიზინგის შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღზე გარე შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს საანგარიშგებო თარიღისათვის, რაც შემდეგნაირად გამოითვლება: შეფასებულ გასაყიდ ფასს აკლდება გაყიდვასთან დაკავშირებით შეფასებული ყველა სახის ხარჯი. სამართლიანი ღირებულება და გასაყიდი ფასი შიდა და გარე შემფასებლების მიერ საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით განისაზღვრება. საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების კლასიფიკაცია ხდება ფიქსირებულ აქტივებად და მათი საწყისი ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების შესაბამისად, ხოლო ამორტიზებული ღირებულება კი იანგარიშება კომპანიის მიერ იჯარით გასაცემი აქტივის ყიდვის თარიღიდან.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიის მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკები წინა ფინანსური წლის პოლიტიკებს შეესაბამება. რაიმე ახალ ან შეცვლილ სტანდარტს ან ინტერპრეტაციას, რაც სააღრიცხვო პოლიტიკას შეცვლიდა, ადგილი არ ჰქონია.

6 ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები

მცირედი ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს-ები)

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა რამდენიმე მცირედი ცვლილება, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული ევროკავშირის ფარგლებში გამოსაყენებლად. კომპანიას ჯერ არ მიუღია 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ძალაში შესული ცვლილებები და ვარაუდობს, რომ მიღების შემდეგ ეს ცვლილებები არსებითად არ შეცვლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს.

ძირითადი ახალი ფასს-ები

2017 წლის პირველი იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისათვის გამოიცა სავალდებულოდ შესასრულებელი რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც ჯგუფს ჯერ არა აქვს დამტკიცებული.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება *(შესწორდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია დაწყებული წლიური პერიოდებისათვის ან 2018 წლის 1 იანვრიდან).* ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიას მოიცავს: (ა) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ ამორტიზაციის ხარჯით; (ბ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVOCI) და (გ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით (FVPL).
- ვალის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის მოდელზე, რომლითაც იგი განკარგავს ფინანსურ აქტივებს და ასევე იმაზე, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ხმარდება თუ არა (SPPI-მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის მიზნებისათვის). თუ ვალის ინსტრუმენტი დაგროვებით ხასიათს ატარებს, ის ცვეთადი ღირებულებით შეიძლება აისახოს, თუ იგი ამავე დროს აკმაყოფილებს ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნას. ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნების (SPPI) შესაბამისი ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც ზის იმ პორტფელში, სადაც კომპანია ახორციელებს აქტივების ფულადი ნაკადების შეკრებას და აქტივების გაყიდვას შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVOCI). ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ხმარდება, უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშის საშუალებით- FVPL (მაგ. დერივატივები). ჩაშენებული დერივატივები აღარ გამოეყოფა ფინანსურ აქტივებს, თუმცა გათვალისწინებული იქნება ძირისა და პროცენტის გადახდის პირობის შეფასებისას.
- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია საბოლოოდ აირჩიოს, რომ სამართლიანი ღირებულების ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში, თუ ინსტრუმენტი ვაჭრობის მიზნებისათვის არ

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

გამოიყენება. თუ კაპიტალის ინსტრუმენტი ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი, სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შევა მოგებასა თუ ზარალში.

- ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში თითქმის უცვლელად გადავიდა ფასს 9-ში. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ კომპანიას მოეთხოვება ცვლილებების ეფექტების წარმოდგენა ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის შეფასებისას, რომელიც სამართლიანი ღირებულებით აისახება მოგებასა თუ ზარალში სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- ფასს 9 წარმოადგენს გაუფასურების ზარალის აღიარების ახალ მოდელს - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ECL) მოდელი. ეს არის სამეტაპიანი მიდგომა, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება. პრაქტიკულად ახალი წესების მიხედვით კომპანიებმა დაუყოვნებლივ უნდა აღრიცხონ ზარალი, რომელიც უდრის 12-თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლის საკრედიტო ხარისხი (ან „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები“ სავაჭრო დებიტორებთან მიმართებაში) გაუფასურებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების და არა 12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. ეს მოდელი ასევე გულისხმობს ლიზინგისა და სავაჭრო დებიტორების მიმართულებით საოპერაციო საკითხების გამარტივებას.
- ცვლილებები შევიდა ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებში საბუღალტრო აღრიცხვისა და რისკების მართვის უფრო მაღალი ხარისხის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს სტანდარტი კომპანიებს აძლევს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალებას. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები ფასს 9 -ს მიხედვით ან განაგრძონ ბასს 39-ის გამოყენება ყველა ტიპის ჰეჯისათვის, რადგან ახალი სტანდარტი ჯერჯერობით არ განიხილავს მაკრო ჰეჯირების საბუღალტრო აღრიცხვას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზისა და ამ დროისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, თიბისი ლიზინგის მენეჯმენტმა 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღებიდან ფინანსურ ანგარიშგებებზე 778,348 ლარის ოდენობის ეფექტი შეაფასა. კომპანია გეგმავს შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებას, შედეგად კი მოსალოდნელია აქციონერთა კაპიტალის შემცირება.

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ერთი მხრივ, ბასს 39-ის ფარგლებში შეფასების არსებული კატეგორიების მიხედვით და მეორეს მხრივ, 2018 წლის 1 იანვარს დანერგილი ფასს 9-ის შესაბამისად შეფასების ახალი კატეგორიების გათვალისწინებით:

ათასობით ლარში	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (საბოლოო ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით)	შედეგი				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (საწყისი ნაშთი 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით)
	ბასს 39	ფასს 9		ხელახალი შეფასება		რეკლასიფიკაცია		
				ECL*	სხვა	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	FLR	AC	143,776,957	778,348	-	-	-	**142,998,609**
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში			**143,776,957**	**778,348**	**-**	**-**	**-**	**142,998,609**

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გაუფასურების მეთოდოლოგიის მიხედვით, კომპანია თავისი პორტფელის კლასიფიცირებას ახდენს სამ ეტაპად:

- ეტაპი I – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი II – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი III – საკრედიტო გაუფასურების მქონე დავალიანებები.

ეტაპზე I განთავსებული დავალიანებებისთვის კომპანია აღრიცხავს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, ხოლო ეტაპებზე II და III მოცემული დავალიანებებისთვის - არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს.

ფასს 9-ის ძირითადი ეფექტი უკავშირდება ეტაპი II-ისათვის განსაზღვრულ კლასიფიცირებას და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას რეზერვების კალკულაციაში. ეტაპისთვის I რაიმე სახის დამატება არ მომხდარა, რადგან ბასს 39-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანია ისედაც იყენებდა 12 თვის დანაკარგების იდენტიფიცირების პერიოდს (LIP).

ეტაპი II-ზე კლასიფიცირების მიზნებისათვის, კომპანია იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30 დღიანი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- დეფოლტის ალბათობის პარამეტრის გაუარესება წინასწარგანსაზღვრულ ზღვართან მიმართებაში.

ფასს 9-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანიამ ასევე შეცვალა დეფოლტის განმარტების კრიტერიუმი ამ უკანასკნელის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის შიდა სახელმძღვანელო პრინციპებთან. დეფოლტის განახლებული განმარტება შემდეგ კრიტერიუმებს მოიცავს: (i) 90 დღიანი ვადაგადაცილება (ii) პრობლემური რესტრუქტურიზაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებენ მსესხებლის უუნარობის ალბათობაზე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში.

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

რეზერვების დონეზე ფასს 9-ის ეფექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი საპროგნოზო ინფორმაციის დამატებაა (FLI). კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების შეფასების პროცესში. საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სამ სცენარს განიხილავს:

- საბაზისო (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე)
- ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი)
- პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი)

კომპანია ამზადებს საბაზისო მაკრო სცენარს და ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროებიდან (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები) მიღებულ პროგნოზებს ზოგადად აღიარებულ საბაზრო მოლოდინებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები მომზადებულია ბანკის მაკროეკონომიკური სამსახურის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
კომპანია ითვლის გაუფასურების ზარალის ოდენობას თითოეული სცენარის შემთხვევაში. საკრედიტო ზარალის საბოლოოდ მოსალოდნელი ციფრების მისაღებად ბანკი იყენებს ალბათობის საშუალო შეწონილი სიდიდის მიდგომას, რომლის მიხედვითაც თითოეული სცენარის ალბათობები შეწონილი სიდიდის სახით გამოიყენება.

ახალი სტანდარტით ასევე იზრდება ანგარიშგების მოთხოვნები განმარტებით ნაწილთან დაკავშირებით და ცვლილებები შედის პრეზენტაციაში. ამის შედეგად, მოსალოდნელია კომპანიის მიერ განმარტებების მომზადების ტიპისა და მასშტაბის შეცვლა ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში განსაკუთრებით ახალი სტანდარტის დანერგვის წელიწადს.

ფასს 15, შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
ახალ სტანდარტი ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს ოპერაციის ფასის სანაცვლოდ. ნებისმიერი საქონლის ან მომსახურებების განსხვავებული პაკეტი ცალკე უნდა იქნას აღიარებული და ნებისმიერი ფასდაკლება თუ ფასდათმობა ხელშეკრულების ფასთან მიმართებაში ცალკე უნდა იქნას განსაზღვრული. როცა რაიმე მიზეზით განსხვავებული მიდგომები ისახება, უნდა მოხდეს მინიმალური თანხების აღიარება, თუ არ არსებობს რევერსირების რაიმე მნიშვნელოვანი რისკი. უნდა მოხდეს იმ ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც წარმოშობილია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, და ასევე, ამ ხარჯების ცვეთა იმ პერიოდზე, როცა მოხდება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლების მოხმარება. ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად არსებითი ეფექტის მოხდენა კომპანიაზე მოსალოდნელი არ არის.

ფასს 16, იჯარა (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის პირველ იანვარს დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე). ახალი სტანდარტი შეეხება იჯარის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა ტიპის იჯარა მოიჯარეს (ლიზინგის მიმღებს) აძლევს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის ვადის დაწყებიდან და თუ სალიზინგო შენატანების გადახდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16-ის თანახმად, იჯარის კლასიფიკაცია აღარ ხდება საოპერაციო და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს ბასს 17-ით არის მოთხოვნილი. სანაცვლოდ, ახალ სტანდარტს შემოაქვს ერთი მოიჯარის ბუღალტრული აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება, რომ აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იმ იჯარასთან მიმართებაში, რომლის ვადა 12 თვეს სცდება, თუ შესაბამისი აქტივი არ არის დაბალი ღირებულების; და (ბ) იჯარის აქტივების ცვეთა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისგან დამოუკიდებლად. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-თან შედარებით. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს თავისი იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად და მათ აღრიცხვას

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

ორი სხვადასხვა გზით. ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის დანერგვის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს) - ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევდა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის ფარგლებში ეწარმოებინა. აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის რთული აღმოჩნდა სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ერთადერთი პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტია სადაზღვევო კომპანიის მიერ მართული ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტის, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტის აღსარიცხავად. სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობის აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო (შესრულებული) ფულადი ნაკადების რისკით შეწონილი მიმდინარე ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ინფორმაცია შესრულებულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება ზოგადად ხელმისაწვდომ ინფორმაციას საბაზრო პირობებთან მიმართებაში: პლიუს ნიშნით (თუ ღირებულება ვალდებულებას აღნიშნავს) ან მინუს ნიშნით (თუ ღირებულება აქტივს აღნიშნავს); (ii) კონტრაქტების ერთობლიობაში გამოუმუშავებელი მოგების სახით წარმოდგენილი ოდენობით (საკონტრაქტო მომსახურების მარჟა). სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობიდან მისაღებ მოგებას სადაზღვევო კომპანიები აღიარებენ იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, და მას შემდეგ, რაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ერთობლიობა არის ან მომავალში გახდება ზარალიანი, კომპანია დაუყოვნებლივ მოახდენს ზარალის აღიარებას. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასს 22 უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები და ავანსის ანაზღაურება (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).

წინამდებარე ინტერპრეტაცია შეეხება ტრანზაქციის თარიღის განსაზღვრას უცხოურ ვალუტაში წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ბასს 21 სტანდარტის გამოყენებისას. აქ კონკრეტულად საუბარია პირის მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის ავანსის გადახდაზე ან მიღებაზე. ინტერპრეტაციაში დაკონკრეტებულია, რომ ტრანზაქციის თარიღი ის თარიღია, როდესაც პირი თავდაპირველად აღიარებს არამონეტარულ აქტივებს ან არა-მონეტარულ ვალდებულებებს ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. თუ ავანსის სახით რამდენჯერმე ხდება თანხის გადახდა თუ მიღება, ინტერპრეტაციის მიხედვით პირმა უნდა განსაზღვროს ავანსის გადახდის თუ მიღების ტრანზაქციის თარიღი. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასს 23 მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული გაურკვევლობები (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 12 აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების აღრიცხვა, მაგრამ არა იმას, თუ როგორც უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. წინამდებარე ინტერპრეტაცია კი განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნების გამოყენება მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით გაურკვევლობების წარმოშობის შემთხვევაში. პირმა უნდა განსაზღვროს, ცალკე განიხილოს გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული თითოეული გაურკვევლობა, თუ რომელიმე ან რამდენიმე მათგანთან ერთად, იქიდან გამომდინარე, თუ რომელი მიდგომა უკეთესად უზრუნველყოფს გაურკვევლობის პროგნოზირებას. პირმა უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო გადაამოწმებს იმ თანხებს, რომელთა გადამოწმების უფლებაც აქვს და რომ გადამოწმებისას მას სრულად ექნება ყველა საჭირო ინფორმაცია. თუ პირი დაასკვნის, რომ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ საგადასახადო ორგანოსთვის მისაღები იქნება გაურკვევლობა გადასახადის დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებაში, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დასაბეგრი მოგების ან ზარალის, დასაბეგრი ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თუ გადასახადების განაკვეთების განსაზღვრაზე, მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელი

6 ახალი სააღრიცხვო განაცხადები (გაგრძელება)

თანხისა თუ ღირებულების გამოყენებით, იქიდან გამომდინარე, თუ რომელი მეთოდით მოელოდება პირი გაურკვევლობის პროგნოზირების უკეთესად უზრუნველყოფას. სააღრიცხვო გათვლების ცვლილების სახით, პირი ასახავს ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის იმ შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილი დასკვნებისა თუ პროგნოზების გაკეთებაზე. ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის მაგალითებში, რომლებმაც შესაძლოა განაპირობოს დასკვნებისა თუ პროგნოზების ხელახალი შეფასება, შედის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საგადასახადო ორგანოს შემოწმება ან მიღებული ზომა, საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული წესების ცვლილება, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვა დაბეგვრის რეჟიმის შემოწმების თუ გადამოწმების თვალსაზრისით. დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს დასტურის ან უარყოფის არარსებობა, ცალკე აღებული, ნაკლებ მოსალოდნელია წარმოადგენდეს ფაქტებსა თუ გარემოებებში მომხდარ ისეთ ცვლილებებს თუ ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილი დასკვნებისა თუ პროგნოზების გაკეთებაზე. კომპანია არ მოელოდება რაიმე სახის გალენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ნაკლებ მოსალოდნელია ქვემოთ ჩამოთვლილმა სხვა ახალმა განაცხადებმა, მიღების შემდეგ, არსებითი გავლენა იქონიონ კომპანიაზე:

- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში - ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრული თარიღიდან (IASB).
- ფასს 15-ის შესწორებები, შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 2-ის შესწორებები, აქციებზე დაფუძნებული გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 4-ის შესწორებები, სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა – ბასს 40-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2014-2016 წლების ციკლი - ფასს 1-ის და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- წინასწარ გადახდილი თანხები უარყოფითი კომპენსაციით - ფასს 9-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში - ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2015-2017 წლების ციკლი - ფასს 3-ის, ფასს 11-ის, ბასს 12-ისა და ბასს 23-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).

თუ ეს სხვაგვარად არ არის ზემოთ განმარტებული, ნაკლებ მოსალოდნელია ახალმა სტანდარტებმა და ინტერპრეტაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	7,865,169	5,277,270
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**7,865,169**	**5,277,270**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს თიბისი ბანკში კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულია 6,919,880 (2016: 4,161,582 ლარი) ლარის ოდენობის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მათ გაუფასურების ნიშნები არ ახასიათებთ.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
"BB-" "BB+" რეიტინგების მქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	7,369,930	4,613,887
"B-" to "B+" რეიტინგების მქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	185,182	459,452
რეიტინგის არმქონე მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	310,057	203,931
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**7,865,169**	**5,277,270**

ბანკში განთავსებული გარკვეული ნაშთები დაგირავდა ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად, ამ თანხების გამოყენება მხოლოდ ფინანსური იჯარის გაცემის შემთხვევაში არის შესაძლებელი და გადმოცემულია შენიშვნაში 17.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით მოცემულია შენიშვნაში 31.

8 ბანკებიდან მისაღები თანხები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ბანკებში სამ თვეზე მეტი ვადით განთავსებული თანხები	4,431,850	-
დაკლებული: გაუფასურების რეზერვი	-	-
ბანკებიდან მისაღები მთლიანი თანხები	**4,431,850**	**-**

ბანკებიდან მისაღებ თანხებში შედის თავდაპირველი სამ თვეზე მეტი ვადით ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც დაგირავდა და 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სტატუსი აქვთ.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,432 ათასი ლარი (2016: 0) იყო განთავსებული ანაბრებზე, რომელიც გირაოს სახით უზრუნველყოფდა სასესხო პროდუქტს თიბისი ბანკში (აღწერილია შენიშვნაში 17). ბანკების მიმართ მოთხოვნების საპროცენტო განაკვეთები მოცემულია შენიშვნაში 31.

9 წინასწარ გადახდილი თანხები

	2017 წლის დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	1,966,021	939,290
საოპერაციო ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	968,314	-
სხვა წინასწარ გადახდილი თანხები	78,742	88,719
მთლიანი წინასწარ გადახდილი თანხები	**3,013,077**	**1,028,009**

10 ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები

ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები წლის ბოლოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 23,017,214 ლარს (2016: 9,614,800 ლარი). ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ყველა ავანსი მიმდინარეა, და შესაბამისად კლასიფიცირდება, როგორც წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, როგორც წესი, ანგარიშგების თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

შენიშვნაში 28 მოცემულია ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსების სამართლიანი ღირებულება.

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში

წმინდა (ნეტო) და მთლიანი (ბრუტო) ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	191,706,675	121,819,711
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(46,471,022)	(25,743,641)
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**145,235,653**	**96,076,070**
გაუფასურების რეზერვი	(1,458,696)	(1,292,131)
სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	**143,776,957**	**94,783,939**

მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
1 წლის ვადაში გადასახდელი თანხები	85,818,422	65,169,734
1-დან 5 წლამდე ვადაში გადასახდელი თანხები	105,888,253	56,649,977
სულ მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	**191,706,675**	**121,819,711**

ცვლილებები წმინდა ინვესტიციების გაუფასურების რეზერვში:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გაუფასურების რეზერვი წლის დასაწყისში	**1,292,131**	**799,923**
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	262,677	651,780
წლის განმავლობაში ჩამოწერილი ამოუღებადი თანხები	(96,112)	(159,572)
გაუფასურების რეზერვი წლის ბოლოს	**1,458,696**	**1,292,131**

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული		
ორ წელზე მეტხნიანი გამოცდილების მქონე კლიენტები	38,071,170	28,083,983
ახალი კლიენტები	78,408,358	45,359,279
სულ არსებული და არა გაუფასურებული	**116,479,528**	**73,443,262**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		
- ვადაგადაცილებული 30 დღემდე	16,652,682	15,336,972
-ვადაგადაცილებული 30 დღიდან 90 დღემდე	8,480,073	5,069,021
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	**25,132,755**	**20,405,993**
გაუფასურებული კონტრაქტები – მთლიანი		
- ვადაგადაცილებული 30 დღიდან 90 დღემდე	343,286	-
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან 180 დღემდე	2,223,179	1,079,403
- ვადაგადაცილებული180 დღიდან 360 დღემდე	339,210	965,768
- ვადაგადაცილებული 360 დღიდან	717,695	181,644
სულ გაუფასურებული (*)	**3,623,370**	**2,226,815**
სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში-მთლიანი თანხა	**145,235,653**	**96,076,070**
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(1,458,696)	(1,292,131)
სულ წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**143,776,957**	**94,783,939**

(*) სულ გაუფასურებული იჯარა მოიცავს როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად გაუფასურებულ იჯარებს

კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად ხდება იჯარების კლასიფიკაცია შემდეგნაირად: 'მიმდინარე და არა გაუფასურებული' ან 'წარსული მაგრამ არა გაუფასურებული' იჯარის გაუფასურების კონკრეტული ობიექტური მტკიცებულების იდენტიფიცირებამდე. კომპანიის მიერ იჯარის გაუფასურების ძირითად მიზეზებად მიიჩნევა ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, ვადაგადაცილების სტატუსი და იჯარით გაცემული აქტივის ლიკვიდურობა.

კომპანია, როგორც წესი, იმგვარად ახდენს ფინანსური ლიზინგის კონტრაქტების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღებმა სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე გადაიხადოს მანქანა-დანადგარის შესასყიდი ფასის 20%. კომპანიას ლიზინგის ქვეშ გაცემული აქტივის საკუთრების უფლება სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს სახელშეკრულებო ვადის ბოლოს გადაეცემა სალიზინგო ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში. ჩვეულებრივ, სალიზინგო ვადა ხუთ წლამდე გრძელდება.
მოთხოვნილი უზრუნველყოფის (გირაოს) ღირებულება და ტიპი დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული გირაოს ძირითადი ტიპებია:

- ლიზინგის ქვეშ გაცემული აქტივები (ძირითადი საშუალებები და მანქანა-დანადგარები)
- თანამონაწილეობა
- უძრავი ქონება

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტის წარმოდგენა გირაოს ღირებულებების ცალ-ცალკე გამოტანით ხდება ერთის მხრივ (i) იმ აქტივების შემთხვევაში, რომელთა გირაო თუ სხვა სახის საკრედიტო უზრუნველყოფა ტოლია ან აღემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას ("ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები") და მეორეს მხრივ, (ii) იმ აქტივების შემთხვევაში, რომელთა გირაო თუ სხვა სახის საკრედიტო უზრუნველყოფა ნაკლებია აქტივების საბალანსო ღირებულებაზე („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები").

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

გირაოს ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*	*აქტივების სამართლიანი ღირებულება*	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში - მთლიანი თანხა (ბრუტო)	126,186,357	194,470,806	19,049,296	14,389,566

გირაოს ეფექტი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*	*აქტივების სამართლიანი ღირებულება*	*გირაოს სამართლიანი ღირებულება*
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში - მთლიანი თანხა (ბრუტო)	72,477,598	108,860,654	23,598,472	17,018,200

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიზინგის ხელშეკრულებებიდან ზოგიერთი მისაღები თანხები და გადახდილი ავანსები დაგირავდა ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა17).

31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დეპარტამენტის შიდა შემფასებლების მიერ შეფასებული გირაოს სამართლიანი ღირებულება ვადაგადაცილებულ, მაგრამ არა გაუფასურებულ საიჯარო დებიტორებთან და გაუფასურებულ საიჯარო დებიტორებთან მიმართებაში ასე გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გირაოს სამართლიანი ღირებულება - ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებეული	37,891,185	26,869,154
გირაოს სამართლიანი ღირებულება - გაუფასურებული	5,117,102	1,905,273

12 ქონება და მანქანა-დანადგარები

	მიწა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	მანქანები	საოპერაციო ლიზინგით გაცემული მანქანები	სალიზინგო ღირებულების მატება	სულ
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის	9,934	64,023	37,764	103,256	-	17,027	232,004
მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა	-	(32,684)	(29,850)	(12,791)	-	(17,027)	(92,352)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,934**	**31,339**	**7,914**	**90,465**	**-**	**-**	**139,652**
დამატებები	-	61,510	206,660	42,777	-	159,569	470,516
განკარგვა	-	(119)	(35,731)	(22,569)	-	(17,027)	(75,446)
ცვეთის დანარიცხი	-	(18,025)	(29,742)	(18,894)	-	(25,056)	(91,717)
დაგროვილი ცვეთა ელიმინირებული განკარგვისას	-	77	29,443	2,734	-	17,027	49,281
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**74,782**	**178,544**	**94,513**	**-**	**134,513**	**492,286**
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,934	125,414	208,693	123,464	-	159,569	627,074
დაგროვილი ცვეთა	-	(50,632)	(30,149)	(28,951)	-	(25,056)	(134,788)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**74,782**	**178,544**	**94,513**	**-**	**134,513**	**492,286**
დამატებები	-	108,372	42,353	188,035	2,436,298	90,905	2,865,963
განკარგვა	-	(2,554)	-	(19,330)		-	(21,884)
ცვეთის დანარიცხი	-	(27,219)	(44,474)	(20,908)	(88,356)	(34,062)	(215,019)
დაგროვილი ცვეთა ელიმინირებული განკარგვისას	-	1,510	17	5,171	-	-	6,698
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**154,891**	**176,440**	**247,481**	**2,347,942**	**191,356**	**3,128,044**
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,934	231,232	251,046	292,169	2,436,298	250,474	3,471,153
დაგროვილი ცვეთა	-	(76,341)	(74,606)	(44,688)	(88,356)	(59,118)	(343,109)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,934**	**154,891**	**176,440**	**247,481**	**2,347,942**	**191,356**	**3,128,044**

13 არამატერიალური აქტივები

	ლიზინგის ERP პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	60,729	32,708	93,437
დაგროვილი ცვეთა	-	(6,195)	(6,195)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**60,729**	**26,513**	**87,242**
დამატებები	425,089	3,160	428,249
საამორტიზაციო დანარიცხი	-	(7,961)	(7,961)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**485,818**	**21,712**	**507,530**
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	485,818	35,868	521,686
დაგროვილი ცვეთა	-	(14,156)	(14,156)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**485,818**	**21,712**	**507,530**
დამატებები	227,378	-	227,378
საამორტიზაციო დანარიცხი	-	(17,671)	(17,671)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**713,196**	**4,041**	**717,237**
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	713,196	35,868	749,064
დაგროვილი ცვეთა	-	(31,827)	(31,827)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**713,196**	**4,041**	**717,237**

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიზინგის ERP (საწარმოს რესურსების დაგეგმვის)კომპიუტერული პროგრამა სატესტო რეჟიმში მუშაობდა და შესაბამისად საამორტიზაციო ხარჯი არ დარიცხულა.

14 საინვესტიციო ქონება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონება შედგება მიწის ნაკვეთისგან (10,839 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისგან (2,847 კვ.მ.), რომელიც კომპანიამ საჯარო აუქციონზე 2012 წლის 25 დეკემბერს შეიძინა. შესასყიდი ფასი 890,513 ლარს შეადგენდა. თავდაპირველად ქონების აღიარება მოხდა ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების სახით ლიზინგის მიმღების (გლდანულა სს) მიერ ფინანსურ ლიზინგში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის დაუფარავი ნაშთის გასასწორებლად. თუმცა, ლიზინგის მიმღებმა უარი თქვა არსებული ვალდებულების დაფარვაზე და აუქციონის შედეგების გასაუქმებლად მიმართა სასამართლოს. 2016 წელს სასამართლომ გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა და აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის მიერ ხელახლა მოხდა ქონების ფლობის მიზანშეწონილობის შეფასება და გადაწყვიტა მისი საკუთრებაში დატოვება კაპიტალის გაზრდის მიზნებისათვის, ამრიგად, მოხდა ქონების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად. წინა ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, მენეჯმენტმა მომავალი სამართლწარმოების ნეგატიური შედეგით დასრულების რისკი შორეულ პერსპექტივაში განსახილველად მიიჩნია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დაწყებული არ ჰქონდა ქონების დეველოპმენტთან თუ მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები და

14 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

არც მისი სამომავლო გამოყენების გეგმები ჰქონდა დასახული. შეძენილი ქონება, როგორც ასეთი, მიჩნეულია, რომ კაპიტალის გაზრდის მიზნით არის კომპანიის საკუთრებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2,299,128 ლარად შეფასდა. შეფასება განახორციელა აღიარებული და შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაციით გამორჩეულმა შემფასებლების დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასების წარსული გამოცდილება გააჩნია. შედარების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (რეგისტრირებული გაყიდვა და/ან გაყიდვის შეთავაზება), რისთვისაც კომპანიის აქტივებსა და შესადარის ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე მოახდინეს ფასების კორექტირება გარკვეულ დონეზე. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში სამართლიანი ღირებულება მესამე დონის შეფასებას მიეკუთვნება. საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული 323,000 ლარის ოდენობის ნამეტი შემოსავლის აღიარება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოხდა.

	თვითღირებილებით გადატანილი დასაკუთრებული აქტივებიდან	სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	სხვა საკვანძო ინფორმაცია	დაკვირვებას არ დაქვემდებარებული მონაცემები	დაკვირვებას არ დაქვემდებარებული მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)
საინვესტიციო ქონება	890,513	2,299,128	გაყიდვების შედარების მიდგომა	მიწა და შენობა-ნაგებობები	ფასი კვადრატულობის მიხედვით	130 - 180

15 ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	2,573,242	4,462,680
წლის განმავლობაში ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები სამართლიანი ღირებულებით	4,917,334	6,142,846
განკარგვა გაყიდვით	(1,595,532)	(2,897,455)
განკარგვა ახალი იჯარების გადაცემით	(2,118,136)	(3,727,386)
ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით	(448,810)	(516,930)
გადატანა საინვესტიციო ქონებაში	-	(890,513)
საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს	**3,328,098**	**2,573,242**

ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე - 448,810 ლარი (2016: GEL 516,930) ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ხელახალი შეფასების შედეგად ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის მოხდა, რაც სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითადი საშუალებების სახით აისახება. დასაკუთრებული აქტივების გაყიდვასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებულმა ზარალმა 111,057 ლარი და 229,747 ლარი შეადგინა შესაბამისად 2017 და 2016 წლებში.

16 სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივების ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შეზღუდული ფულადი სახსრები	**-**	**138,689**
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები მთლიანი თანხები	4,741,987	4,248,362
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი	(3,402,591)	(3,058,797)
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები წმინდა თანხები	**1,339,396**	**1,189,565**
მთლიანი სხვა მისაღები თანხები	3,379,787	1,916,083
სხვა მისაღები თანხების რეზერვი	(1,721,786)	(1,296,849)
სხვა მისაღები თანხები ნეტო ღირებულებით	**1,658,001**	**619,234**
ლიზინგის მიღებებზე გაცემული მთლიანი სესხები	3,881,082	3,810,930
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხების რეზერვი	(2,831,542)	(1,607,149)
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები ნეტო ღირებულებით	**1,049,540**	**2,203,781**
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები	**4,046,937**	**4,151,269**

სხვა მისაღები თანხები წარმოადგენენ ლიზინგით გასაცემი აქტივების მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად წარმოშობილ ფინანსურ აქტივებს, რომელთათვისაც კომპანიამ წინასწარ მოახდინა ანგარიშსწორება.

	ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები	სხვა მისაღები თანხები	ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები	სულ
გაუფასურების რეზერვი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,833,600**	**1,035,384**	**606,949**	**4,475,933**
გაუფასურების რეზერვის ხარჯი 2016 წლის განმავლობაში	225,197	261,465	1,000,200	1,486,862
გაუფასურების რეზერვი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,058,797**	**1,296,849**	**1,607,149**	**5,962,795**
გაუფასურების რეზერვის ხარჯი 2017 წლის განმავლობაში	343,794	424,937	1,224,393	1,993,124
გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,402,591**	**1,721,786**	**2,831,542**	**7,955,919**

16 სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული		
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	138,689
სულ არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	**-**	**138,689**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		
სხვა მისაღები თანხები	1,240,226	554,565
- ვადაგადაცილებული 30 დღემდე	1,240,226	554,565
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული (მთლიანი თანხა)	**1,240,226**	**554,565**
მისაღები თანხები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურ დონეზე უნდა მოხდეს ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად		
მისაღები თანხები	4,741,987	4,248,362
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	4,741,987	4,248,362
სხვა მისაღები თანხები	2,139,561	1,361,518
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	2,139,561	1,361,518
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები	3,881,082	3,810,930
- ვადაგადაცილებული 90 დღიდან	3,881,082	3,810,930
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული (მთლიანი თანხა)	**10,762,630**	**9,420,810**
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	**(7,955,919)**	**(5,962,795)**
სულ სხვა ფინანსური აქტივები	**4,046,937**	**4,151,269**

17 სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან

	საბოლოო დაფარვის თარიღი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
თიბისი ბანკის სესხები	04.12.2020	21,541,810	2,197,898
თიბისი ბანკი - აკრედიტივი	30.08.2017	-	711,318
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სესხები	01.02.2021	4,236,706	4,314,223
BSTDB-ის სესხები	08.05.2018	-	4,364,703
ResponsAbility-ის სესხები	16.05.2018	25,721,432	26,930,897
მიკროვესტის სესხები	15.12.2017	-	5,009,935
სიმბიოტიკის სესხები	31.12.2018	30,409,593	10,058,037
ტრიპლ ჯამპის სესხები	15.12.2020	22,103,771	14,649,212
პაშა ბანკის სესხები	31.05.2018	3,896,753	-
ბლუორჩარდის სესხები	04.12.2020	12,983,884	-
ვითიბი ბანკის სესხები	31.12.2018	3,198,737	-
თიბისი კრედიტის სესხები	10.08.2018	5,197,792	-
ფონდი მწვანე ზრდისთვის სესხები	15.09.2020	6,491,021	-
სულ სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან		**135,781,499**	**68,236,223**

ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია გარკვეული ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, გარკვეული იჯარებიდან მისაღები თანხებითა და ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი ავანსებით, რაც დეტალურად აღწერილია შენიშვნებში 7 და 11. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს 35,598 ლარს (2016: 2,640,857 ლარი); ბანკებიდან მისაღები უზრუნველყოფის სახით დაგირავებული თანხები შეადგენს 4,431,850 ლარს (2016: 0 ლარი), უზრუნველყიფის სახით დაგირავებული მთლიანი ინვესტიციის თანხა შეადგენს 145,248,843 ლარს (2016: 78,772,872 ლარი), ხოლო უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხა - 6,284,418 ლარს; 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი არ მომხდარა ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხის დაგირავება უზრუნველყოფის სახით.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შესრულება. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია ხსენებულ პირობებს ასრულებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დარიცხული პროცენტები, რომლებიც ასახულია ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებში, შეადგენს 936,485 ლარს (2016: 789,266 ლარი).

ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება მოცემულია შენიშვნაში 28. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში 31.

18 გამოშვებული ფასიანი ქაღალდები

	ვალუტა	საბოლოო დაფარვის თარიღი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციები	USD	22.07.2019	7,798,098	13,260,660
სულ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები			**7,798,098**	**13,260,660**

შენიშვნაში 28 მოცემულია გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების განმარტება.

19 კლიენტებისგან მიღებული ავანსები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლის ბოლოს კლიენტებისგან მისაღები ავანსები 12,907,386 ლარს შეადგენს (2016: 7,043,926 ლარი). კომპანია კლიენტებისგან ითხოვს ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულების მინიმუმ 20%-ის ავანსად გადახდას. ამ თანხებს კომპანიის კლიენტები ლიზინგის ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე წინასწარ იხდიან და განათავსებენ კომპანიის ანგარიშზე, საგირავნო დეპოზიტის სახით კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ლიზინგით გაცემული აქტივების კლიენტისათვის გადაცემამდე. ლიზინგით გაცემული აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდგომ, კლიენტებისგან ავანსის სახით მიღებული თანხები იქვითება იმავე კლიენტების მიერ საიჯარო დებიტორების სახით განხორციელებულ წმინდა ინვესტიციებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,293,519 ლარი (2016: 6,008,992 ლარი) არის კლიენტებისგან წინასწარ მიღებული საგირავნო დეპოზიტი, ხოლო ნაშთის დარჩენილი ნაწილი წინასწარ გადახდილი სალიზინგო შენატანები და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ავანსებია.

20 სუბორდინირებული სესხები

	საბოლოო დაფარვის თარიღები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
თიბისი ბანკის სუბორდინირებული სესხები	05.12.2018	13,072,128	15,833,761
ოფორთიუნითის სუბორდინირებული სესხები	05.12.2018	2,612,511	-
სულ სუბორდინირებული სესხები		**15,684,639**	**15,833,761**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხებში ასახული გადასახდელი დარიცხული პროცენტები შეადგენს 108,039 ლარს (2016: 93,361ლარი).

სუბორდინირებული სესხების სამართლიანი ღირებულების შეფასება მოცემულია შენიშვნაში 28. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით განმარტებულია შენიშვნაში 31.

21 სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე	8,180,733	1,271,115
დარიცხული ხარჯები	171,579	107,204
ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების წინაშე	418,769	36,504
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,771,081**	**1,414,823**
გადასახდელი ბონუსები	485,813	440,006
სხვა ვალდებულებები	**9,256,894**	**1,854,829**

ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე წარმოადგენს ლიზინგის მიზნებისათვის მიღებული აქტივების სანაცვლოდ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების ნაშთს.

22 სააქციო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი 3,059,000 ლარს შეადგენს (2016: 3,059,000 ლარი). 2016 წელს კომპანიამ გამოუშვა ახალი 267 ჩვეულებრივი აქცია 1000 ლარის ოდენობის ნომინალური ღირებულებით, თითოეული 4,179 ლარად. 2016 წელს კომპანიის აქციონერებმა დაუშვეს დამატებით 267 აქციის გამოშვება იმავე პირობებით, თუმცა მათი გამოშვება არ მოხდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნებადართული, გამოშვებული, და განაღდებული აქციების საერთო რაოდენობა 3,059 ჩვეულებრივი აქციაა და თითოეულის ნომინალური ღირებულება 1000 ლარს შეადგენს. თითოეულ აქციას ერთი ხმის უფლება შეესაბამება. 2017 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება არ განხორციელებულა.

23 სხვა შემოსავალი

	2017	2016
სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული ანაზღაურება და ბონუსის სახით მიღებული შემოსავალი	624,490	240,410
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	165,604	-
შემოსავალი ჯარიმებიდან	20,133	182,667
ლიზინგის ფარგლებში გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გადახდებიდან მიღებული შემოსავალი	-	355,853
სხვა შემოსავალი	9,752	69,776
სულ სხვა შემოსავალი	**819,979**	**848,706**

24 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
პერსონალის ხარჯები	2,640,878	1,662,619
დაზღვევის ხარჯები	1,874,781	1,614,944
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	1,410,362	945,718
პროფესიული მომსახურებები	665,683	359,496
ლიზინგით გაცემული აქტივების რეგისტრაციის საკომისიო	318,850	98,517
სარეკლამო ხარჯები	304,576	104,983
განთავსება და იჯარა	286,217	266,325
ქონების და მანქანა-დანადგარების ცვეთა	232,690	99,678
ბანკის საკომისიოები	127,232	78,706
აქტივების მოვლა-შენახვის ხარჯები	109,044	137,104
არარეზიდენტების საშემოსავლო (წყაროსთან დაკავების) გადასახადი	63,106	269,306
მიწისა და შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა	20,048	20,137
სხვა ხარჯები	923,425	522,834
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**8,976,892**	**6,180,367**

პროფესიული მომსახურების საკომისიო შეადგენს 101,912 ლარს (2016: 132,314 ლარი) - აუდიტორისა და აუდიტის კომპანიის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის გადახდილი საკომისიოები საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

25 მოგების გადასახადები

	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	-	594,046
გადავადებული გადასახადის ხელახალი შეფასება საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო	-	(427,874)
წლის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**166,172**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე, როგორც ეს შენიშვნაში 3 არის განმარტებული, სხვაობებმა კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ერთი მხრივ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში და მეორე მხრივ, საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებულ ოდენობებს შორის, და ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო კრედიტების გადატანამ მომავალ პერიოდზე განაპირობა დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ განხორციელებული ხელახალი შეფასების შედეგები დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ:

	2017 წლის 31 დეკემბერი	გადავადებული გადასახადის ხელახალი შეფასება საგადასახადო კანონში შეტანილი ცვლილებების გამო	2016 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	-	392,045	(392,045)

ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	-	86,938	(86,938)
სხვა ფინანსური აქტივები	-	(5,795)	5,795
ქონება და მანქანა-დანადგარები	-	4,436	(4,436)
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	(71,606)	71,606
სხვა ვალდებულებები, მათ შორის დანარიცხები	-	(136,242)	136,242
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები	-	158,098	(158,098)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**-**	**427,874**	**(427,874)**

26 წმინდა ვალის რეკონსილაცია

	დაფინანსების ოპერაციებიდან წარმოშობილი ვალდებულებები			
	სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული სესხი	ჯამი
წმინდა ვალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**68,236,223**	**13,260,660**	**15,833,761**	**97,330,644**
ფულადი ნაკადები	61,358,602	(5,462,808)	(1,757,196)	54,138,598
უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციების კორექტირებები	(347,819)	(868,209)	(168,240)	(1,384,268)
სხვა არაფულადი ცვლილებები	6,534,493	868,455	1,776,314	9,179,262
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**135,781,499**	**7,798,098**	**15,684,639**	**159,264,236**

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალისა და წარმოდგენილ თითოეულ პერიოდში ვალთან მიმართებაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი. ვალის მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში არის ასახული.

27 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ფინანსურ (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (მათ შორის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკები)), გეოგრაფიულ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანი რისკების ლიმიტების განსაზღვრა და იმის უზრუნველყოფაა, რომ რისკის დონე ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკების და პროცედურების ადეკვატურ ფუნქციონირებას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნებისათვის.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს იმას, ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზარალი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი დგება კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების და კონტრაჰენტებთან სხვა ტრანზაქციების წარმოების შედეგად, რაც ფინანსურ აქტივებს

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

წარმოშობს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.
რისკების მართვა და მონიტორინგი დედა კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის მმართველი საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდება. დედა კომპანიის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს იმ იჯარების გაცემაზე, რომელთა ღირებულება 300,000 დოლარს აღემატება. საკრედიტო კომიტეტზე თუ კომპანიის მმართველ საბჭოზე განაცხადის წარდგენამდე, ყველა რეკომენდაციას ლიზინგის პროცესებთან დაკავშირებით (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ცვლილებები ლიზინგის ხელშეკრულებებში, და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს საკრედიტო დეპარტამენტის რისკების მართვის მენეჯერი.

კომპანია, როგორც წესი, ისე ახდენს თავისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღები მანქანა-დანადგარის ღირებულების 20%-ს სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე იხდის. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება.

როგორც წესი, ხდება ლიზინგით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ისეთი რისკების დაზღვევა, როგორებიცაა: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას არსებული ვალების მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების ანალიზის გზით. იჯარის გაუფასურების ძირითად ფაქტორებში კომპანია მოიაზრებს ვადაგადაცილების სტატუსს, ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას, ლიკვიდურობას და ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულებას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისათვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურად ფარავს ანგარიშგების თარიღისათვის ლიზინგის პორტფელში არსებულ პოტენციურ დანაკარგებს.

მენეჯმენტი კვარტალურად ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას დებიტორების ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სასამართლო საქმეების შედეგები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისათვის ადეკვატური რეზერვია შექმნილი ანგარიშგების თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანია ასევე იღებს საბაზრო რისკებს. ეს რისკები ღია სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების პოზიციების შედეგად წარმოიშვება, რაც ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. რისკის ფასთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს დასაშვებ ლიმიტებს, რომლებიც კვარტალურად მოწმდება. ამის მიუხედავად, უფრო სერიოზული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს დანაკარგების პრევენციას დაწესებული ლიმიტების მიღმა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებამ განაპირობოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეცვლა. კომპანია დგას დომინანტი ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის შედეგების ასახვის საფრთხის წინაშე თავის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე.

მმართველი საბჭო სავალუტო რისკებს ღია სავალუტო პოზიციის მართვის გზით აკონტროლებს ქართული ლარის გაუფასურების პროგნოზებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გათვალისწინებით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს შეამციროს დანაკარგები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსების მნიშვნელოვანი რხევებიდან გამომდინარე.

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან მიმართებაში კომპანიის რისკები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,712,350	5,103,740	14,867	34,212	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	34,854,220	108,354,092	568,645	-	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	3,729,772	19,287,442	-	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	492,562	3,554,375	-	-	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**46,220,754**	**136,299,649**	**583,512**	**34,212**	**183,138,127**
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	30,721,737	105,059,762	-	-	135,781,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,798,098	-	-	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	6,752,807	6,154,579	-	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	7,857,946	7,826,693	-	-	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,538,886	6,718,008	-	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**47,871,376**	**133,557,140**	**-**	**-**	**181,428,516**
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	**(1,650,622)**	**2,742,509**	**583,512**	**34,212**	**1,709,611**

კომპანიის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებთან მიმართებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვაქნა სტერლინგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,246,160	2,985,705	11,581	33,824	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	9,334,964	85,448,975	-	-	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	765,228	8,849,572	-	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	830,985	3,181,595	138,689	-	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**13,177,337**	**100,465,847**	**150,270**	**33,824**	**113,827,278**
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	4,827,052	63,408,740	431	-	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	13,260,660	-	-	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,441,941	5,601,985	-	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	7,847,641	7,986,120	-	-	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	583,714	1,271,115	-	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,700,348**	**91,528,620**	**431**	**-**	**106,229,399**
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	**(1,523,011)**	**8,937,227**	**149,839**	**33,824**	**7,597,879**

სავალუტო რისკების მართვის მიზნით, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად განიხილავს მოკლე და გრძელ სავალუტო პოზიციებს ამ ლიმიტების ფარგლებში.

ვალუტის სენსიტიურობის ანალიზი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სენსიტიურობა ლართან მიმართებაში აშშ დოლარის კურსის 10%-იანი (2016: 10%) ზრდისა და კლების თვალსაზრისით. 10% არის სენსიტიურობის ის განაკვეთი, რომელსაც მაღალი დონის მენეჯმენტის წინაშე უცხოური ვალუტის რისკის შესახებ ანგარიშგების მიზნებისათვის შიდა დონეზე იყენებენ და რომელიც,

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ამავე დროს, არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებების შეფასების საშუალება მენეჯმენტის მხრიდან. სენსიტიურობის ანალიზი მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დაუფარავ ფულად მუხლებს მოიცავს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების განაკვეთებში 10%-იანი ცვლილების გათვალისწინებით.

	2017 წლის 31 დეკემბერი		2016 წლის 31 დეკემბერი	
	ეფექტი მოგებასა თუ ზარალზე გადასახადების გამოკლებამდე	ეფექტი კაპიტალზე	ეფექტი მოგებასა თუ ზარალზე გადასახადების გამოკლებამდე	ეფექტი კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით (2016: 10%)	274,251	274,251	893,723	759,664
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით (2016: 10%)	(274,251)	(274,251)	(893,723)	(759,664)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს მიღებული ფინანსური შემოსავლისა და გადახდილი საპროცენტო ხარჯების შეფარდების მარჟები, ან მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან წარმოშვას ზარალი.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, ვინაიდან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი წარმოშობილია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ნასესხები ერთი ვალით, ყველა სხვა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა მიბმული ან საერთოდ არ ერიცხება პროცენტი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თარიღი დადგა უფრო ადრე).

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,169	-	-	-	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,431,850	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485,225	9,007,623	38,968,159	82,315,950	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	4,603,443	8,056,025	10,357,746	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	607,041	809,387	1,011,734	1,618,775	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**26,560,878**	**17,873,035**	**54,769,489**	**83,934,725**	**183,138,127**

ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217,272	1,713,870	48,766,840	84,083,517	135,781,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	50,540	-	-	7,747,558	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581,477	4,517,585	5,808,324	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	117,413	-	14,867,226	700,000	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452,312	2,693,756	1,110,826	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,419,014**	**8,925,211**	**70,553,216**	**92,531,075**	**181,428,516**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	**17,141,864**	**8,947,824**	**(15,783,727)**	**(8,596,350)**	**1,709,611**

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თარიღი დადგა უფრო ადრე).

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	-	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11,460,463	7,203,368	30,549,004	45,571,104	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	1,922,960	3,365,180	4,326,660	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	740,576	802,516	1,003,145	1,605,032	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**19,401,269**	**11,371,064**	**35,878,809**	**47,176,136**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	611,733	861,296	24,507,499	42,255,695	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	85,943	-	-	13,174,717	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,408,785	2,465,374	3,169,767	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	118,530	-	-	15,715,231	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,092,494	539,756	222,579	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,317,485**	**3,866,426**	**27,899,845**	**71,145,643**	**106,229,399**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	**16,083,784**	**7,504,638**	**7,978,964**	**(23,969,507)**	**7,597,879**

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. მმართველი საბჭო (შიდა საბჭო, რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი) აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს საბოლოო დაფარვის თარიღების ანალიზის, მომდევნო ფინანსურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის გზით. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	2,075,349	2,819,372	62,534,628	82,853,491	150,282,840
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	248,904	-	422,972	8,199,572	8,871,448
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,635,258	4,646,659	6,227,814	-	13,509,731
სუბორდინირებული სესხი	280,828	281,193	16,163,808	707,134	17,432,963
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,724,841	2,828,402	1,166,351	-	9,719,594
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	**10,965,180**	**10,575,626**	**86,515,573**	**91,760,197**	**199,816,576**

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	1,192,515	4,675,215	38,020,736	29,898,286	73,786,752
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	298,079	61,712	5,816,279	8,783,649	14,959,719
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,438,135	2,535,813	3,398,694	-	7,372,642
სუბორდინირებული სესხი	265,338	279,650	1,303,455	17,477,574	19,326,017
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,186,584	2,687,868	1,782,928	-	8,657,380
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	**7,380,651**	**10,240,258**	**50,322,092**	**56,159,509**	**124,102,510**

ლიკვიდობის სამართავად კომპანია არ იყენებს ზემოთ მოცემულ არადისკონტირებულ ანალიზს დაფარვის საბოლოო თარიღებთან მიმართებაში. ნაცვლად ამისა, კომპანია ახორციელებს ლიკვიდობის დეფიციტის მონიტორინგს დისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საპროგნოზო დაფარვის თარიღებთან მიმართებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება საპროგნოზო ლიკვიდობის დეფიციტი:

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,169	-	-	-	7,865,169
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,431,850	-	4,431,850
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485,224	9,007,623	38,968,159	82,315,951	143,776,957
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	4,603,443	8,056,025	10,357,746	-	23,017,214
სხვა ფინანსური აქტივები	607,041	809,387	1,011,734	1,618,775	4,046,937
სულ ფინანსური აქტივები	**26,560,877**	**17,873,035**	**54,769,489**	**83,934,726**	**183,138,127**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217,272	1,713,870	48,766,840	84,083,517	135,781,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	50,540	-	-	7,747,558	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581,477	4,517,585	5,808,324	-	12,907,386
სუბორდინირებული სესხი	117,413	-	14,867,226	700,000	15,684,639
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452,311	2,693,756	1,110,827	-	9,256,894
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,419,013**	**8,925,211**	**70,553,217**	**92,531,075**	**181,428,516**
ლიკვიდობის დეფიციტი	**17,141,864**	**8,947,824**	**(15,783,728)**	**(8,596,349)**	**1,709,611**
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	**17,141,864**	**26,089,688**	**10,305,960**	**1,709,611**	

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის საპროგნოზო დეფიციტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	-	5,277,270
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11,460,463	7,203,368	30,549,004	45,571,104	94,783,939
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	1,922,960	3,365,180	4,326,660	-	9,614,800
სხვა ფინანსური აქტივები	740,576	802,516	1,003,145	1,605,032	4,151,269
სულ ფინანსური აქტივები	**19,401,269**	**11,371,064**	**35,878,809**	**47,176,136**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	611,733	861,296	24,507,499	42,255,695	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	85,943	-	-	13,174,717	13,260,660

კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,408,785	2,465,374	3,169,767	-	7,043,926
სუბორდინირებული სესხი	118,530	-	-	15,715,231	15,833,761
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,092,494	539,756	222,579	-	1,854,829
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,317,485**	**3,866,426**	**27,899,845**	**71,145,643**	**106,229,399**
ლიკვიდობის დეფიციტი	**16,083,784**	**7,504,638**	**7,978,964**	**(23,969,507)**	**7,597,879**
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	**16,083,784**	**23,588,422**	**31,567,386**	**7,597,879**	

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია ზოგადად სტაბილურია, რადგან კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ფუნქციონირებს.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების რისკი. კომპანია დგას დაკავშირებული მხარეების მხრიდან დაფინანსების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის რისკის წინაშე. კომპანია არის დიდი საბანკო ჯგუფის წევრი. მოქმედი საწარმოს რისკი შემცირებულია კომპანიის მესაკუთრეების მხრიდან პასუხიმგებლობის აღებით კომპანიის სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უნარიანობის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და აქციონერებს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალური ხარჯების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისათვის, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების თანხის კორექტირება, აქციონერებისათვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან ვალის შესამცირებლად აქტივების გაყიდვა. კომპანია კაპიტალს დედა კომპანიიდან მიღებული სესხების ჩათვლით განიხილავს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალმა 35,085,222 ლარი შეადგინა (2016: 31,575,754).

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება ბაზრის მოთამაშეებს შორის ანგარიშგების თარიღისათვის წარმოებული მარტივი ტრანზაქციის ფარგლებში აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ მიღებული ან გადახდილი თანხაა ვალდებულების გადასაცემად. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მისთვის ხელმისაწვდომი იმ ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე, რომელზეც ის ოპერირებს, და ასევე, შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია დასკვნების გაკეთება ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად, რაც თავის მხრივ საპროგნოზო სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრავად არის საჭირო. საქართველოსთვის კვლავ დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი ნიშანი, ეკონომიკური გარემო კი ისევ აფერხებს ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული აქტივობების მასშტაბებს. მენეჯმენტმა გამოიყენა საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი ყველა სახის ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აისახება, რაც მიმდინარე სამართლიანი ღირებულების ტოლია. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები და სხვა ფინანსური აქტივები გაუფასურების რეზერვების გამოკლებით აღირიცხება. ამ ფინანსური აქტივების შეფასებული სამართლიანი ღირებულება არის მისაღები საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირებული თანხა. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე საბაზრო განაკვეთების შესაბამისად ხდება.

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელთა დაფარვის საბოლოო ვადა ცნობილია, და რომელთა შესახებ ხელმისაწვდომი არ არის კოტირებული საბაზრო ფასი, იმ საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე შეფასდა, რომელთა დისკონტირებაც იგივე საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დაწესებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მოხდა. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. მოთხოვნისას ან მოთხოვნის შემდეგ („მოთხოვნადი ვალდებულებები“) დასაფარი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც მოთხოვნისას გადასახდელი თანხა, დისკონტირებული თანხის გადახდის მოთხოვნის პირველივე შესაძლო თარიღიდან. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები შეესაბამება კომპანიის საკრედიტო რისკს და ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტის ვალუტას და ვადიანობას (საბოლოო დაფარვის თარიღს).

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება სამართლიანი ღირებულებით არ მომხდარა, ასე გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865,170	-	-	7,865,170
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	4,431,850
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	22,342,534	23,017,213
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	145,791,824	143,776,957
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,136,372	4,046,937
მთლიანი აქტივები	**12,297,020**	**-**	**171,270,730**	**183,138,127**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	134,845,113	-	135,781,498
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,776,600	-	7,798,098
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	10,293,519	-	10,293,519
სუბორდინირებული სესხი	-	15,576,600	-	15,684,639
სხვა ვალდებულებები	-	9,256,894	-	9,256,894
სულ ვალდებულებები	**-**	**177,748,726**	**-**	**178,814,648**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება სამართლიანი ღირებულებით არ მომხდარა, ასე გამოიყურება:

	2016 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,277,270	-	-	5,277,270
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	9,332,971	9,614,800

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	95,887,507	94,783,939
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,838,187	4,151,269
სულ აქტივები	**5,277,270**	**-**	**109,058,665**	**113,827,278**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	71,308,489	-	68,236,223
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	14,035,640	-	13,260,660
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	6,008,992	-	6,008,992
სუბორდინირებული სესხი	-	17,808,563	-	15,833,761
სხვა ვალდებულებები	-	(1,854,829)	-	(1,854,829)
სულ ვალდებულებები	**-**	**107,306,855**	**-**	**101,484,807**

29 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება შეფასების მიზნებისათვის

შეფასების მიზნებისათვის, ბასს 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) შესაბამისად, კომპანია ახდენს ყველა თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხების და მისაღები თანხების კატეგორიებად.
2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით არის ასახული.

30 პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება. დროდადრო და ბინზესის წარმოების ჩვეულებრივ რეჟიმში, კომპანიის წინააღმდეგ სამართლოში შესაძლოა შეტანილ იქნას სარჩელი. როგორც საკუთარი, ისე შიდა და გარე საკონსულტაციო წყაროებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მენეჯმენტი თვლის, რომ სარჩელებიდან გამომდინარე არსებითი ზარალის მიღება მოსალოდნელი არ არის და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში არ მომხდარა ამ მხრივ რეზერვების ასახვა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა ხშირი ხასიათი ჰქონდეს. კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა ორგანოებმა. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება. აქედან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისათვის რეზერვები არ შექმნილა.

2013 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღო ინსტრუქცია საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების შესახებ. ინსტრუქციაში მოცემულია სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესებისა და პრინციპების შესრულების სახელმძღვანელო (ერთიანად მოხსენიებულია, როგორც "ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობა"), რომელიც შესულია 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შესულ ახალ საგადასახადო კოდექსში.

ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობა ტექნიკურად კომპლექსურია და შესაბამისობაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მიერ მიღებულ საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან. კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კორექტირებები და განსაზღვრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებად ოპერაციებთან მიმართებაში (ოპერაციები ზოგიერთ დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ოპერაციის ფასი გაშლილი მკლავის პრინციპით არ არის განსაზღვრული.

30 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მან გაატარა შიდა კონტროლის ღონისძიებები ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების შესრულების მდიდარი პრაქტიკა, კომპანიის სატრანსფერო ფასების შეფასებაში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ არსებობს; ამის მიუხედავად, ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და/ან ზოგადად, მის ოპერაციებზე.

შეთანხმების შესრულება. კომპანიას უწევს გარკვეული შეთანხმების შესრულება ძირითადად ბანკებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებთან დაკავშირებით. ამგვარი შეთანხმების პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ნასესხები თანხების ხარჯის და არსებული პროდუქტების დაფარვის ვადის ზრდა. მენეჯმენტს სჯერა, რომ 2017 წლის 31 დეკემბრისა დ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წლების განმავლობაში კომპანიამ შეასრულა იმ დროისათვის მოქმედი შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

31 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად დაკავშირებულად ითლებიან მხარეები, თუ ისინი საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარის გაკონტროლების უნარი ან შეუძლია მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ, უბრალოდ სამართლებრივ ფორმას.

ასეთი ოპერაციები შედის „სხვა დაკავშირებულ პირებში“ და შეეხება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებს და დედა კომპანიის ძირითად აქციონერებს. მენეჯმენტის წამყვანი პერსონალი კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრებისაგან შედგება.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი დაუფარავი ნაშთები დაფიქსირდა:

	2017		2016	
	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,919,880	-	4,161,582	-
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,431,850	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 15.0%-40.0%)	-	721,120	-	819,055
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 7.5%-13.5%)	21,541,810	5,197,792	2,197,898	-
სუბორდინირებული სესხები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 12.0%-14.0%)	13,072,128	-	15,833,761	-
სხვა ვალდებულებები	-	-	4,093	-

31 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები 2017 წლის 31დეკემბრისა და 2016 წლის მდგომარეობით:

	2017		2016	
	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	165,604	-	63,116	-
ფინანსური შემოსავალი	-	206,076	-	254,174
საპროცენტო ხარჯი	2,601,191	72,163	1,940,982	-
საბანკო და სხვა მომსახურების საკომისიოები	138,436	-	90,307	-

მენეჯმენტის წამყვანი პერსონალის ხელფასები მოცემულია ქვემოთ:

	2017		2016	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებლები	1,133,337	305,950	789,275	197,340

31 დეკემბრით დასრულებული 2017 და 2016 წლების განმავლობაში, მენეჯმენტის წამყვანი პერსონალის ანაზღაურება, რომლებიც ამავე დროს არიან მმართველი საბჭოს წევრები, შედგება ხელფასების, ბონუსების, დაზღვევის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯებისაგან.

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს თიბისი ლიზინგის აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ვფიქრობთ, ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში "ანგარიშგებები"), სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ პოზიციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ხსენებული თარიღისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენს მიერ შემოწმებული სფეროები:

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება ხსენებული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები, რომლებიც მოიცავს ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი, აუდიტორების პასუხისმგებლობები აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში, აღწერილია ქვემოთ ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში "აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან მიმართებაში".
გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და რელევანტურია ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვმოქმედებთ კომპანიისგან სრულიად დამოუკიდებლად, რითაც ვიცავთ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს "პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს" (IESBA Code). გარდა ამისა, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს აღნიშნული კოდექსიდან გამომდინარე.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე, რაც გულისხმობს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებს და მათთან დაკავშირებულ ჩვენს აუდიტორის ანგარიშს).
ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგებების ჩვენეულ აუდიტთან მიმართებაში, ჩვენი მოვალეობაა გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს. ამის შემდეგ, უნდა შევაფასოთ, არის თუ არა მენეჯმენტის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან ჩატარებული აუდიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად დასტურდება მისი არსებითი უზუსტობა.

ამასთანავე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვხატოთ ჩვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა ცალკეულ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მენეჯმენტის ანგარიში შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რაც მოთხოვნილია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

თუ, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიში არსებითი უზუსტობით ხასიათდება, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავაფიქსიროთ ამ ფაქტის შესახებ. ამ შემთხვევაში არაფერი გვაქვს დასაფიქსირებელი ამასთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარების პროცესში შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ყველა არსებით ასპექტში:

- მენეჯმენტის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მენეჯმენტის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და შესაბამისობაშია ცალკეულ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და მმართველი ფუნქციების მქონე პირების პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და ობიექტურად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, და იმ

ტიპის შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ არსებითი უზუსტობებისგან დაზღვეული (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისათვის.
ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია მოქმედი საწარმოს სახით საქმიანობის უწყვეტად წარმართვის თვალსაზრისით კომპანიის უნარიანობის და უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაზე და მოქმედი საწარმოსთვის მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი არ გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტას, ან მას ამ უკანასკნელი ალტერნატივების გარდა სხვა რეალური გზა არა აქვს.
მმართველობის ფუნქციის მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტირებასთან მიმართებაში

ჩვენი ამოცანაა გონივრული მტკიცებულების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაცულია ზოგადად ფინანსური ანგარიშგებები არსებითი უზუსტობებისგან (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით) და ასევე, ჩვენი მოსაზრების შემცველი აუდიტორის ანგარიშის მომზადება. გონივრული მტკიცებულება მაღალი დონის მტკიცებულებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყველა შემთხვევაში გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობის მიზეზი შეიძლება იყოს თაღლითობა ან მექანიკური შეცდომა. უზუსტობა არსებითია, თუ გონივრული მოლოდინი არსებობს იმისა, რომ უზუსტობა, ცალკე აღებული ან უზუსტობები აგრეგირებული ფორმით, გავლენას მოახდენს ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვაკეთებთ პროფესიულ დასკვნებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის ჩატარების პროცესში. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებების არსებით უზუსტობებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას (თაღლითობით იქნება ეს გამოწვეული, თუ მექანიკური შეცდომებით), ვქმნით და ვახორციელებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებისგან თავის დასაცავად, და მოვიპოვებთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და ადეკვატური იქნება ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად. რისკი იმისა, რომ ვერ შევძლებთ თაღლითობის შედეგად წარმოშობილი უზუსტობის გამოვლენას უფრო მაღალია, ვიდრე მექანიკური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის დადგენის შეუძლებლობის რისკი, იმ მიზეზის გათვალისწინებით, რომ თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მიღმა მოქმედებას.
- ვიაზრებთ აუდიტთან დაკავშირებით შიდა კონტროლის არსებულ სურათს, რათა შევიმუშავოთ კონკრეტულ გარემოებებს მორგებული აუდიტის პროცედურები და არა

იმისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობასთან მიმართებაში.

- ვაფასებთ მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკების ადეკვატურობას და საბუღალტრო გათვლების გონივრულობას და მენეჯმენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.
- ვამზადებთ დასკვნას მენეჯმენტის მიერ მოქმედი საწარმოს საქმიანობის უწყვეტობაზე მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე ვაფასებთ იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებულ მასშტაბურობას, რამაც შესაძლოა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარიანობა საქმიანობის გაგრძელებასთან მიმართებაში. თუ დავასკვნით, რომ არსებობს სერიოზული მასშტაბის გაურკვევლობა, აუდიტორის ანგარიშში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ თვალსაზრისით ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, და თუ ეს უკანასკნელი არასაკმარისად არის წარმოდგენილი, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები, როგორც წესი, ეფუძნება აუდიტის ანგარიშის მომზადებამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალშიც შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენები, ან გარემოებები, რომელთა გამოც კომპანიას, როგორც მოქმედ საწარმოს, მოუწევს საქმიანობის შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას, ასევე იმას, თუ რამდენად ობიექტურად არის ასახული ოპერაციები და მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებებში.

იმ საკითხებში, რომელთა მიმართებაშიც კომუნიკაცია გვაქვს კომპანიის მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან, გამოვყოფთ დაგეგმილი აუდიტის მასშტაბებსა და ჩატარების ვადებს, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებს, მათ შორის, აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მიმართულებით აღმოჩენილ ხარვეზებს.

შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერსის (რეგისტრაციის # SARAS-F-775813) სახელით

ლაშა ჯანელიძე (რეგისტრაციის # SARAS-A-562091)

2018 წლის 23 ივლისი, გარდა ანგარიშისა სხვა ინფორმაციის შესახებ, რის გამოც ჩვენი ანგარიში 2018 წლის 26 სექტემბრით თარიღდება

თბილისი, საქართველო

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

თიბისი ლიზინგი

სს თიბისი ლიზინგი თიბისი ბანკის მიერ 2003 წელს დაფუძნდა და ამ დროიდან მოყოლებული ცდილობს გახდეს წამყვანი მოთამაშე ლიზინგის ბაზარზე, რისთვისაც აწესებს კლიენტთა მომსახურების მაღალ სტანდარტებს. თიბისი ლიზინგი კორპორატიულ და საცალო კლიენტებს გაყიდვების სხვადასხვა არხების საშუალებით ემსახურება და მუდმივად ქმნის ინოვაციურ და ახალ პროდუქტებს საქართველოს სალიზინგო ბაზარზე.

სარჩევი

ფინანსური ინდიკატორები 2

საოპერაციო ინდიკატორები 3

კომპანიის მიმოხილვა 4

სამომავლო განვითარების გეგმები და უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევისა და განვითარების კომპონენტი (R&D) 5

სალიზინგო ბაზრის მიმოხილვა 5

2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა 6

მომგებიანობის ზრდა 7

წმინდა სალიზინგო შემოსავალი 7

გაუფასურების რეზერვი 7

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 8

რისკ ფაქტორები და გაურკვევლობები 9

მაკროეკონომიკა, პოლიტიკები და ბაზრის პირობები 9

დაფინანსება 9

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 10

კონკურენცია 10

რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები 10

სავალუტო რყევები 12

პილიტიკური არასტაბილურობა საქართველოში 12

ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში 13

რისკების მართვა 14

ფინანსური რისკების მართვა 15

კორპორატიული მმართველობა 16

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 17

დირექტორთა საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 19

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ფინანსური ინდიკატორები

წმინდა შემოსავალი (ლარი)

სხვაობა	+24.7%
2017	4,084,635
2016	3,276,543

უკუგება საშუალო კაპიტალზე

სხვაობა	-1.5 pp
2017	23.5%
2016	25.0%

უკუგება საშუალო აქტივებზე

სხვაობა	-0.4 pp
2017	2.5%
2016	2.9%

ხარჯების შემოსავალთან ფარდობა

სხვაობა	2.0 pp
2017	44.1%
2016	42.1%

რისკის მართვის ხარჯი

სხვაობა	-1.5 pp
2017	2.1%
2016	3.6%

მთლიანი აქტივები (ლარი)

სხვაობა	+65.2%
2017	200,829,099
2016	121,545,347

უმოქმედო სესხები

სხვაობა	-0.2 pp
2017	3.0%
2016	3.2%

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საოპერაციო ინდიკატორები

თანამშრომელთა რაოდენობა

2017	79
2016	46

ფილიალების რაოდენობა

2017	4
2016	1

არსებული კლიენტების რაოდენობა

2017	2,144
2016	598

მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა

2017	3,440
2016	1,513

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

კომპანიის მიმოხილვა

კომპანიის მთავარ ბიზნეს ამოცანას საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების აქტივების დაფინანსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, ისევე როგორც საცალო კლიენტებისათვის (ფიზიკური პირებისათვის) სალიზინგო მომსახურების გაწევა - 2017 წლის ივნისიდან კომპანია აქტიურად არის წარმოდგენილი საცალო ბაზარზე. 2018 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი სალიზინგო პორტფელის 12%-ს სწორედ საცალო კლიენტები შეადგენენ. კომპანია კლიენტებს შემდეგი ტიპის სალიზინგო პროდუქტებს სთავაზობს:

- ფინანსური ლიზინგი – ლიზინგის მიმღები ლიზინგის წესით მიღებულ აქტივს ჩვეულებრივ სალიზინგო ვადის დასრულებისას ყიდულობს;
- საოპერაციო ლიზინგი – ლიზინგის მიმღები ლიზინგის წესით მიღებულ აქტივს კომპანიას სალიზინგო ვადის დასრულებისას უბრუნებს.

ფინანსური ლიზინგი ყველაზე პოპულარული პროდუქტია და კომპანიის პორტფელშიც ყველაზე დიდ (დაახლოებით 95%) წილს იკავებს. მეორე ადგილზეა საოპერაციო ლიზინგი.

ლიზინგის თითოეული ხელშეკრულება პოტენციური კლიენტის მიერ სათანადოდ წარდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის, განაცხადის) საფუძველზე ფორმდება. პროდუქტის გაცემამდე კომპანია ითხოვს ლიზინგის წესით გასაცემი აქტივის ობიექტურ შეფასებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიზინგის წესით გასაცემი აქტივები პროდუქტების გირაოს წარმოადგენენ, კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით აუცილებელია მათი დაზღვევა კლიენტების ან თვითონ კომპანიის მიერ. მხოლოდ უმაღლესი რეიტინგის მქონე სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ გახდნენ ამ მომსახურების მომწოდებლები.

ლიზინგის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, კომპანია რეგულარულად ახორციელებს მის წლიურ მონიტორინგს ფინანსური დოკუმენტაციის ან აქტივის მონიტორინგის/ხელახალი შეფასების გზით.

კომპანიის დიდად დივერსიფიცირებული ვალდებულების სტრუქტურას უზრუნველყოფს ხანგრძლივი გამოცდილების მქონე კრედიტორები, მათ შორის: სიმბიოტიკა, რისფონსებილითი, თრიფლ ჯამფი, ბლუორჩარდი, ფონდი მწვანე ზრდისთვის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და ასევე, ადგილობრივი ბანკები. 2014 წელს თიბისი ბანკმა წარმატებით მოიზიდა 2 მლნ აშშ დოლარი ადგილობრივ ბაზარზე ობლიგაციების პირველი საინაუგურაციო კერძო განთავსების გზით და 2016 წელს დამატებით განათავსა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ობლიგაციები.

ამჟამად კომპანია სათავო ოფისის და 5 საცალო ფილიალის სახით ოპერირებს, რომელთაგან ორი თბილისს გარეთ მდებარეობს. საცალო ფილიალები ფიზიკურ პირებს ემსახურებიან, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 700-2000 ლარის ფარგლებში მერყეობს და მათ მეორადი და იმპორტირებული მანქანების ფინანსური ლიზინგის მომსახურებას სთავაზობენ. ფილიალების გარდა, კომპანიას გაყიდვის პუქტები გახსნილი აქვს ასევე ავტომანქანების სამ ოფიციალურ დილერთან. კორპორატიული კლიენტებს კი კომპანიის სათავო ოფისი ემსახურება.

სამომავლო განვითარების გეგმები და უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევისა და განვითარების კომპონენტი (R&D)

მომავალში კომპანია ციფრულ მომსახურებებზე ფოკუსირებას გეგმავს, რაც საწყის ეტაპზე კლიენტებისათვის ონლაინ პლატფორმის გაშვებასაც გულისხმობს მათი წვდომის უზრუნველსაყოფად კომპანიაში არსებულ ანგარიშებთან მიმართებაში, და ასევე, მათ მიერ ახალი ანგარიშების გასახსნელად. კომპანია ასევე გეგმავს საქართველოს მასშტაბით გაფართოვებას და ახალი ფილიალების გახსნას ქვეყნის რამდენიმე მთავარ ქალაქში.
კომპანიამ ახლო წარსულში დიდი ინვესტიცია განახორციელა ახალი საოპერაციო და საბუღალტრო პროგრამის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს მომავალში კომპანიის ზრდას.

სალიზინგო ბაზრის მიმოხილვა

ბაზრის მთავარი მოთამაშეები არიან: თიბისი ლიზინგი, საქართველოს სალიზინგო კომპანია (“**GLC**”) და ალიანს ჯგუფი ლიზინგი (“**AGL**”). საქართველოს სალიზინგო ბაზარზე მოქმედი სხვა ორგანიზაციებია: სახალხო ბანკი, მიკრო საფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი, შპს მოგო და სხვა მიკროსაფინანსო და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები. საქართველოს სალიზინგო ინდუსტრიაში სამი ძირითადი დომინანტი მოთამაშე შეიძლება გამოვყოთ: კომპანია, საქართველოს სალიზინგო კომპანია და ალიანს ჯგუფი ლიზინგი; თუმცა, ხსენებული კომპანიები ორიენტირებულნი არიან დიდ/მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, და საცალო სალიზინგო ბაზარი სრულიად აუთვისებელია. ლიზინგის ხელშეკრულებების უმეტესობა (დაახლოებით 95%) ფინანსური ლიზინგის ტიპს განეკუთვნება.

ბაზრის წილის მიხედვით, 2017 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარობით თიბისი ლიზინგმა ბაზრის 74.3% დაიკავა, რითაც შეინარჩუნა წლების განმავლობაში დამსახურებული წამყვანი პოზიცია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები სამი ძირითადი მოთამაშის ბაზრის წილების მიხედვით:



სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების შესაბამისად. ეს არის დამოუკიდებელი მთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომელიც განთავსებულია რომში და რომლის მიზანია კერძო და სავაჭრო სამართლის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა (მიახლოვება) სახელმწიფოების დონეზე. ახალი კანონის მიღების შედეგად, ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში. ახალი კანონმდებლობით ლიზინგის ხელშეკრულებების დასადებად კომპანიებს უფრო ძლიერი მოტივაცია უჩნდებათ, რადგან ეს მათ მეტი მოქნილობის საშუალებას აძლევს საგადასახადო თვალსაზრისით, ისევე როგორც ლიზინგის მიმღებებს სთავაზობს გამარტივებულ საგადასახადო პროცედურებს და ამცირებს ეფექტურ საგადასახადო განაკვეთებს როგორც ლიზინგის გამცემების, ისე მიმღებებისათვის ლიზინგის დაბეგვრის რეჟიმებში მომხდარი ცვლილებების წყალობით.

2011 წლიდან 2017 წლის დასაწყისამდე (მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელის“ შემოღებამდე) სალიზინგო კომპანიებს უფლება ჰქონდათ სრულად ჩამოეწერათ 1000 ლარის ღირებულების ფიქსირებული აქტივი. ჩამოწერა საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლების შესაბამისად დაანგარიშებული ცვეთის ხარჯების პროპორციულად ხდებოდა. ამჟამად რეგულარული სალიზინგო შენატანები (როგორც პროცენტი, ისე ძირითადი თანხა) საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისათვის აისახება, როგორც ხარჯი, რაც კომპანიებს მოგებაზე საგადასახადო ტვირთის შემცირების საშუალებას აძლევს. კოდექსი ასევე იძლევა ლიზინგის გამცემების მიერ ლიზინგის წესით გაცემული აქტივებისთვის ქონების ეფექტური გადასახადის დაანგარიშების საშუალებას. სალიზინგო კომპანიისათვის განისაზღვრება ლიზინგის წესით გაცემული დასაბეგრი ქონების ყოველწლიური საგადასახადო განაკვეთი ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, მაქსიმუმ დასაბეგრი ქონების თავდაპირველი გადაცემის მომენტში დაფიქსირებული საბალანსო ღირებულების 0.6%-ის ოდენობით. დღგ-ს გადახდა სალიზინგო შენატანების პროპორციულად ხდება.

2017 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, სალიზინგო კომპანიებს შეუძლიათ მიღებული შემოსავლებისთვის არ გადაიხადონ მოგების გადასახადი, თუ მოგების განაწილება აქციონერებზე დივიდენდების სახით არ მოხდება.

2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

თიბისი ლიზინგის ფინანსური უწყისები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური ინდიკატორები:

	2017	2016	Change
უკუგება საშუალო კაპიტალზე	23.53%	24.97%	-1.44, pp
უკუგება საშუალო აქტივებზე	2.53%	2.88%	-0.35, pp
ხარჯების შემოსავალთან ფარდობა	44.09%	42.14%	1.95, pp
რისკის მართვის ხარჯი	2.08%	3.60%	-1.52, pp
უმოქმედო სესხები	2.97%	3.18%	-0.21, pp

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

მომგებიანობის ზრდა

კომპანიის წმინდა შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება და არც 2017 წელი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. გასული წლის წმინდა შემოსავალმა 4,084,635 ლარი შეადგინა, რაც 25%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. მომგებიანობის ზრდა ძირითადად განაპირობა სალიზინგო პორტფელის მნიშვნელოვანმა ზრდამ და აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტიანმა მართვამ.

კომპანიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტი საშუალო კაპიტალზე უკუგებაა (ROAE), რამაც გასულ წელს 23.53% შეადგინა. ეს კოეფიციენტის უმნიშვნელო გაუარესებას ნიშნავს 2016 წლის მონაცემთან შედარებით, თუმცა უფრო დეტალური ანალიზი და ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა განგრძობითი ოპერაციებიდან საშუალო კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი:

	2017	2016	Change
წმინდა შემოსავალი	4,084,635	3,276,543	25%
წმინდა შემოსავალი განგრძობითი ოპერაციებიდან	3,761,635	2,190,928	72%
უკუგება საშუალო კაპიტალზე	23.53%	24.97%	-1.44, pp
უკუგება საშუალო კაპიტალზე (განგრძობითი ოპერაციებიდან)	21.67%	16.70%	4.97, pp

წმინდა სალიზინგო შემოსავალი

მოცემული პერიოდის წმინდა სალიზინგო შემოსავალმა 9,524,364 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 41%-ით აღემატება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სალიზინგო პორტფელში, რაც გახდა მომგებიანობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე საკითხი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ კომპანიამ ძალისხმევა არ დაიშურა ნასესხები თანხების ხარჯის შესამცირებლად და თუ ქვემოთ მოცემულ ცხრილს შევხედავთ, დავინახავთ, რომ 2016 წლის მაჩვენებლთან შედარებით, სალიზინგო შემოსავალი 31%-ით გაიზარდა, ხოლო საპროცენტო ხარჯი - მხოლოდ 22%-ით იმავე პერიოდში:

	2017	2016	Change
სალიზინგო შემოსავალი	18,918,922	14,430,394	31%
საპროცენტო ხარჯი	9,394,558	7,684,065	22%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	9,524,364	6,746,328	41%
წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა	50.34%	46.75%	3.59, pp

გაუფასურების რეზერვი

კომპანიის რისკის მართვის ხარჯი ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი და არასაოპერაციო ხარჯები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვისა და სხვა არასაოპერაციო ხარჯების ჯამს.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

წინა წელთან შედარებით რეზერვის მთლიანი ხარჯი 14%-ით შემცირდა, რაც ძირითადად ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები თანხების რეზერვის დაბალი დონით არის განპირობებული. არასაოპერაციო ხარჯები თითქმის არ შეცვლილა; ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის და მნიშვნელოვნად გაზრდილი სალიზინგო პორტფელის გათვალისწინებით, რისკის მართვის ხარჯი მოცემულ პერიოდში 1.52%-ით შემცირდა და 2017 წლის საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით, 2.1%-ს გაუტოლდა.

	2017	2016	Change
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები თანხების რეზერვი	262,677	651,780	-60%
არასაოპერაციო ხარჯები	2,387,900	2,437,930	-2%
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	1,993,125	1,486,862	34%
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	394,775	951,068	-58%
მთლიანი რეზერვი	2,650,577	3,089,710	-14%
რისკის მართვის ხარჯი	2.1%	3.6%	-1.52, pp

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაიზარდა და 4,199,519 ლარი შეადგინა, რაც 48%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ამგვარი ზრდის ძირითადი განსაზღვრელი ფაქტორი თანამშრომელთა ხელფასებია, რომლებიც სალიზინგო პორტფელის პარალელურად გაიზარდა. გაზრდილი ხარჯების მიუხედავად, ხარჯებისა და შემოსავლების შეფარდების კოეფიციენტი უმნიშვნელოდ გაუარესდა და 2017 წლის ბოლოს 44.1% შეადგინა.

	2017	2016	Change
თანამშრომელთა ხელფასები	2,640,878	1,662,619	59%
ცვეთა და ამორტიზაცია	144,585	99,678	45%
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	1,414,055	1,080,652	31%
მთლიანი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4,199,519	2,842,949	48%
ხარჯების შემოსავალთან ფარდობა	44.1%	42.1%	1.95, pp

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

რისკ ფაქტორები და გაურკვევლობები

მაკროეკონომიკა, პოლიტიკები და ბაზრის პირობები

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც კომპანიების ბიზნესი, მისი ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგები დიდად არის დამოკიდებული მაკროეკონომიკურ და ბაზრის პირობებზე. შემოსავლების დიდ წილს კომპანია სალიზინგო მომსახურებებიდან იღებს, შემოსავლების ზრდა კი ქართულ ბაზარზე სალიზინგო მომსახურებებზე არსებულ მოთხოვნას უკავშირდება. საქართველოს ეკონომიკის რეგრესმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სალიზინგო მომსახურებებზე არსებულ საერთო მოთხოვნაზე, რამაც, თავის მხრივ, კომპანიის ბიზნესი და ზრდის პერსპექტივები შეიძლება დააზარალოს.

კომპანიის ბიზნესი, ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგები ასევე დამოკიდებულია საქართველოში შექმნილ მაკროეკონომიკურ პირობებზე და ადგილობრივ პოლიტიკებზე, მათ შორის ინფლაციასა თუ დეფლაციაზე, სავალუტო რყევებზე, დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობასა და საპროცენტო განაკვეთების დონეებზე. მაკროეკონომიკური პირობების და ადგილობრივი პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიასა და მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუ კომპანია მოკლე ვადაში ვერ მოახერხებს თავისი ბიზნეს სტრუქტურის მოწესრიგებას და რისკების შემსუბუქების პრევენციას პოლიტიკის ამგვარი ცვლილებების საპასუხოდ, შესაძლოა დაზარალდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციები და პერსპექტივები.

დაფინანსება

კომპანიის ბიზნესი მის კაპიტალზეა დამოკიდებული რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია მნიშვნელოვან ფულად რესურსებს საჭიროებს ლიზინგის წესით გაცემული აქტივების პორტფელის გასაზრდელად, ოპერაციების დასაფინანსებლად და ვალების გადასახდელად. კომპანიამ მნიშვნელოვანი შენატანები უნდა განახორციელოს არსებული დავალიანების ძირი თანხისა და პროცენტის გადასახდელად. მართალია კომპანია ზოგადად მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს სალიზინგო ოპერაციებიდან, გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნეს საჭიროებების დასაფინანსებლად საჭირო ფულადი სახსრების მოძიება ლიკვიდურობის მაღალი დონის და დაფინანსების წყაროებზე სტაბილური ხელმისაწვდომობის პირობებში არის შესაძლებელი. ოპერაციების და მასშტაბების გაფართოვების დაფინანსებას კომპანია ძირითადად ბანკისა და სხვა პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხებით, ობლიგაციების გამოშვებით და კაპიტალის სტრუქტურაში ინექციების საშუალებით ახორციელებს, გარდა იმ ფულადი სახსრებისა, რომლებსაც კომპანია თავისი ბიზნეს ოპერაციების შედეგად აგენერირებს. თუ კომპანია ვერ ახერხებს დაფინანსების არსებული და სამომავლო ოპერაციების შენარჩუნებას კომერციულად მისაღებ პირობებში, მან შესაძლოა ვერ განაგრძოს არსებული წყაროებიდან საკმარისი დაფინანსების მიღება. კომპანიის დაფინანსების ამჟამინდელი წყაროები საკმარისია მისი საპროგნოზო ზრდის ხელშესაწყობად, თუმცა გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა ეს წყაროები საკმარისი არ იყოს მომავალში კომპანიის ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მან ვერ მოახერხოს ბიზნესის დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენს როგორც კომპანიის სალიზინგო შემოსავალზე, ისე იმ ვალდებულებების პროცენტზე, რომელსაც ის იხდის, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის დაფინანსების ხარჯებთან, სალიზინგო შემოსავალთან, წმინდა საპროცენტო მარჟასთან და კომპანიის მოგების მარჟასა და ფინანსურ მდგომარეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ძალისხმევას არ იშურებს საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკის შემსუბუქებისათვის ცვალებადი და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მიახლოების გზით ერთის მხრივ, დაფინანსების წყაროებზე და მეორეს მხრივ, გაცემულ ლიზინგებზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა კომპანიის კონტროლს მიღმა კიდევ სხვა ფაქტორებს უკავშირდება, როგორებიცაა მაგალითად, საქართველოს საბანკო და ფინანსური სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

კონკურენცია

სალიზინგო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და სულ უფრო და უფრო კონკურენტუნარიანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კომპანია ბაზრის წილების 70%-ზე მეტს იკავებს და საქართველოს სალიზინგო ინდუსტრიას ჯერ კიდევ აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნებას მზარდად მძაფრი კონკურენციის ფონზე. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს შესაძლოა მასზე უფრო დიდი ფინანსური და მართვის რესურსები აღმოაჩნდეს. მათ შესაძლოა ჰქონდეთ უფრო დიდი საოპერაციო და ფინანსური რესურსები, ისევე როგორც მომხმარებელთა ქსელები და ურთიერთობები, დაფინანსების დაბალი ხარჯები და რისკის ტოლერანტობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ან რისკების შეფასების სხვადასხვა მეთოდები, ისე რომ მათ შეეძლოთ განიხილონ ან ხელი მიუწვდებოდეთ ინვესტიციების უფრო დიდ დიაპაზონზე, დაამყარონ მეტი ურთიერთობები და, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ აუქციონის წესით აქტივების შეძენის პროცესებში. ამასთანავე, კომპანიასთან შედარებით მის ზოგიერთ კონკურენტს ლიზინგის პოტენციური მიმღებებისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლია.

კომპანიას კონკურენციას უწევს ასევე მთავარი კომერციული ბანკები და ფინანსური მომსახურებების სხვა პროვაიდერები საქართველოში და მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თავის კლიენტებს გარკვეულ სარგებლებს სთავაზობს, ისეთ სარგებლებს, რომლებიც მხოლოდ ლიზინგისათვის არის რელევანტური ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტრუქტურიდან და სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, კონკურენტებმა კომპანიის არსებული და პოტენციური კლიენტებისათვის შესაძლოა დაფინანსება უფრო ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყონ. უფრო მეტიც, ლიზინგის წესით გასაცემი გარკვეული ტიპის აქტივების დილერებმაც/დისტრიბუტორებმაც კი შეიძლება შესთავაზონ მომხმარებლებს დაფინანსების შედარებით ხელსაყრელი პირობები.

რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები

ბოლო წლებში, კომპანიის ბიზნესის რამდენიმე მიმართულებით განვითარების პარალელურად, კომპანიის ბიზნეს მოდელი უფრო გართულდა და რისკის დონე გაიზარდა. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს რისკების მართვის სისტემას, მათ შორის, რისკების დირექტორის დაქვემდებარებაში ქმნის ცალკეულ სტრატეგიულ ერთეულებს კომპანიის საკრედიტო, აქტივების და სამართლებრივი რისკების მიმართულებით. ამას გარდა, კომპანია მესამე მხარეს, დამოუკიდებელი აუდიტორების

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

სახით, ყოველწლიურად უკვეთავს ფინანსურ და საგადასახადო აუდიტს, დედა კომპანია კი შიდა აუდიტის ფუნქციას ასრულებს კონტროლის მექანიზმების თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად. ხსენებული შემოწმების შედეგები ეცნობება კომპანიის აქციონერებს. კომპანიის ბიზნესისა და საოპერაციო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, აქ არსებული რისკების მართვის მექანიზმები შესაძლოა არ იყოს საკმარისი ბიზნესისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი რისკის იდენტიფიცირებისა და შემსუბუქებისათვის. ამრიგად, როდესაც კომპანია ახალ სფეროში იწყებს მოღვაწეობას, ახალ კლიენტებთან უწევს ურთიერთობა ან ქმნის ახალ პროდუქტებს თუ მომსახურებებს, შესაძლოა მან ვერ შეძლოს ყველა სამომავლო რისკის დონის იდენტიფიცირება და შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის რისკის მართვისა და კონტროლის მეთოდები ისტორიულ ბიზნეს გამოცდილებას, ბაზარზე ქცევის წესებს და წარსულ ფაქტებს ემყარება, და ზემოთ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული რისკის დონეები კი შესაძლოა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს კომპანიის მიერ დაშვებულ საპროგნოზო მაჩვენებლებს ისტორიული მონაცემებიდან გამომდინარე.

კომპანიის სხვა რისკის მართვის მეთოდები დამოკიდებულია ინფორმაციის შეფასებაზე ბაზრებთან, მომხმარებლებთან თუ სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად ინტერპრეტირებული აღმოჩნდეს.

ამასთანავე, კომპანიის ბიზნესის განვითარების პარალელურად, კომპანიის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყონ ყველა ტიპის, მათ შორის, არაპროგნოზირებადი, მოულოდნელი და ისეთი რისკების ეფექტიანად შემცირება და შემსუბუქება, რომელთა შესახებაც კომპანია არ ფლობს ინფორმაციას, და რომლებმაც შესაძლოა გაზარდონ უმოქმედო აქტივების კოეფიციენტი. ამას გარდა, საოპერაციო, სამართლებრივი თუ ფინანსური რისკებისგან თავის დასაცავად კომპანიას უწევს პოლიტიკების და პროცედურების რამდენიმე პაკეტის დანერგვა, რათა შეძლოს ზუსტად ასახოს და განასხვავოს ოპერაციებისა და ფაქტების დიდი სიმრავლე. ხსენებული პოლიტიკები და პროცედურები შესაძლოა საკმარისად ეფექტიანი არ იყოს. კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სწორად განხორციელების თუ შესაბამისი რისკების იდენტიფიცირების ნებისმიერმა წარუმატებელმა მცდელობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ზარალი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელზე ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდება კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის შემსუბუქებისა და საკრედიტო ზარალის პრევენციისათვის გამოყენებული რისკის მართვის პოლიტიკები, პროცედურები და შეფასების მეთოდები. რისკის მართვის მიზნებისათვის კომპანია იყენებს ხარისხობრივ მექანიზმებსა და ინდიკატორების სისტემას, რომლებიც წარსულ საბაზრო ქცევას ემყარება. ამ მექანიზმებმა და ინდიკატორების სისტემამ შესაძლოა ვერ მოახდინონ სამომავლო რისკის დონის პროგნოზირება, განსაკუთრებით გაზრდილი ცვალებადობის თუ შეფასების შედეგად შემცირებული ღირებულებების ფონზე ან იმ შემთხვევაში, როცა სწრაფად იზრდება კომპანიის სალიზინგო პორტფელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია რეგულარულად სთხოვს თავის კორპორატიულ კლიენტებს ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენას, მათი ფინანსური ანგარიშგებები შესაძლოა ყოველთვის, თითოეული მათგანის შემთხვევაში, არ იძლეოდნენ მათი ფინანსური მდგომარეობის ამსახველ სრულ და ობიექტურ სურათს. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთ კორპორატიულ კლიენტს შესაძლოა არ ჰქონდეს დიდი და გარე წყაროებით გადამოწმებული საკრედიტო ისტორია, და მათი ანგარიშები შესაძლოა არ იყოს აუდიტირებული კარგი რეპუტაციის მქონე გარე აუდიტორის მიერ. ამრიგად, საკრედიტო რისკის შეფასების მიუხედავად, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს თითოეული პოტენციური კორპორატიული კლიენტის ფინანსური

მდგომარეობის ობიექტური შეფასება და ამ უკანასკნელის უნარიანობის ზუსტად განსაზღვრა ვადამოსული სალიზინგო დავალიანების დაფარვასთან მიმართებაში.

სავალუტო რყევები

კომპანიის მთლიანი აქტივების მნიშვნელოვანი წილი, განსაკუთრებით მისი სალიზინგო პორტფელი დენომინირებულია უცხოურ ვალუტებში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ლიზინგის მქონე კლიენტების უმრავლესობა ლარში იღებს შემოსავალს. ეს კლიენტები, როგორც წესი, არ არიან დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობისგან ლიზინგის ვალუტასთან მიმართებაში. შესაბამისად, ლარის კურსის ნებისმიერი ოდენობით გაუფასურებამ ლიზინგის ვალუტასთან მიმართებაში შესაძლოა გაართულოს სალიზინგო შენატანების განხორციელება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია კომპანიის სალიზინგო პორტფელის ხარისხის დაქვეითება და კომპანიის კლიენტებისათვის გაცემული იჯარების გაუფასურების რეზერვების ზრდა გამოიწვიოს. ამ ყველაფერმა კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი ღია სავალუტო პოზიციები უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში კომპანიის სავალუტო პოზიციების ლიმიტების დადგენის გზით და ეტაპობრივად ზრდის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული სალიზინგო პორტფელის წილს, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ მექანიზმების გამოყენებით მოხდება სავალუტო რისკების დაზღვევა. ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ დოლართან მიმართებაში შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ზარალი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკიური ტრანსფორმაცია განიცადა - ფედერალური სოციალური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკა დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიად ჩამოყალიბდა. ქვეყნის პოლიტიკური კლიმატი მკვეთრი ცვალებადობით ხასითადებოდა 90-იან წლებში და ამ საუკუნის ადრეულ წლებში.

2012 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა კოალიცია ქართულმა ოცნებამ დაიკავა. ამ დროისათვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ აღიარა დამარცხება, რითაც საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. ძალიან მალე საქართველოს პარლამენტმა ბატონი ივანიშვილი აირჩია პრემიერ მინისტრად; თუმცა, 2013 წლის ნოემბერში ის გადადგა, რის შემდეგაც ის აღარ არის არჩეული ხელისუფალი. 2018 წელს ბატონი ივანიშვილი კვლავ ჩაერთო პოლიტიკურ აქტივობებში კოალიცია ქართული ოცნების თავმჯდომარის რანგში.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზეა აგებული, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების დაცვას, თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ქმედითი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში. კოალიცია ქართული ოცნება ზოგადად აღიქმება, როგორც ბიზნესსა და ინვესტიციებზე ორიენტირებული ჯგუფი და დღემდე ემსახურება ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ისეთი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციას და განვითარებას. პრემიერ მინისტრმა დადო პირობა, რომ გაატარებს დამატებით რეფორმებს, მათ შორის საგადასახადო სისტემის რეფორმას ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების ხელშეწყობის მიზნით.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ნებისმიერი სახის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და განვითარების პერსპექტივებზე, ისევე როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში

ადრეულ 90-იანი წლებში საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ და ეკონომიკამ სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა და ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის პლურალისტულ დემოკრატიად ჩამოყალიბდა. ამ ტრანსფორმაციას დროდადრო ახლდა მკვეთრი არასტაბილურობა, რაც სხვადასხვა დროს გამოწვეული იყო მშპ-ს შემცირებით, ჰიპერინფლაციით, ცვალებადი ვალუტით, სახელმწიფოს ჭარბვალიანობით მშპ-სთან მიმართებაში, „შავი“ და „ნაცრისფერი“ საბაზრო ეკონომიკის არსებობით, უმუშევრობის მაღალი დონით, ნაწილობრივი დასაქმების შესაძლებლობებით და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის სიღარიბით.

2008-2009 წლების რეცესიის შემდგომ, რაც 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტისა და გლობალური ფინანსური კრიზისის კომპლექსურ შედეგებს მოჰყვა (რამაც 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე რეფორმის შედეგად დაწყებული ეკონომიკური ზრდა შეაჩერა), საქართველოს ეკონომიკამ კვლად დაიწყო განვითარება. გეოსტატის მონაცემების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 2014 წელს 1,818 მლნ-ს გაუტოლდა, 2015 წელს - 1,652.5 მლნ-ს, 2016 წელს - 1,602.9 მლნ-ს, ხოლო 2017 წელს - 1,861.9 მლნ-ს. ამასთანავე, რეალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელმა 2014 წელს 4.6%-ს მიაღწია, 2015 წელს - 2.9%-ს, 2016 წელს - 2.8%-ს, 2017 წელს კი - 5.0%-ს. ზრდის ტემპის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ფინანსური შუამავლობის, უძრავი ქონების, სასტუმროებისა და რესტორნების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროებში დაფიქსირებული რეალური ზრდით. გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ძირითადად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადების მოცულობით ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, ჩინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. გეოსტატის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 12.3%-ს გაუტოლდა (11.1% დაფიქსირდა 2016 წელს).

საქართველოს ეროვნული ბანკისა და გეოსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპს-ს წილის სახით 2015 წელს 12.6% შეადგინა, 2016 წელს - 13.2%, 2017 წელს კი - 8.9%. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საქონლის ექსპორტისა და ტურისტული მომსახურებების ზრდის ხარჯზე გაუმჯობესდა. ბალანსის ზრდის მიუხედავად, უარყოფითი ბალანსი კვლავ სერიოზულ რისკად რჩება. თუ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადების მოცულობის ზრდა არ გაგრძელდა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ბალანსის დეფიციტის შესავსებად აღებული სესხების ოდენობის ზრდა, ლარის გაუფასურება ან იმპორტის შემცირება, ნებისმიერმა მათგანმა კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე.

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დოლარიზებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დოლარიზაციის განაკვეთი კომერციულ ბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებაში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 60.2%-ს გაუტოლდა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 69.5%-ს , 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.4%-ს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 5.6%-ს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გარკვეული ღონისძიებები გაატარა საქართველოს შიდა ფულადი ბაზრების განვითარების ხელშესაწყობად, დოლარიზაციის განაკვეთმა შესაძლოა

უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და სავალუტო პოლიტიკების ეფექტიანად გატარებაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა იქონია ასევე რამდენიმე გარე შოკმა, მათ შორის რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, გამწვავებულმა რეცესიამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამ შოკების შედეგად გაუარესდა საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებლები 2014-2016 წლებში, რამაც უცხოეთიდან შემომავალი შემოსავლების ნაკადები შეამცირა; ამას დაერთო აშშ დოლარის კურსის გამყარება მსოფლიო მასშტაბით. შედეგად ამისა, 2015 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 29.0%-ზე მეტი ოდენობით გაუფასურდა. გაუფასურება, ერთი მხრივ, დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარი გარე შოკების დარეგულირებაში, მეორე მხრივ კი გაზარდა აშშ დოლარში დენომინირებული სესხების მქონე მსესხებლების ვალის ტვირთი, და შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე. გარდა ამისა, გეოსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, წლიური ინფლაცია, რომელიც პერიოდის ბოლოს მდგომარეობით სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით დაანგარიშდა, 2014 წელს 2.0%-ს გაუტოლდა, 2015 წელს - 4.9%-ს, 2016 წელს - 1.8%-ს და 2017 წელს - 6.7%-ს. 2017 წელს გაზრდილი ინფლაცია ძირითადად განპირობებულია ისეთი შემთხვევითი ფაქტორებით, როგორებიცაა სააქციზო გადასახადის ზრდა თამბაქოზე, ალკოჰოლსა და ნავთობის პროდუქტებზე. მაღალმა და სტაბილურმა ინფლაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მსყიდველუნარიანობისა და სამომხმარებლო ნდობის შემცირება. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს იმ მიმდინარე გარე შოკებთან გამკლავებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ეკონომიკაზე.

ნებისმიერი ცვლილება მონეტარულ პოლიტიკაში, ლარის არსებითი გაუფასურება აშშ დოლართან თუ ევროსთან მიმართებაში, ინფლაციის უწყვეტი ზრდა თუ სხვა ნეგატიური, მათ შორის, გარე ფაქტორები, შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე. ამას, თავის მხრივ, ნეგატიური ეფექტის მოხდენა შეუძლია კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და განვითარების პერსპექტივებზე, ისევე როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

რისკების მართვა

თიბისი ლიზინგის ხელშეკრულებები ლიზინგის მიმღებს ავალდებულებს წინასწარ გადაიხადოს მანქანა-დანადგარის ფასის 20% ლიზინგის დაწყებისას. ლიზინგის წესით გაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლებას კომპანია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ინარჩუნებს და ლიზინგის მიმღებს მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას გადასცემს. თიბისი ბანკის საკრედიტო კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ლიზინგის წესით 300 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მქონე აქტივის გაცემის შესახებ. ლიზინგთან დაკავშირებული ყველა სახის რეკომენდაციას (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ლიზინგის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის საკრედიტო კომიტეტი.

კომპანია აქტიურად მართავს ლიკვიდურობის რისკს, რითაც უზრუნველყოფს ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. დირექტორთა საბჭო (რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი და ფინანსური დირექტორი) აკონტროლებს ლიკვიდურობის რისკს საბოლოო დაფარვის თარიღების და ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზის გზით. კომპანია აქტიურად ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ფინანსურ (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (მათ შორის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკები)), გეოგრაფიულ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანი რისკების ლიმიტების განსაზღვრა და იმის უზრუნველყოფაა, რომ რისკის დონე ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკების და პროცედურების ადეკვატურ ფუნქციონირებას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნებისათვის.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს იმას, ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზარალი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი დგება კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების და კონტრაჰენტებთან სხვა ტრანზაქციების წარმოების შედეგად, რაც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.

რისკების მართვა და მონიტორინგი დედა კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდება. დედა კომპანიის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს იმ იჯარების გაცემაზე, რომელთა ღირებულება 300,000 დოლარს აღემატება. საკრედიტო კომიტეტზე თუ კომპანიის მმართველ საბჭოზე განაცხადის წარდგენამდე, ყველა რეკომენდაციას ლიზინგის პროცესებთან დაკავშირებით (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ცვლილებები ლიზინგის ხელშეკრულებებში, და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს საკრედიტო დეპარტამენტის რისკების მართვის მენეჯერი.

კომპანია, როგორც წესი, ისე ახდენს თავისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღები მანქანა-დანადგარის ღირებულების 20%-ს სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე იხდის. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება.

როგორც წესი, ხდება ლიზინგით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ისეთი რისკების დაზღვევა, როგორებიცაა: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას არსებული ვალების მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების ანალიზის გზით. იჯარის გაუფასურების ძირითად ფაქტორებში კომპანია მოიაზრებს ვადაგადაცილების სტატუსს, ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას, ლიკვიდურობას და ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულებას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისათვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურად ფარავს ანგარიშგების თარიღისათვის ლიზინგის პორტფელში არსებულ პოტენციურ დანაკარგებს.

მენეჯმენტი კვარტალურად ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას დებიტორების

ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სასამართლო საქმეების შედეგები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისათვის ადეკვატური რეზერვია შექმნილი ანგარიშგების თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანია ასევე იღებს საბაზრო რისკებს. ეს რისკები ღია სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების პოზიციების შედეგად წარმოიშვება, რაც ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. რისკის ფასთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს დასაშვებ ლიმიტებს, რომლებიც კვარტალურად მოწმდება. ამის მიუხედავად, უფრო სერიოზული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს დანაკარგების პრევენციას დაწესებული ლიმიტების მიღმა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებამ განაპირობოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეცვლა. კომპანია დგას დომინანტი ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის შედეგების ასახვის საფრთხის წინაშე თავის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე.

დირექტორთა საბჭო სავალუტო რისკებს ღია სავალუტო პოზიციის მართვის გზით აკონტროლებს ქართული ლარის გაუფასურების პროგნოზებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გათვალისწინებით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს შეამციროს დანაკარგები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსების მნიშვნელოვანი რხევებიდან გამომდინარე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს მიღებული ფინანსური შემოსავლისა და გადახდილი საპროცენტო ხარჯების შეფარდების მარჟები, ან მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან წარმოშვას ზარალი.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, ვინაიდან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი წარმოშობილია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ნასესხები ერთი ვალით, ყველა სხვა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა მიბმული ან საერთოდ არ ერიცხება პროცენტი.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. დირექტორთა საბჭო (შიდა საბჭო, რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი) აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს საბოლოო დაფარვის თარიღების ანალიზის, მომდევნო ფინანსურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის გზით. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

კორპორატიული მმართველობა

თიბისი ლიზინგის კორპორატიული ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება (“**საერთო კრება**”), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო, და თითოეულ მათგანს აქვს თავისი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

წესდებიდან გამომდინარე. საერთო კრება ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კომპანიის გენერალურ დირექტორს, რომელიც თავის მხრივ ნიშნავს კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებს. ეს უკანასკნელი არის კომპანიის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

ვახტანგ ბუცხრიკიძე, თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძე თიბისი ბანკს 1993 წელს შეუერთდა საკრედიტო დეპარტამენტის სამყვანი მენეჯერის რანგში, ხოლო 1994 წელს იგი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1996 წელს ის გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან ის არის თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი და ხელმძღვანელობს თიბისი ბანკის რამდენიმე კომიტეტს.

2016 წლის მაისში ვახტანგ ბუცხრიკიძე დაინიშნა კომპანიის გენერალურ დირექტორად, 2016 წლის სექტემბერში კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ვახტანგ ბუცხრიკიძე ასევე არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც. 2011 წლიდან ვახტანგ ბუცხრიკიძე არის საქართველოში საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წელს ვახტანგ ბუცხრიკიძე შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

2001 წელს მან მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი მართვის ევროპულ სკოლაში (European School of Management). თბილისში, 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ვახტანგ ბუცხრიკიძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მიღებული აქვს სხვადასხვა სახის კვალიფიკაცია.

ბადრი ჯაფარიძე, წევრი

ბადრი ჯაფარიძე 1992 წელს დაინიშნა თიბისი ბანკის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელად, ხოლო 1993 წელს გახდა ბანკის ვიცე პრეზიდენტი. 1996-2014 წლებში ის იყო თიბისი თივის საბჭოს თავმჯდომარე. 1995-2003 წლებში ბადრი ჯაფარიძე მუშაობდა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში ვიცე პრეზიდენტად; იგი ამავე დროს იყო ამ კომპანიის თანადამფუძნებელი. კომპანიას მოგვიანებით გადაერქვა სახელი და ეწოდა IDS ბორჯომი. ბადრი ჯაფარიძე ამ კომპანიის საბჭოს წევრი იყო 2004-2010 წლებში.

1995 წელს ბადრი ჯაფარიძე არჩეულ იქნა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და 1996 წლიდან არის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს ის ასევე არჩეულ იქნა საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატისა და საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად. ის ასევე არის ამ უკანასკნელის თანადამფუძნებელი.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

2006 წელს ბადრი ჯაფარიძე აირჩიეს ევროკავშირის საქართველოს ბიზნეს საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და ის პარალელურად გახდა ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2008 წელს ის აირჩიეს გეოპლანტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დღემდე ინარჩუნებს ამ პოზიციას. ბადრი ჯაფარიძე ასევე არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2016 წლის მაისში ბადრი ჯაფარიძე დაინიშნა თიბისი ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ბადრი ჯაფარიძემ 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის მიმართულებით. მას მიღებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი ასევე ფსიქოლოგიაში. გარდა ამისა, 2001 წელს მან გაიარა კურსი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში. 1990-1992 წლებში ბადრი ჯაფარიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნიკოლოზ ქურდიანი, წევრი

ნიკოლოზ ქურდიანის მუშაობის გამოცდილება საბანკო ინდუსტრიაში ათ წელზე მეტს ითვლის, აქედან ის ხუთი წელი მუშაობდა უნიკრედიტჯგუფში ავსტრიაში, თურქეთსა და ყაზახეთში. თიბისი ბანკში მუშაობის დაწყებამდე, 2014 წელს ნიკოლოზ ქურდიანი იყო კასპი ბანკის – ყაზახეთის წამყვანი საცალო ბანკის – მმართველი დირექტორი.

2007 წელს, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხის მიღებამდე, ის იყო საცალო საბანკო მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი ბანკ რესპუბლიკაში საქართველოში – ჯგუფ სოსიეტე ჟენერალში. 2003-2006 წლებში ნიკოლოზ ქურდიანს ეკავა სხვადასხვა თანამდებობები საქართველოს ბანკში, აქვს გამოცდილება აკვიზიციის შემდგომ ინტეგრაციასა და რესტრუქტურიზაციაში, ასევე საცალო სეგმენტისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საბანკო მომსახურების სფეროში. 2008-2010 წლებში ნიკოლოზ ქურდიანი იყო გაყიდვების მხარდაჭერის უფროსი ექსპერტი უნიკრედიტ ჯგუფში, ავსტრიის ბანკის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო მომსახურების განყოფილებაში, სადაც მისი კურატორობის სფეროში შედიოდა თურქეთი, ყაზახეთი, უკრაინა და სერბეთი. 2010-2013 წლებში ნიკოლოზ ქურდიანი იყო საცალო განყოფილების ხელმძღვანელი ყაზახეთში, უნიკრედიტ ჯგუფში, ATF ბანკში.

2007 წელს მან მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) IE ბიზნეს სკოლაში. ნიკოლოზ ქურდიანს აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მიიღო გერმანიაში, Ruhr-University Bochum-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

დირექტორთა საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

გაიოზ გოგუა, გენერალური დირექტორი (დირექტორი)

გაიოზ (გაგა) გოგუა თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს 2017 წლის ნოემბრიდან. მანამდე ის მუშაობდა თიბისი ბანკში, რომელსაც 2001 წელს შეუერთდა საკრედიტო მენეჯერის რანგში. თიბისი ბანკში მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობები, მათ შორის, რეგიონალური დირექტორის, ფილიალის უფროსის და საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის. გაიოზ გოგუას მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები ფიზიკის სპეციალობით და თბილისის ბიზნესის სკოლა ESM-ის მაგისტრის ხარისხი.

ნატო ტორონჯაძე, კომერციული დირექტორი (დირექტორის მოადგილე)

ნატო ტორონჯაძე 2009 წელს შეუერთდა თიბისი ლიზინგს და წლების განმავლობაში იყო საკრედიტო რისკების მენეჯერი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. 2017 წლის აპრილში ის გახდა კომპანიის კომერციული დირექტორი. ნატო ტორონჯაძეს მიღებული აქვს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები რაოდენობრივ ანალიზში.

ნუგზარ ლოლაძე, ფინანსური დირექტორი

ნუგზარ ლოლაძე 2014 წლიდან მუშაობს თიბისი ლიზინგში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. მანამდე ის მუშაობდა ერნსტ ენდ იანგში წამყვანი აუდიტორის თანამდებობაზე, მოგვიანებით კი გახდა ტრანზაქციების საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელი. ნუგზარ ლოლაძემ დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა (CSB).

სალომე ღუდუშაური, საოპერაციო დირექტორი

სალომე ღუდუშაური 2017 წლის აპრილში დაინიშნა თიბისი ლიზინგის საოპერაციო დირექტორის თანამდებობაზე. იგი თიბისი ლიზინგს 2010 წელს შეუერთდა და ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა ლიზინგის პროექტის წამყვან მენეჯერად, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და სტრატეგიული პროექტების მენეჯერად. მას მიღებული აქვს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები რაოდენობრივ ანალიზში.

ლევან აბაშიძე, ავტომოტივის დეპარტამენტის უფროსი

ლევან აბაშიძე თიბისი ლიზინგს 2016 წელს ავტომოტივის დეპარტამენტის უფროსის რანგში შეუერთდა. 2008 წლიდან ის მუშაობდა ARVAL BNP Paribas-ში ჯერ საკრედიტო რისკების და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის უფროსის, შემდეგ კი - რემარკეტინგის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე ლევან აბაშიძე იყო მცირე და საშუალო ბიზნეს დაკრედიტების სამსახურის უფროსი ქართუ ბანკში. მანამდე ის მუშაობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) საკრედიტო მრჩევლად მცირე

სს თიბისი ლიზინგის მენეჯმენტის ანგარიში

საწარმოების დაკრედიტების მიმართულებით; იყო საქართველოს საზღვაო ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და პროკრედიტ ბანკის კრედიტ ოფიცერი. ლევან აბაშიძეს მიღებული აქვს კლიმენტ ოჰრიდსკის სახელობის სოფიას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი და კავკასიის ბიზნეს სკოლისა და ბიზნესისა და ეკონომიკის ამერიკული ინსტიტუტის (AIBEc) მაგისტრის ხარისხები.

ნანა შონია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ნანა შონია თიბისი ლიზინგს 2007 წელს შეუერთდა და 2013 წლის იანვრიდან არის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. მანამდე ნანა შონია მუშაობდა იურისტ კონსულისა და წამყვანი იურისტის თანამდებობებზე. კომპანიაში მუშაობის დაწყებამდე, 2005-2007 წლებში ის მუშაობდა პროკრედიტ ბანკში იურისტის თანამდებობაზე. ნანა შონიას მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები იურისპრუდენციაში.

დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრის ბიზნეს მისამართი კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართს ემთხვევა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი #80.